ზაქარია ჭიჭინაძე

ქართველი ებრაელები საქართველოში

თფილისი
1904

63. 3(0)
ჩ 551

გამოსაცემად მოამზადა და გოლოსიტყვაობა დაურთო
ვახტანგ ჩიჭოვანმა

© გამომცემლობა „მეცნიერება"
კოოპერატივი „არმაზი—89", 1990

0502000000
8 ————————
М 607(06)—90

Закария Чичинадзе

ГРУЗИНСКИЕ ЕВРЕИ В ГРУЗИИ

Тбилиси

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ავალიანი
მხატვარი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორები ა. ჭაბაშვილი
ც. თოდუა

გადაეცა წარმოებას 20.11.90. ხელმოწერილია ღასაბეჭდად 27.2.90. ქაღალდის ზომა 60×90 1/16. ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი. გარნიტურა ენენერი. პირობითი საბეჭდი თაბახი 6 პირ. სალ. გატ. 5,90. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,34. ექ 02334. ტირაჟი 100.000. შეკვეთა 8.

ფასი 2 მან. 50 კაპ.

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის № 1 სტამბა,
თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50.
Типография № 1 Государственного комитета Грузинской ССР
по печати, Тбилиси, ул. Чубинашвили, 50.

ქართველთ ებრაელნი

ამ შრომას წრფელის გულით ვეძღვნი ჩემგან გულით პატივცემულს ქართველ მამულისშვილს ალექსანდრე იოსების ძე ბერელაშვილს

ებრაელთა კვალი საქართველოში მეტად ძველის დროთაგან სჩანს. ებრაელთა ძველს მეისტორიეს ამის შესახებ ბევრი არაფერი აქვსთ. ქრისტეს წინა დროის, IV საუკ. მეისტორიე მაგოსფენი სწერს, რომ ნაბუქოდოსორ ბაბილონის მეფისაგან აოხრებულ ურიათა ერთი ნაწილი შავი ზღვისკენ გადასახლდაო. ამ შემთხვევას ებრაელთა ისტორიაშიც ასახელებენ გაკვრით, მცირედ*. მხოლოდ საშუალ საუკუნის ებრაელთა მოგზაურების ნაწერებში სჩანს აქა-იქ თითო-ორ-ოლა ცნობები ქართველ ებრაელთა ცხოვრების შესახებ. ერთმა განათლებულმა ებრაელმა მაუწყა, რომ ქართველ ებრაელთა შესახებ ძველ ებრაელთა მეისტორიებს ბევრი რამ ცნობები უწერიათო, მაგრამ იმ ცნობებმა ჩვენს დრომდე ვერ მოაღწიესო, ჟამთა ვითარების მეოხებით მოისპნენო. „ქართლის ცხოვრებაში" ებრაელნი მოხსენებული არიან მრავალ ალაგას.

ებრაელთა გარდმოსახლება საქართველოში ქრისტეს წინა დროებს ეკუთვნის, შვიდი საუკუნით უწინარეს, ანუ როცა ნაბუქოდონოსორ მეფე დაეცა ურიასტანს, ყოველივე აღაოხრა, იერუსალიმი წარსტყვევნა და ებრაელნიც დაჰფანტა. აი, პირველად ამ დროს გადმოსახლებულან საქართველოში ებრაელთა ძენი. საქართველოში ამათა მოსვლის ამბავი ასეა მოხსენებული „ქართლის ცხოვრებაში": „მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყვევნა იერუსალიმ, და მუნით ოტებულნი ჰურიანი მოვიდეს ქართლს, მოითხოვეს მცხეთელ მამასახლისისაგან ქვეყანა ხარკითა. ხოლო მცხეთელმან მამასახლისმან

* ისტორია ებრაელთა ერისა, რუსულს ენაზე დაბეჭდილი.

მისცა და დასსნა არაგვსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქვიან ზანავი. და რომელ ქვეყანა აქვნდათ მათ ხარკითა, აწ ქვიან ხერკ, ხარკისა მისთვის".

ამ ცნობიდამ სჩანს, რომ საქართველოში ებრაელნი ისეთ დროს მოსულან, როცა ქართველებში მამასახლისური წესები არსებობდა, მისი გამგეობა რესპუბლიკურ გამგეობას გვანდა. მიტომაც არს, რომ ამათ მცხეთის უფროსი მამასახლისისათვის მიუმართავთ და ადგილები უთხოვნიათ საცხოვრებლად, რაისა გამო იგინი ხარკს გარდახდასაც დაჰპირებიან, ამის გამო შემდეგ დროში თვით ამ საცხოვრებელ ადგილსაც ხარკი სწოდებია. უნდა მოგახსენოთ, რომ ებრაელთა გადმოსახლება საქართველოში რამდენგზისმე უნდა მომხდარიყოს, მაინც ისტორიულათაც შენიშნულია, რომ ურიასტანიდამ ებრაელნი რამდენგზისამე იქმნენ დავნილნი, აქა-იქ წასულნი და დაპნეულნი თავიანთ სამშობლოს ქვეყნიდამ. ისრაელნი რომ საქართველოში სხვადასხვა დროს მოსულან, ესა სჩანს თვით ჩვენი ისტორიულის ცნობებიდამაც. ძველადვე ებრაელნი საქართველოში იგოდენათ იყვნენ გამრავლებულნი, რომ როცა საქართველოში ალექსანდრე მაკედონელი შემოვიდა, მაშინ მას საქართველოში ურიათა ერთობ დიდი რიცხვი დაჰხვდა*. როგორცა სჩანს ცნობებიდან, ისრაელნი საქართველოში თავიანთ სჯულით ყოფილან შთენილნი, მათი მოდავე არავინ ყოფილა, იმ ჟამად ქართველნიც არმაზს აღიარებდნენ.

მეორე გარდმოსახლებაც ყოფილა ქრისტეს წინეთ, როცა ურიასტანს ყოველივე აღაოხრეს და ისრაელნიც სდევნეს სასტიკათ. ამ დროს საქართველოში უნდა მოსულიყვნენ მეტად დიდი რიცხვი ებრაელთა, რომლის უმეტესი ნაწილი უნდა დასახლებულიყვნენ ლაზისტანს, მესხეთს, ჯავახეთს, ქართლს, იმერეთს, გურიას, ნამეტურ ქიზიყს, ბოდბისხევს. ეს რომ ასე უნდა იყოს, ამას გამოაჩენს სხვადასხვა ისტორიული ცნობებიც, რომელსაც ქვემოთ მოვიყვანთ. „ქართლის ცხოვრების" თქმით**, საქართველოში ებრაელთა რიცხვი ძველადგანვე იგოდენით იყო მოფენილი და მათი ენა საერთოდ ისე იხმარებოდა, რაისა გამო, თვით ქართველთაც კი იცოდნენ ებრაული ენა ისე, როგორც ქართული. ამ გარდმოცემას ჩვენ მარტოდ „ქართლის ცხოვრეშის" ცნობებზე ვამყარებთ, ევროპიელთ მეისტორიეთ ეს ცნობა არსად აქვთ მოხსენებული.

მესამე გარდმოსახლების ხანა უნდა მომხდარიყოს ქრისტეს დაბა-

---

* „ქართ. ცხ." I ტ. გამოც. თბ. 1896.

** იქვე.

დების წინეთ 70 წლების არა უგვიანეს. შემდგომ ამის, საქართველოში მოდიან ქრისტეს ცხოვრების დროს და თვით იმ დროსაც, როცა ყარსნელი მღვდელნი და მცხეთელნი ურიასტანში წავიდნენ და ქრისტეს საქმეებს დაესწრენ. უკანასკნელ გადმოსახლებულთ ებრაელნი დასახლდნენ დასავლეთ საქართველოში, სახელდობრ სადა, ეს ჩვენ არ ვიცით, ხოლო თქმულება არს, რომ ფანასკერტს უნდა ყოფილიყვნენ. ამ გადმოსახლებულთ რიცხვი მეტად დიდი ყოფილა, ზედმიწევნით ათი ათას სულამდის უნდა ყოფილიყოს, რადგანაც შემდეგ დროს, როდესაც რაღაც შემთხვევის გამო ფანასკერტიდამ ურიანი ქართლს გადმოსახლდნენ, მაშინ მარტოთ ურიათა ორს მებატონე, ზაზას და ციცის, 3000 ჩუსტიანი ებრაელი გადმოყოლია. ზაზა და ციცი ნამდვილ ებრაელთა გვარის მებატონენი ყოფილან, მათივ სარწმუნოების მექონი. შემდეგ დროებში ეს მებატონენი საქართველოში ქართველთ მეფეებთან ამაღლებულ იქმნენ და თავადისშვილობით დაჯილდოვებულნი. ამ ზაზა და ციცის შთამომავალთ აღიარებენ დღევანდელ ქართლში მცხოვრებ თავად ციციშვილებს. ქარელში ებრაელნიც სცხოვრობენ. ციციშვილები რომ ისრაელთა შთამომავალნი არიან, ამის ცნობები მათ გვარშიაც არს დაშთენილი. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ისრაელთა შთამომავალმა, გამოჩენილმა მხატვარმა ზიჩმაც. ციციშვილებში მიმოვლო, სხვადასხვა ცნობები შეკრიბა და თავის თავი პირდაპირ ციციშვილების სახლის კაცათ აღიარა.

როგორც სჩანს, ურიასტანიდამ როცა ისრაელთა გარდმოსახლება მომხდარა, გარდმოსახლებულთა შორის გლეხთა გარდა მებატონენიც ყოფილან, ე. ი. ისრაელთა გვარის შვილნი. იგინი თავიანთ ყმებს თან გამოჰყოლიან, ჟამთა ვითარების მეოხებით ასეთ ცნობებმა ჩვენ დრომდის ვერ მოაღწიეს, ასე რომ მის შესახებ არაფერი ცნობები სჩანს, თუ ისრაელთ მებატონისა და ყმის შორის უცხო სამეფოს წინაშე როგორი დამოკიდებულება არსებობდა ან რა გვარი კანონები იყო მათში, რომ ისრაელნი საქართველოში სცხოვრობდნენ. მამასახლისური წესებისაგან დიდათ კმაყოფილნი უნდა ყოფილიყვნენ, მამასახლისური გამგეობა მათ დიდს შეღავათს აძლევდა, ცხოვრების მოსაპოვებლად დიდს სახსარს ანიჭებდა, მიზეზიც ეს იყო, რომ ისრაელნი ისე მრავლად გადმოდიოდნენ საქართველოში. საქართველოს ისრაელნი კარგად მოესწრნენ ქართველთ მამასახლისურ წესებს, მის არსებობას და შემდეგ გაუქმებასაც. ცხადი საქმეა, რომ საქართველოს ერთმეფობის დაარსების დროს, ისრაელნიც დიდს მნიშვნელობას იქონიებდნენ ფარნავაზ მეფეზედ, ეს ცხადათ სჩანს იმ გარემოებიდამაც, რომ ებრაელნი, ურიასტანიდამ საქართველოში მოსულნი, უპირველეს მცხეთან დასახლდნენ, მცხეთა მაშინ უპირველეს ქართველ საცხოვრებლად

ითვლებოდა. სჩანს, ებრაელთაც მიხვედრა და წარმოდგენა ჰქონიათ, რომ მცხეთელ მამასახლისს მცხეთას და მის ახლო-მახლო სოფლებში ცხოვრება სთხოვეს და ამის სამაგიეროთ ხარკის გადახდასაც შეჰპირდნენ.

ცნობა არს, რომ იგინი ამისთვის მომზადებულნიც ყოფილან, რადგანაც მათ ვაჭრობის ანუ აღებ-მიცემის ცოდნაც ჰქონიათ, ამას იგინი თავიანთ სამშობლოში შესჩვეოდნენ და შემდეგ მგზავრობაშიც კარგი მიხვედრა მიუღიათ. გარდა ამის, იგინი გამოცდილ იყვნენ თავიანთ სამშობლოს დევნა, ტყვევნა-აოხრებაშიაც, იცოდნენ აგრეთვე გარდმოსახლების სიძნელე, მისი ფასი, ახსოვდათ კარგათ, თუ მათ რა დიდის ტანჯვით და ღწვით მოაღწიეს მცხეთამდე. ებრაელნი რომ ამისი ცოდნის უპირატესობით არ ყოფილიყვნენ დაჯილდოვებულნი, უამისოდ მათ არც მცხეთის მამასახლისი დართავდა მცხეთაში დასახლების და ცხოვრების ნებართვას. სჩანს, ესენი მოხერხებულნი ყოფილან. სამწუხაროდ, ებრაელთა ცხოვრების და პირობების შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ ბევრი რამ არ სჩანს. ამ ერს ბევრი რამ თავგადასავალი გარდახდებოდა, საქართველოში მოსულთაც ბევრი რამ ძნელი-ნატანჯი პირობები დაჰყვებოდათ. გარდა ამისა, ქრისტეს დაბადებამდე მთელი საუკუნე გადის და მათ შესახებ არსად არაფერი სწერია. მხოლოდ ადერკ მეფის დროს დაიბადა იესო და ამ დროს კი აქა-იქ მოიხსენიებიან ისრაელნი. ამ დროის ცნობებიდან კარგად სჩანს, რომ ისრაელნი, საქართველოში მოსულნი მრავლად ყოფილან.

როგორც სჩანს, ქრისტეს დაბადების დროს საქართველოში ისრაელნი შეჩვეულნი ყოფილან ადგილობრივ წესწყობილებას და ცხოვრებასთან. ამ გარემოებას ძრიელ აცხოველებდა ის პირობებიც, რადგანაც საქართველოში ებრაელთა რიცხვი მეტად იყო გამრავლებული. მარტოდ მცხეთის ახლომახლოს ცხოვრობდნენ სოფ. კარსნას, კოდმანს, ძეგვს, ზანავს, ხერკს, არაგვს და მთლად გასწვრივ არაგვის და მტკვრის შეყოლება, მეტეხს, კასპს, ხანდაკს, მუხრანს, კავთისხევს, ურიათუბანს და სხვა სოფლებში, სადაც დღეს მათი ნასახისაც არაფერია დაშთენილნი. უნდა ითქვას, რომ ძველად ქართლში არ ყოფილა სადმე სოფელი, რომ იქ რამდენიმე კომლი ებრაელთა მცხოვრების არ ყოფილიყოს. ქართლის გარდა სამცხე-საათაბაგოსაც ისევე სცხოვრობდნენ საქართველოში ასე იყო მათი რიცხვი გამრავლებული, მთელს კავკასიის ერთ შორის ებრაელნი მარტოდ საქართველოში მოვიდნენ, ან დასახლდნენ. სხვადასხვა აღმოსავლეთის ქვეყნებში საქართველოდან გადასახლდნენ და დასახლდნენ. ქართველთ ებრაელთ უძველეს დროდამ ქართული ენა შეინახეს თვით აღმოსავლეთის უშორეს ქვეყნებში, ასევე მოხდა ლაზისტანისკენ, ტრაპიზონშიც კი შეინახეს ქარ-

თველ ებრაელთა ქართული ენა, ტრაპიზონს დღესაც ამ ენით ლაპარაკობენ. თვით ქართველთ შთამომავალთ ქართველ მაჰმადიანებმა კი ვერ შეინახეს ქართული ენა და დაკარგეს. სამცხე-საათაბაგოს სცხოვრობდნენ ფანასკერტს, არდანუჯს, არტანს, ოლთისს, ახალ-ქალაქს, ახალციხეს და ბევრსაც სხვა სოფლებში, რომელ სოფლებს ვახუშტიც აღნიშნავს: სცხოვრობდნენ ავრეთვე კახეთს, ნამეტურ ბოდბისხევს, ბოდბისხევი მთლად ებრაელთაგან შესდგებოდა. იმერეთშიაც სცხოვრობდნენ, ხოლო მცირედ, აქა-იქ. გურიაშიც კი ნახევარზე მეტი მცხოვრებთა რიცხვი ებრაელნი ყოფილან.

როგორც ქართლს, სამცხეს და გურიას, ისევე ებრაელთა რიცხვი კახეთში — ნამეტურ ქიზიყსაც მრავლად სცხოვრობდნენ. სადაც კი ყოფილან ებრაელნი და უცხოვრიათ, ყველგან თავიანთი ცხოვრების კვალი ქონიათ დამჩნეული, გარდა ასეთი კვალისა, იგინი სხვაფრივაც შესამჩნევნი ყოფილან, ამათ ჰყოლიათ თავიანთის სჯულის მეთაური სასულიერო პირნი, მწიგნობარნი, მეტყველნი, მეფსალმუნენი და თვით მღვდელთმთავარნიც. იმათ შორის ყოფილან ისეთი პირნიც. რომელნიც თავიანთ დროს ებრაელთა მწიგნობრობით იწოდებოდნენ, მთარგმნელად და ბრძენად და მეცნიერად. კარგათ სჩანს, რომ როდესაც კი ურიასტანიდამ ებრაელნი დაძრულან და გარდასახლება გადაუწყვეტიათ, რომელთაც საქართველოში სურვებიათ წამოსვლა ანუ გარდმოსახლება, მათ იქვე, ურიასტანში სცოდნიათ საქართველოს არსებობა, ხალხის ცხოვრება, შინაგან სამეფოს პირობები და ბევრიც სხვა ასეთი საჭირო ცნობანი, რაც კი რომელიმე ერის ემიგრაციის დროს ცხადათ გათვალისწინებული უნდა იყოს გარდამსვლელთათვის. სჩანს, გარდმოსახლება ისე ყოფილა ხოლმე, რომ მათში ყველა დარგის პირნი რეულან, მათ შესძლებიათ თითქმის საქართველოში საკუთარის ისეთი კოლონიების დაარსება, სადაც ყოველივე საჭირო მხარე მათის ცხოვრებისა თვით მათსავე თანამემამულეთ ეჭირებოდათ ხელში.

მაგალითებრ, საქართველოში მცხოვრებთ ებრაელთ ყოველთვის თავიანთ ტომის მკურნალნი და დოსტაქარნი ჰყავდათ, მასწავლებელნი, მღვდელნი და თავიანთ სოფლის გამგენიცა, რადგანაც იგინი სოფლებში ცალ-ცალკე სცხოვრობდნენ, მათში სხვა ტომის არავინ ერია. მაგალითებრ, კარსნას მთლათ ებრაელთა უბანი იყო, ისევე კოდმანს, ბრეთს, ურიათ-უბანს და სხვა. ეს რომ ასე იყო, ამას ცხადათ აჩენს თვით დღევანდელი მათი ცხოვრების ცნობებიც, სადაც კი დარჩნენ ქართველ ებრაელნი, მათ ყველგან ცალკე ცხოვრება შეინარჩუნეს. ამის მაგალითია ახალციხელ ებრაელთა საქმე, ქუთაისის და თვით თბილისისაც. ძველად, როცა კი თბილისში ქართველთ ებრაელთა მკვიდრნი სცხოვრობდნენ, მაშინ მათი (ვახუშტის გეოგრაფია, 1848 წ.

დაბეჭ. პეტერ.) რიცხვი სცხორობდა თბილისის ერთ კუთხეს, მოედნის ზემოთ, ანუ სიონის მახლობლივ, ფეთხაინის ეკლესიის ძირს. თვით ეს სახელიც, ვგონებთ, წარმომდგარია ურიული სიტყვა ბეთხაინიდამ. ბეთხაინი ურიულად ნიშნავს სასაფლავოს და როგორც ცნობა არის, ქრისტეს წინეთ, თბილისში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა თავიანთი ბეთხაინი (სასაფლავო) სწორეთ იმ ალაგას ჰქონიათ, სადაც დღეს სომეხთა ფეთხაინის ეკლესია არს აღშენებული, რომელ ეკლესიაც VI საუკუნის დამლეევს ვახტანგ გორგასლანის შვილს, დაჩი მეფისაგან იქმნა აღშენებული ქართველთათვის და ბეთლემის ღვთისმშობლად წოდებული. ჩვენში ამ ტაძრის სახელწოდების შესახებ ასეთი ცნობა არს დატოვებული და ქართველი ებრაელნი კი იმას ამბობენ, რაც მოვიხსენეთ. შესანიშნავია ეს ფეთხაინი იმის მხრითაც, რომ იქ დღემდე არს დაშთენილი ერთი ძველი შთენი, რომელიც წარმართების დროის ქართველ ერის თუ ქართველ ებრაელთა სალოცავათ ყოფილა დანიშნული. საყურადღებოა ეს შთენი, რათა მომავლისათვის არ იქმნეს აღგვილი და მოსპობილი.

ებრაელნი თუმცა საქართველოში ძველადგანვე მოვიდნენ და, „ქართლის ცხოვრების" სიტყვით, დასხდნენ და საქართველოში მიეცნენ ცხოვრებასა და შრომას, მაგრამ მათ თავინათ გულჩამწვარ, დატყვევებულ სამშობლოს ხსოვნა კი მაინც არასდროს არ დავიწყებიათ. შორს იყვნენ, მაგრამ გული კი ყოველთვის სამშობლოსკენ მიელტოდათ, ურიასტანის ყოველ მოვლენას, ყოველ შინაგანს საქმეს და მოძრაობას ესენი ჯეროვან ყურადღებას აპყრობდნენ. ამისათვის მათ ჰქონდათ გამბული ერთობა, წერილების განუწყვეტლივი მიწერ-მოწერა, ნამეტურ საქართველოს ებრაელთა სასულიერო წოდებასაც დაახლოვებული კავშირი ქონდა ურიასტანის სასულიერო გამგეობასთან, ესენი მათ ემორჩილებოდნენ უაღრესად. ყოველი ნაბიჯი ქართველთ ებრაელთა სასულიერო წოდებისა ურიასტანის სასულიერო წოდების გამგეობას ექვემდებარებოდა. საქართველოს ებრაელთა უმთავრესი სასულიერო გამგეობა მცხეთაში ყოფილა, უმფროსი მღვდელმთავარიც აქა მჯდარა. მღვდელმთავრის ბინა ანუ რეზიდენცია მცხეთა ყოფილა. ურიასტანიდამაც მცხეთის ურიათა სასულიერო გამგეობას დიდი ყურადღება ენიჭებოდა და ყოველი ნაბიჯის ცნობა ურიასტანის სასულიერო წოდებისა უმალვე მოსდიოდათ მცხეთაში და ტყობილობდნენ. ამის მაგალითები „ქართლის ცხოვრებაშიაც" ერთობ ხშირია. როგორც ზემოთაც ვახსენეთ გაკვრით, ებრაელნი ურიასტანიდამ ყველაზედ წინეთ საქართველოში მოსულან და დასახლებულან. როცა ესენი ქართლში სჩნდებიან, მათი ხსენება არ არის არც დაღესტანს, სპარსეთს, ურუმიას, ავღანეისტანს, ქურთისტანისაკენ, სპარსეთს და სხვა ასეთ

უშორეს კუთხეებშიც. პირველ საუკუნოების შემდეგ, ებრაელნი საქ-
ართველოდამ გარდასახლდნენ ამ კუთხეებში და დასახლდნენ. ამ გა-
რდასახლებას ძველადგან მათი სასულიერო წოდებაც უწყობდა ხელს
და ესენი მხარს აძლევდნენ, რომ საქართველოდამ ებრაელნი კავკასი-
ის ოთხსავ კუთხიე მოსდებოდნენ, გარდასახლებულიყვნენ, რადგანაც
საქართველოში მათი რიცხვი ერთობ დიდი იყო.

ებრაელნი საქართველოში ქართულ ენას სულიერად ძველადგანვე
შესჩვეოვიან. მათ სამშობლო ენას ძველადგანვე ქართული ენა შეადგენ-
და, იგინი ერთობ ადვილად ითვისებდნენ ამ ენას. ენას გარდა ესენი
ითვისებდნენ ქართულ ტანთსაცმელს, გარეგან ყველა წესებს და ჩვე-
უფლებათა, ქალნი — ქალთა და კაცნი — კაცთა, საქართველოდამ ებ-
რაელნი საცა კი სახლდებოდნენ, ყველგან თან მიჰქონდათ ქართული
ენა, ქართველი ერის ტანთსაცმელი და თვით წერილების წერასაც კი
ქართულად მოეწყვნენ. უცხოეთში ამათ ქართული ენა კარგა ხანს შეუ-
ნახავს, დიდის დროის განმავლობის წყალობით უკანასკნელად კი და-
კარგეს ქართული ენა და სხვა ენა შეიძინეს. დღეს ასეთ ებრაელთა
რიცხვი კავკასიას მცხოვრებთა შორის აქა-იქ ერთობ ხშირია და ყველგან
იგინი საქართველოდამ არიან გასულნი და მოფენილნი. ზოგს ქართველ
ებრაელთ დღემდე აქა-იქაც შერჩათ ქართული ტანთსაცმელის ხსოვ-
ნა და ბევრს ალაგას ებრაელთა ქართული ტანისამოსი აცვიათ, რასა-
კვირველია, ცოტა რამ ცვლილებით კი, ეს ეტყობათ არა მარტო კა-
ცებს, არამედ თვით ქალებსაც, რომელნიც ქართველ ქალის თავსაბუ
რავს ერთობ დიდხანს ატარებდნენ უცხოეთში. ქართველ ებრაელთ
საქართველოდამ სხვადასხვა კუთხეებში გარდასახლების შესახებ სხ
რამ საერო მიზეზები არა არის რა, პირდაპირ ებრაელთა ცხოვრებ
ნო არს და აღორძინების ლტოლვა. არავინ იფიქროს, რომ ესენი ქა
რთლიდამ სარწმუნოების დევნის გამო გადიოდნენ, არა, ესენი ქართ-
ლიდამ ვაჭრობის და აღებ-მიცემის მხრით მიემგზავრებოდნენ. ცნობი-
ლია, რომ მთელი აზიის მცხოვრებ ებრაელთა წინაშე მცხეთა და მისი
გამგეობა ყველგან ცნობილი ყოფილა. ყოველ ებრაელთა რთული სა-
სულიერო საქმე მცხეთაში გაირჩეოდა მათ მიერ ებრაელთა მღვდელ-
მთავართაგან. აზიის ყოველ თემთა მცხოვრები ურიანი მცხეთისკენ
ისე მიილტოდნენ, როგორც ბეთლემს, სიონს, იერუსალიმს, ისევე
მცხეთას უმზერდნენ იგინი და პატრონობდნენ. ურიასტანშიაც ასევე
იყო და ებრაელთა სასულიერო წოდება მთელს კავკასიის უპირველეს
საბინადრო, წმინდა ადგილათ მცხეთას სთვლიდნენ. ერთის სიტყვით,
მცხეთა და მის ურიათა მღვდელმთავარნი იყვნენ ისრაელთა შუაგუ-
ლში ანუ ზღუდე კავშირსა, რომელიც მთელს ოტებულთ ებრაელთა
რიცხვს იერუსალიმს უახლოვებდა.

როგორც ვსთქვით ზემოთ, ადერკ მეფის დროს იშვა იესო, ამ დროს საქართველოში ებრაელთა შორის სამღვდელო პირთაგანნი სახლოვნებდნენ მღვდელნი მრავალნი. მაგრამ უმეტეს მღვდელნი ლონგინოზ კარასნელი და ელიოზ მცხეთელი, გამოჩენილნი იყვნენ ებრაელთა შორის იმ დროს არა მარტოდ სამღვდელო პირნი, არამედ ერისკაცნიც და თვით მდედრობითი სქესიც, ამის მაგალითი გაბლავსთ ელიოზ მცხეთელის დის, სიდონიას ცნობიერება, რომელიც „ქართლის ცხოვრებაშიც“ მოიხსენიება. იესოს დაბადების შემდეგიდამ, ვიდრე მის ჯვარცმამდე, ებრაელთა სასულიერო წოდება დიდს ქენჯასა და მერყეობაში იყო შთავარდნილი. იესო წინააღმდეგი იყო მათი, ეს ითხოვდა მოსეს სჯულის შეცვლას, მის მაგიერ ახლის სჯულის მიღებას. იესო ამას ჰქადაგებდა ხალხში აშკარად. ამით მან ხალხიც აიყოლა, ებრაელთა ტომის ერში მწვალებლობა დაითესა. ეს გარემოება ებრაელთა სასულიერო წოდებას ძრიელ აწუხებდა, დიდათ სწყინდათ მათ და იესოს ეუბნებოდნენ, რომ ჩვენ შენს თქმულებას ვერ მივიღებთ, მოსეს სჯულს უარს ვერ ვყოფთ. განვიხილავთ, გავარჩევთ, თუ რამ უადგილოს ვპოვებთ, იმას გამოვტოვებთ და მის მაგიერ სხვას დავსდებთ, ხოლო სრულიად შეცვლას კი ვერ ვიზამთო. ამაზედ მოხდა დიდი დავა და სწორეთ ამ გარემოებამ გამოიწვია იესოს ჯვარცმაც, რასაც ებრაელთა სამღვდელოებაც დიდათ ითხოვდა. ებრაელთა სამღვდელოებას საქმე გაუჭირდათ. სახუმარო აღარ იყო. ამათ განიძრახეს ებრაელთა შორის მსოფლიო კრების დანიშვნა და ეს მალეც მოახერხეს. ამ დროს ურიასტანი რომის იმპერიას ემორჩილებოდა. მართალია, ებრაელთ თავიანთი მეფეც ჰყავდათ, მაგრამ იგინი მაინც რომის იმპერიას ხარკს აძლევდნენ, ურიასტანში რომაელთა სენატი არსებობდა. რომაელთ სენატსაც შეჩივოდნენ ებრაელთა სამღვდელონი, ატყობინებდნენ, რომ ჩვენში გამოჩნდა ერთი კაცი, სახელდობრ, იესო, იოსების ძე ნაზარეველი, რომელიც თავის თავს ძე ღვთისათ აღიარებს და მოსეს სჯულის წესებსაც ეწინააღმდეგებაო, ჩვენ ვითხოვთ მის სამართალში მიცემას და დასჯასო. ვიდრე ებრაელთა სამღვდელოება თავისს საწადელს მიაღწევდა, მინამ საქართველოს ადერკ მეფის მეშვიდე წლის მეფობის დროს მცხეთელ ურიებს ასეთი ცნობა მოუვიდათ იერუსალიმიდამ: „სპარსთა იერუსალიმი წარსტყვევნეს, ყოველივე ურიათა წარიღეს“. მცხეთელ ურიებს დიდათ ეწყინა ესეთი ამბავი. მათ იწყეს დაქცეულს სამშობლოზედ ტირილი, გოდება სიონზედ, ცხარე ცრემლის ფრქვევა იერუსალიმის ნაშთებზედ. გოდება მცხეთელ ურიათა იყო უმწარესი სამსალი და ვაება, რომელიც ოხვრით მოსთქვამდნენ ურიანი. მეორე წელს, ურიათა საბედნიეროთ, საქართველოში მცხეთელ ურიებს სხვა-

დასხვა ამბავი მოსელიათ, აი, ეს ამბავიც სიტყვა სიტყვით:

„სპარსნი არა წარსტყვევნად მოვიდეს იერუსალიმს, არამედ აქვნდათ ძღვენი ყრმისა ვისიმე შობილისათვის". ე. ი. მოგვთა მოსვლას აღნიშნავს, ამიტომ იგივ მატიანე მოგვითხრობს ასე: „განიხარეს ურიათა მცხეთელთ", იწყეს ლოცვა ღვთისადმი, მადლობა, რომ მათი სამშობლო მტერს არ აუოხრებია. უხაროდათ ეს მით უფრო, რადგანაც მგზავრობით მათ გამოსცადეს მრავალნაირი ტყვევნა და დარბევა. შორს მყოფთა დიდათ შესტკიოდათ გული თავიანთი ქვეყნისათვის. ნახეთ, რას ნიშნავს მამულისშვილური სახმილის ალები. ურიანი დაწყნარდნენ და მალე მცხეთიდგან მთელს კავკასიის ებრაელთაც ეუწყათ სასიხარულო ამბავი, რომ იერუსალიმი მშვიდობით გადარჩენილაო. ამ ღღეთა შემდეგ, ანუ იესოს დაბადების 27 წლის შემდეგ, მცხეთელ ურიათა მღვდელმთავარს იერუსალიმის ურიათა მღვდელმთავარ ანნასაგან შემდეგი წერილი მოუვიდა: „ვითარმედ, რომლისათვის იგი მოვიდეს, მოგვნი და შესწირეს ძღვენი, აღზრდილ არს იგი და იტყვის თავისათვისა ძედ ღვთისად და სხვასა რასმე ახალსა სჯულსა გვიქადაგებს და აწ წარმოგვივლენია მოციქულნი სჯულისანი. მოვიდეთ უკვე ყოველნივე მოსეს სჯულსა თანამდებნი და განვაბჭოთ მას ზედა. აწ თქვენგანიცა წარმოვიდენ მეცნიერნი სჯულისანი. მანდეთ, რათა სჯულსა ძმათა ჩვენთა შეუცვალებელი ვყოთ და დავამტკიცოთ და მცნება მოსესი აღვასრულოთ, რათა ახლით მით სჯულითა რომელ რასმე გვიქადაგებს. არა შეაცდენე, უმარტივესნი ვინმე სჯულისა ჩვენისანი, ხოლო სიკვდილითაცა მისითა შური ვიძიოთ"*.

რაც ზემოთ ვსთქვით, ის აქ კარგათ სჩანს, რომ ებრაელთა სამღვდელოებას იესოს ღწვა და შრომა უჯეროთ მიუღიათ, ჩვენს მოსეს სჯულს ვერ გადავალთ, ახალს ვერას მივიღებთო... მწიგნობარნი კაცები შევიკრიბნენ, ჩვენს სჯულს განვარჩევთ, მასში თუ რამ მეტია, იმას გამოვტოვებთ, ხოლო რაც კარგია, იმას კი არ დავივიწყებთ, მოსეს სჯულს ვერ გადავალთო. ამ წერილიდამ ცხადათ მტკიცდება, რომ ურიასტანის სამღვდელოების წინაშე მცხეთელნი მღვდელნი იმოდენათ პატივცემულნი ყოფილან, რომ მცხეთაშიაც მოუმართავთ და უთხოვნიათ იერუსალიმს წასვლა, მოსეს სწავლის გარჩევასა და განბჭოებაზედ დასწრება და მით საყოველთაოდ კითხვების გათავება. ამ დროს მცხეთაში, როგორც ზემოთაც ვახსენეთ, ურიათა გამოჩენილ მღვდელათ ირიცხებოდა ელიოზ მცხეთელი, კაცი მწიგნობარ-მკურნალობითაც ცნობილი და მღვდელი ლონგინოზ კარსნელი. ურიასტანი-

* „ქართ. ცხ.", I ტ. გამ. 1896 წ. თფ.

დამ ეს ორი მოძღვარი ყოფილა მიწვეული. მცხეთელ ებრაელთ იმ დროის ურიასტანის ერის ცხოვრების საქმეები კარგათ სცოდნიათ და მასთან იესოს ქადაგების ცნობებიც. ამათ სცოდნიათ კარგათ ის საქმეებიც, რომ იმავე დროს, ე. ი. როცა მოსეს სჯულს გაარჩევდნენ და თუ მათში უვნებელს არას ჰპოვებდნენ, მაშინ იესოსთვის სიკვდილი უნდა მიესაჯათ, რათა მით მოსპობილიყოს მოსეს სჯულზედ კამათი. ამის ამბები საქართველოს ებრაელებს მწიგნობართაგან ჰქონდათ შეტყობილი.

ელიოზი და ლონგინოზი მალე წავიდნენ მცხეთიდგან, მალეც გასცილდნენ საქართველოს საზღვრებს და დროის განმავლობაში ურიასტანსაც მიაღწიეს. მალე დაესწრნენ ურიათა მღვდელმთავრობის კრებას და ყოველი კამათი, ბჭობაც მოისმინეს. განარჩიეს მოსეს სჯული, მასში მეტი ვერა სცნეს რა და მის მოკამათე იესო სამართალში მისცეს და ვითარცა მათ ურჩი და მოსეს წესის მგმობელის სამართლის ძალით დასჯა ითხოვეს, დასჯა სიკვდილით, რათა მისი მსგავსი მოსეს სჯულის სხვა არავინ გაუჩნდესო. ყოველივე ესე ელიოზ მცხეთელმა და ლონგინოზ კარსნელმა თავიანთი თვალით ნახეს და გაიგონეს გასაგონი. რამდენიმე ხნის შემდეგ ესენი ურიასტანიდამ დაბრუნდნენ საქართველოში, თან მოიტანეს ბევრი რამ საყურადღებო ცნობები და ყოველივე მცხეთელ ურიებს აუწყეს და მერე მცხეთიდამ საქართველოს სხვა კუთხის ებრაელთაც ეცნობა, ნამეტურ ბოდელთ ანუ ბოდბისხევის ურიათა, სადაც მათი რიცხვი მაშინ ერთობ დიდი იყო. ამ დღიდამ საქართველოს ურიანი თავიანთ მამა-პაპის სჯულზედ მტკიცედ დაშთნენ. მათ არავისაგან რამე საშიში ანუ საცდუნებელი აღარა მოელოდათ რა, რადგანაც მათ კარგათ გაიცნეს იესოს საქმენი. მასთან მისის შაგირდებისაც, რომელნიც დაცემულ იქმნენ და უარყოფილნი. ურიასტანის სამღვდელოებას დიდი სიფრთხილე ჰქონდათ მცხეთელ ურიების, საქართველო ურიასტანიდამ ერთობ შორს არს, ვაითუ საქართველოში იესოს სწავლამ მიაღწიოს და ურიანი შეცდნენ და მოსეს სჯულს გადავიდნენო. იმიტომაც სწერენ ურიასტანიდამ: ჩვენ დიდი შიში გვაქვს, რათა საქართველოს ურიებამდის იესოს სწავლამ არ მოაღწიოს და თქვენც არ მიიღოთ იგიო. მობრძანდით ურიასტანში, განვიხილოთ მამა-პაპათა სჯული, თუ მასში რამე ცუდი ვნახოთ, იგი გამოვტოვოთ და უკეთესი დავიტოვოთო, უამისოდ კი სრულიად მისი დატოვება ჩვენგან არ შეიძლებაო.

როგორც საქართველოს ებრაელნი ელტოდნენ თავიანთ დაქცეულის სამშობლოს არსების ტრფიალებას, ისევე ურიასტანის სასულიერო წოდება აპყრობდა ამათ ყურადღებას. ურიასტანში ყველა ებრაელთა სჯულის კაცთა კარგათ იცოდნენ, რომ საქართველოში ურიებ-

ის რიცხვი ერთობ დიდი იყო. მათ შორის მყოფ ანამემამულეთათვის გული დიდათ შესტკივოდათ. მცხეთელ ურიებს მეტად კარგათ იცნობდნენ თვით იესოს მოციქულნიც; როგორცა სჩანს, მოციქულებს საქართველოს ებრაელთა ცხოვრების საქმეები კარგათ უნდა სცოდნიყოთ, გულიც კი ეთანაღრებოდათ მათი ცხოვრების შესახებ, ეთანაღრებოდათ მით უფრო, რადგანაც ებრაელთა საქართველოში მცხოვრებთ მზერდნენ ურიასტანიდამ ერთობ შორს მდგარათ, სამშობლო ქვეყნიდამ სასტიკათ მოწყვეტილთ. ობლად მიაჩნდათ ასე დაშორებულთ თანამემამულეთ ცხოვრება. ამიტომაც იყო, რომ იესოს მოციქულებმა ამ კუთხის პატრონობაც ისურვეს და მასთან თანამემამულეებში თავიანთი სჯულის გავრცელება ანუ სწავლის აღორძინება. ამისთვის კრებაც ქმნეს და საქართველოს ურიები წილად ხვდა ანდრია მოციქულსა. ამიტომ იგინი იესოს შემდეგ საქართველოსაც მიაქციეს ყურადღება და ურიათა საქადაგებლადაც მოვიდნენ.

II

ქართველნი ებრაელნი ცხოვრების მხრით, როგორც ქართველ მაშასახლისურის გამგეობის დროს, ისევე ერთმეფობის დროსაც სრულის დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ. მათი სასულიერო წოდება თავისუფალი იყო ბევრნაირი შეეიწროებისაგან, გარდა ამისა, უპირატესობითაც იყვნენ დაჯილდოვებულნი, იგინი იყვნენ თვით ადერკ მეფის წინაშე მწიგნობარ პირებათ და მთარგმნელათ. ამიტომაც მოიხსენებენ ხოფის კანანელთა მთარგმნელთა, ბოდელთა მწიგნობართა მღვდელთა, მცხეთელთა და კარსნელთა მწიგნობართა და მეტყველთა. რაც შეეხება სამეფოს წინაშე მოვალეობის გარდახდას კი — ამას, როგორც ნამდვილი ქართველნი. მოხდებოდა ასე, რომ ერთი სოფლის მეფობის დროს მაგიერობას მეორე სოფელი სწევდა. მაგალითებრ, მოხდებოდა ხანდისხან ისეთი შემთხვევა, რომ საბრძოლველ ასპარეზზედ მეომრათ ანუ მებრძოლათ ვერ გამოიყვანდა, შინაური გარემოება მათ ნებას არ მისცემდა. მაშინ მათ მაგიერ მეორე სოფელს გამოყვანდა მებრძოლნი და ესენი სწევდნენ მაგიერობას. მოვალეობის აღსრულება ისე წმინდათ იცოდნენ, რომ იხოცებოდნენ კიდეც. მერე ამ დახოცილთა რიცხვიც ვალათ ედებოდათ მათ. ამის საბუთია შემდეგი მაგალითი, რომელიც მოხსენებულია „ვახუშტის გეოგრაფიაში“ ასე: „კარსნელთა ჰმართებთ კოდმანელთა ხუთი მკვდარი ვიდრე დღემდე[*]. ეს

[*] გეოგრაფია ვახუშტისა. 1848 წ.

ცნობა ძველი უნდა იყოს, თანამედროვე პირისაგან დაწერილი. ასეთის ცნობებიდგან ჩვენმა ძველმა მემატიანეებმა ის დასკვნა გამოიტანეს, რომ ვითომც ქართველნი მკვდარი კაცის ხორცს შეექცეოდნენ და ამიტომ ურთიერთშორის მკვდარსაც სესხულობდნენ. ეს აზრი თვით აკადემიკოს ბროსესაც შეეპარა, მაგრამ იგი მკაცრად დაარღვია დ. ბაქრაძემ და განმარტა*, რომ საქართველოს ტურფა ბუნების მექონ ერისთვის ძრიელ იშვიათი და თან მოუფიქრებელიც უნდა ყოფილიყოს, რომ მშვენიერის ბუნების ნამოქმედარ საკვებისათვის თავი დაენებებინა და მიწაზედ გართხმული მკვდრის ლეში ეჭამა. ეს შეუძლებელიაო და ამიტომ სრულიად უარს ვყოფთ ასეთს მოსაზრებას და საუბარს. „მკვდართ სესხი" შეეხება პირდაპირ იმ მხარეს, რაც ჩვენ მოვიხსენეთ აქვე და რაც ქართველთ შორის საქართველოში საერთოდ იყო მიღებული და ამ საერთო მიღებას საქართველოს ებრაელნიც ემორჩილებოდნენ. მეტად საინტერესო კია ამ კითხვის გარკვევა. ჩვენ პირდაპირ გადაჭრით ვიტყვით, რომ საქართველოს ისტორიულს წიგნებში სრულიად უსაფუძვლოთ არს შეტანილი და მოხსენებული. რომ ვითომც ქართველნი მკვდარს სჭამდნენ, ამის სესხობაც კი იცოდნენ. კარსნას და კოდმანს უმეტესად ებრაელნი ესახლნენ და ამათ რაღა დაემართათ. ნუთუ ესენიც მკვდარსა სჭამდნენ; ეს შეუძლებელია. ამის მაგალითები არც ურიების ისტორიაშია. კარსნელ და კოდმანელ ურიებს მკვდრების სხეული არასოდეს არ უჭამიათ. იესოს ჯვარცმის შემეგ, მცხეთას, ქართველ ებრაელთა შორის სარწმუნოებრივი რამე არევა არა მომხდარა რა, ურიასტანს კი მან ნიადაგი გაიმაგრა, ფესვი გაიდგა, აქა-იქ ებრაელთა შორის იესოს სწავლის მიმდევარნიც გაჩნდნენ. მცხეთელი და სხვა ებრაელნი კი თავისუფლათ დაშთნენ და იგინი ურყევლად სცხოვრობდნენ და მოქმედებას აგრძობდნენ, მათში ვერაფერი სწავლა ნიადაგს ვერ იკეთებდა. ასე გასტანა თითქმის ორმა საუკუნემ. ამ ხნის განმავლობაში ურიასტანიდამ მათში მრავალნი სჯულის თავი კაცები მოდიოდნენ და სცხოვრობდნენ, მაგრამ ყველა იგინი იყვნენ იესოს სჯულის პატივისმცემელნი და მღაღადებელნი. მესამე საუკუნის ნახევრიდამ კი გაჩნდნენ ისეთი მოგზაური ურიათა სჯულის თავი კაცები, რომელნიც საქართველოს ურიებში იესოს მცნებაზედაც საუბრობდნენ. ასეთ პირთა ცნობა ჩვენ ბევრი არა გვაქვს რა, იგი მიმქრალებულია, წერილობითი ცნობები ჩნდება მესამე საუკუნის დასასრულიდამ.

ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ სამი ხანა ებრაელთა გარდმოსახლებისა სა-

* საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა, თბილისი, 1889 წ.

ქართველოში, სამი სხვადასხვა დრო, ეხლა მოვიყვანთ მეოთხე დროსაც, რომელიც მოხსენებულია „ქართლის ცხოვრებაში", სახელდობრ, ქრისტეს შემდეგ, ადერკ მეფის ძის, ბაგრატ მეფის დროს ურიასტანს დაეცა რომის კეისარი ვესპასიანე და ყოველივ იერუსალიმი დაამხო და ურიანი წარტყვევნა. საერთოდ, ებრაელებს საქმე გაუჭირდათ, ამიტომ ებრაელნი კვალად დევნილ-ლტოლვილ იქმნენ. ლტოლვილნი საქართველოში გარდმოსახლდნენ, ამ გარდმოსახლების ამბავს „ქართლის ცხოვრება" ასე გარდმოგვცემს: „ვესპასიანოს რომთა კეისარმან წარმოტყვევნა იერუსალიმი. და მუნით ოტებულნი ჰურიანი მოვიდეს მცხეთას, და დასხდეს ძველადვე მოსრულთა ურიათა თანა, რომელთა თანა-ერთნეს შვილნი ბარაბასნი, რომელი ჯვარცმისა განუტევეს ურიათ". კარგად სჩანს აქედამ, რომ აღნიშნული შემთხვევის გამო ებრაელნი საქართველოში მოსულან, სადაც ძველადგანვე მოსული ებრაელნი სახლობდნენ. სჩანს, მაშ ახლად მოსულ ებრაელთ კარგი ცნობა ქონიათ ძველათ მოსულთ ებრაელთა შესახებ. უნდა მოგახსენოთ, რომ ვესპასიანეს შემდეგ მისი შვილი კეისარი ტიტაც დაეცა და აღაოხრა მთელი ურიასტანი, ამ დროსაც საქართველოში გარდმოსახლებულან ურიანი. ამ გარდმოსახლებულთა ცნობა არ არის ანუსხული. ამ შემთხვევის შემდეგ ურიასტანის და ქართველ ურიებზე ცნობები „ქართლის ცხოვრებაში" არაფერია მოყვანილი, ყოველივე დაფარვას ეძლევა. მთელი საუკუნე თავდება ასე, ქართველთ ურიათა შესახებ არაფერი სჩანს, ხოლო მირიან მეფის დროს მცხეთელ ქართველ ურიათა ასპარეზზედ ჩნდება ქართველ ურიათა მღვდელი აბიათარი. აბიათარ მღვდელი წმინდა ნინოს მოსვლასაც მოესწრო და ბოლო დროს მას დაემოწაფა კიდეც. ასევე დაემოწაფა ნინოს აბიათარ მღვდლის ქალი, ცნობილი სიდონია.

აბიათარ მღვდელი ანუ ურიათა მღვდელმთავარი თავისი დროის კვალად მწიგნობარ პირად სჩანს და მასთანვე ურიასტანის და იერუსალიმის დიდს მოტრფეთ და გულშემატკივრათაც. იგი რომ ასეთი პირი ყოფილა, ამას ამტკიცებს თვით ამ მღვდელმთავრის მოწმობა, რომელსაც თვით იგი უნდა მოგვითხრობდეს, მაგალითებრ, აი, რა ცნობებია მოყვანილი „ქართლის ცხოვრება"-ში აბაითარ მღვდლისაგან: ცნობები შეეხება იმ დროსა და ხანას, როცა წმინდა ნინო საქართველოში მოვიდა. ამას სიტყვით გამოეცხადა, ჰაზრის დასკვნა მკითხველისათვის მიგვინდვია:

„მე, აბიათარ მღვდელი, ვიყავი წლით ხვედრებელი მის წელიწადისა, ოდეს წმინდაი ესე და ნეტარი ნინო მოიწია მცხეთად, და მისვე ჟამსა მოწევნულ იქნა ჩემდა წიგნი ანტიოქიით ურიათაგან მღვდელთა". შემდგომ ამის წერილი მოუთხრობს, რომ ურიათა სამეფო ვანს-

ქდა. ცოდვა მოგვერია ისრაელთა ძეთა და ქვეყანა ჩვენი რომთა დაიპყრესო. ამაზედ მოწმობს აბიათარი ასე: „აღესრულა ყოველივე, და ვანვიბნიეთ ჩვენ ყოველსა ქვეყანასა და რომთა დაიპყრეს ქვეყანა ჩვენი: ურიანი ვტიროდით ჩვენ ერითურთ დღეს, რამეთუ განვარისხეთ შემოქმედი ღმერთი". აბიათარი სწერს, რომ ისრაელთა სამეფო ჩვენის მამა-პაპათა ცოდვებისაგან განსქდაო და მიტომ დაეკარგეთ ჩვენც წმინდა ტაძარიო. შემდგომ ამის აბიათარი მოგვითხრობს სპარსთაგან იერუსალიმის დაპყრობის ამბავს და ქართველთ ურიათა გლოვას. ამ უბედურობის ამბავი აბიათარ მღვდელს თავისი მშობლებისაგან გაუგონია და იმათ კიდევ თავიანთ მშობლებისაგან სმენიათ. ე. ი. თითქმის სამი თაობის ამბებია. ამ ამბავს აბიათარ მღვდელი აი როგორ გადმოგვცემს: „მე, აბიათარ, მოგითხრობთ თქვენ თხრობასა მას, რომელი მეუწყა და ყურითა ჩემითა ვისმინე, მამისა და დედისა ჩემისაგან. და რომელი წიგნთაგანაცა უწყი. რამეთუ მათაც პაპათა და მშობელთაგან თვისთა მოთხრობით და სმენით უწყოდეს. ოდეს იგი მეფობდა ჰეროდე იერუსალიმს, მას ჟამსა გვესმა ესრეთ „ვითარმედ იერუსალიმი სპარსთა დაიპყრეს", რომლისთვისა იქმნა გლოვაი და წუხილი ურიათა ზედა ქართველთა, მცხეთელთა მკვიდრთა, ბოდბელთა (ბოდბისხევი) მღვდელთა, კოდის წყაროელთა, მწიგნობართა და ხოფის კანანელთა თარგმანთა, რომლისათვისაც ეს ყველანი აღძრნენ წასელად და შეწევნად იერუსალიმელთა".

ზემოთაც მოვიხსენეთ და აქაც ვიტყვით, რომ „ქართლის ცხოვრება"-ში მოხსენებული კოდისწყაროელ მწიგნობარნი, ხოფმის კანანელ მთარგმნელი და ბოდელი მღვდელნი აღსანიშნავია, რადგანაც მათ თავიანთ დროს ქართველ ებრაელთა ცხოვრების ასპარეზზედ მნიშვნელოვანი ადგილი უნდა სჭეროდათ. ამ მნიშვნელობას თვით მათი მოხსენებაც აჩენს ცხადათ. კარგათ ვიცით, რომ ასეთ პირთა რიცხვი ებრაელთა შორის ყოველთვის ყოფილა, რადგანაც იგინი მათის ცხოვრების აგებულებისათვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენდნენ. ერთი მწიგნობარი და მთარგმნელი პირის სიკვდილის შემდეგ მეორე პირი იჭერდა ადგილსა. უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთ მწიგნობართა თვით ქართველებზედაც დიდი ზეგავლენა ექნებოდათ, რადგანაც იგინი საქართველოს სამეფო გამგეობისაგანაც პატივცემულნი იყვნენ. აღსანიშნავია აქ ის გარემოებაც, რომ თვით ებრაელნიც იმავ თავიდგანვე დიდათ ესიყვარულებოდნენ ქართველთა და საქართველოს ისე უმზრდნენ, როგორც თავიანთ ძველს სამშობლოს, ამიტომაც არის, რომ ებრაელთ იმავ თავიდგანვე თავიანთ თავებს ქართველთ ებრაელნი უწოდეს ანუ, როგორც მოიხსენებენ, „იქმნა გოდება და ტირილი ურიათა ზედა ქართველთა", ე. ი. საქართველოს ან ქართველთ ურიები. ზემოთხსე-

ნებულთ მწიგნობართა და მთარგმნელთ არსებობის საფუძველი ჩვენ ცხადს დასკვნას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საქართველოში უმთავრესად ურიანი სცხოვრობდნენ შემდეგ ადგილებში:

ბოდბისხევს, ძველად მთლად ებრაელნი ყოფილან დასახლებულნი. ბოდბელი მღვდელნი ბოდბისსეეის ურიათა მღვდელს ნიშნავს. ბოდბისხევს ურიათა დასახლება უნდა ყოფილიყოს შემდეგ დროს, იმ დროს, როცა უჯარმა საქართველოს სატახტო ქალაქათ იყო დანიშნული. ურიასტანიდამ ოტებულნი ურიანი საქართველოში პირველად ქართველთ სატახტო ქალაქ უჯარმას უნდა მისულიყვნენ, ჯერეთ აქ უნდა დასახლებულიყვნენ და შემდგომ აქედგან უნდა გადასულიყვნენ ბოდბისხევს. თვით უჯარმაშიაც რომ უნდა ეცხოვრათ ებრაელთა, ამას კარგათ აჩენს ის მაგალითიც, რომ თვით წმინდა ნინოს ცხოვრების აღმწერელათ, მისივე ნამოწაფარი სალომე უჯარმელი არს, რომელიც, რასაკვირველია, ნინოს აბიათარ მღვდლის ასულ სიდონიასთან ერთად დაემოწაფა და რომელი ქალიც ისრაელთა კაი მცნობიც იყო. სალომე უჯორმელი ჩვენს ისტორიაში ცნობილ პირათ ითვლება, მას საპატიო ადგილი უკავია თავის ისტორიულის აღმწერლობით. უნდა ითქვას, რომ ძველ ქართველთ ებრაელთა შორის არა ერთი და ორი ქალი სჩანს მწიგნობარნი, ღვთისმეტყველნი და თვით მკურნალობის და სხვადასხვა ხელობათა საქმის მცოდნენიც. მაშინ ყოველივე ამათგან იწერებოდა ებრაულს ენაზედ, შემდეგ დროს კი ქართულ ენაზედ იწყეს წერა. წმ. ნინოს ცხოვრებაც ასევე ასწერეს მათ ქართულს ენაზედ, რომელიც მოთავსებულია „ქართლის ცხოვრებაში“.

სიდონია — ებრაელი მღვდლის, აბიათარის ქალი იყო. იგი მწიგნობარი უნდა ყოფილიყოს როგორც ებრაულს მწიგნობრობაში, ისევე ქართულში. ქართულის მწიგნობრობის საფუძვლათ ჩვენ ის გარემოება მიგვაჩნია, რომ ამ დროს, საქართველოში, ქართული ანბანი და წერა უკვე გაჩაღებული იყო. რადგანაც იგი აღორძინდა ქრისტეს წინეთ, ფარნავაზ საქართველოს მეფის დროს. სიდონიას ქართულს ენაზე სხვადასხვა აღწერანი დაუტოვებია. ერთი ამის აღწერა მოთავსებულია „ქართლის ცხოვრების“ I ტომში, რომელიც ასე იწყება: „თქმული სიდონია დედაკაცისა, რომელი იყო მოწაფე წმინდისა ნინოსი, რომელი ესე იხილა და დაიწერა მოქცევა სასწაულითა მირიან მეფისათა და შევრდომაი ნინოსი აღსარებისათვის“ და სხვ.

სამწუხაროა და თან საყურადღებოა ის გარემოება, თუ ბოდბისხევში ურიები როგორ სცხოვრობდნენ და ან მათ იქ როგორ განვლეს და ან შემდეგში როგორ მოისპნენ. უჯარმის მოსპობის მიზეზები ჩვენ კარგად ვიცით. ურიათა მოსპობის მიზეზათ ის უნდა ვაღიაროთ, რაც თვით ქართველთა მოსპობის ანუ უჯარმის აოხრობის გამო მოხდა,

ებს ჩვენ უკვე ვიცით. მაშასადამე, საქმე ბოდბისხევის ურიათა ცხოვრებას შეეხება და მისი ანუსხვა უნდა იყოს საჭირო. ბოდბისხევში მცხოვრები ქართველი ურიები ქრისტეს წინა დროებიდან თითქმის ქრისტეს შემდეგ მეშვიდე საუკუნემდე სჩანან. შემდეგ და შემდეგ კი მათი რიცხვნი აქეთ-იქით სახლდებიან ვაჭრობის გამო და უკანასკნელ ბოდბისხევს სრულიად ისპობა მათი რიცხვი, ქრება მათი ცხოვრების ნავალი და მისი კვალი <...>

გურია. გურიას რა დავარქვათ, გურია, გულია, თუ თათართაგან გიაურია. გია-ურია-საგან უნდა იყოს ეს წარმოშობილი, ამისი ისტორიით არა ვიცით რა, ადგილობრივ დაშთენილი ცნობები კი საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გურია უნდა წარმომდგარი იყოს გურიიდამ <...> ურიასტანიდამ საქართველოში ებრაელთა მოსვლა და გურიაში დასახლება ქრისტეს წინეთ უნდა მომხდარიყოს. დრო ამისი არ სჩანს, ერთობ შორს კი უნდა მისწვდეს, თითქმის პირველ გარდმოსახლების დროს <...>

ხობს (ლაზისტანს) როდის მოვიდნენ და დასახლდნენ, ამის ცნობა სისწორით არ სჩანს. აქაც ძველათ უნდა იყვნენ მოსულნი, ქრისტეს წინეთ, რადგანაც მათ აბიათარ მღვდელიც მოიხსენებს. მაგალითებრ, მოხსენებულ არს: „ხობის კანანელთა თარგმანთა", ე. ი. ხობის კანანელი მთარგმნელიო. რა არის ეს თარგმანთა, ხოფელი რის კანანელი იყო და რის მთარგმნელი, ამაზედ არა ვიცით რა, სასიამოვნო კი უნდა იყოს მისი გაცნობა. ვფიქრობთ, რომ ხობელნი ანუ ხოფლელნი მწიგნობარნი მღვდელნი უნდა ყოფილიყვნენ და მასთან ებრაულის ენიდამ მთარგმნელიც. მასთან უპირატესი პირნი და უპირატესი ადგილებიც უნდა ჰკავებოდათ. ხობელი ურიები ვაჭრობას ყოფილან შეჩვეულნი, ამიტომ მათი რიცხვით მოფენილა მთელი ლაზიკა ისე, რომ არ დარჩენილა სოფელი და დაბა, რომ იქ ებრაელნი ვაჭარნი არ ყოფილიყვნენ. ამათ ძველადგანვე შეაჩვიეს ლაზები აღებ-მიცემას და ხელოსნობას, სულ ასეთ გარეგან შემოსულ პირთა წყალობა გახლავსთ, რომ ლაზები ძველადგანვე წავიდნენ წინ, დღეს იგინი შენიშნულნი არიან როგორც ხელოვანი ვაჭარნი, ხელოსნები და სხვა.

ქართველთა ებრაელთ თავიანთ წილათ ყველგან დიდი სიკეთე მოჰქონდათ საქართველოში. ამიტომაც იყო, რომ მათ ქართველთაგან სრული პატივისცემაც დაიმსახურეს. როგორც ვიცით, ებრაელთა რიცხვი ლაზისტანში კარგა ხანს დარჩა, უმრავლესი რიცხვი კი ძველადგანვე დაუკავშირდნენ ქრისტიანობას, ამით თავიანთი გვაროვნება და ენა დაკარგეს და ლაზური შეითვისეს. XVIII საუკუნის ნახევრამდე ლაზისტანში ებრაელნი აქა-იქ კიდევ სცხოვრობდნენ თავიანთის სჯულით, ხსენებული საუკუნის ნახევრიდამ კი მათ იქ შემცირება იწყეს

ლი აქეთ-იქით გადასვლა, გარდასახლება. მაგალითებრ, მაშინ გადასახლდნენ ხობიდამ ქ. ტრაპიზონს და ზოგიც სხვა ქალაქებში. ტრაპიზონში მცხოვრები ქართველი ებრაელნი ქართულად ლაპარაკობდნენ, მათ იქ კარგახანს შეინახეს ქართული ენა და ტანთსაცმელი, თვით ქართველ მაჰმადიანებმა დაკარგეს ქართული ენა და ებრაელთა კი შეინახეს. ძველად ოსმალურად ქართველ ებრაელთა ქუჩას „გურჯი მეჰელე" ანუ ქართული უბანი ეწოდებოდა, დღეს კი არა ვიცით რა ამის შესახებ. ებრაელთა ლაზისტანიდამ გარდასახლება იმ გარემოებამაც გამოიწვია, რადგან ლაზისტანი ოსმალეთმა დაიმორჩილა, იგი გაერთიანდა ოსმალეთის სამეფოსთან, ქართველ ებრაელთაც ისარგებლეს ამით და როგორც ერთსამეფო, ესენი ხოფიდამ ტრაპიზონს გარეშე სხვადასხვა ქალაქებსაც გადასახლდნენ. მაგალითებრ, მთელს მცირე აზიაში სულ ლაზისტანიდამ მოედნენ და გადასახლდნენ. საქმე ისე მოეწყო, რომ დღეს ლაზისტანში ძირეულ ქართველთ ებრაელთა შთამომავალთაგანი აღარ სცხოვრობენ. იქ ამათი ჩრდილიც აღარ სჩანს, რაც გადავარდნენ და სხვა სარწმუნოებას დაუკავშირდნენ, იმათ გარდა, ვინც ებრაელათ დაშთნენ. იგინიც ისე დაიფანტნენ აქეთ-იქით, რომ მათი ცხოვრების დღეს აღარა სჩანს რა. სამწუხაროა ჭეშმარიტად ის გარემოება, რომ ებრაელის ტომის ძეთა საქმეს ყველგან ასეთი გულსაწვავი გარემოება და მომავალი ევლინებოდათ. დღეს ლაზიკაში ამათი რიცხვის აღარა არის რა, ამბათაც კი არავის ეცოდინება, რომ ლაზისტანს ძველად ქართველ ურიათა რიცხვი მეტად დიდი იყო.

მცხეთელი (ქართლის) ურიები, რაც ზემო და ქვემო ქართლს ქართველი ურიები სცხოვრობდნენ, ყველა იგინი იწოდებოდნენ მცხეთელ ურიებათ ანუ კარსნელ-კოდმანდელათ. როგორც ვსთქვით, მცხეთა ებრაელთათვისაც ისეთივე აკვანი და კერა იყო, როგორც ჩვენ ქართველთათვის. მცხეთას ურიათა დასახლება ანუ დასხდომა ეკუთვნის პირველ ძველ დროს, თითქმის ურიათა პირველი გარდმოსახლების ჟამს. მცხეთელი ურიები და მათი მღვდელმთავარნი მაღლა მდგარნი არიან დანარჩენ ურიებზედ და მათ სასულიერო პირებზედაც. დღეს კი მცხეთას ქართველ ურიათა ცხოვრების ნასახი, აჩრდილიც კი აღარ სჩანს. აღარ სჩანს ასევე კარსნისს, სადაც ძველათ მთლად ურიები იყვნენ. გარდა კარსნისა, მცხეთას გარშემო სოფლები მთლად ურიებით იყო მოფენილი, მათი რიცხვი დიდი იყო. აქედგან მოეფინნენ იგინი ქართლის სხვადასხვა სოფლებში, მაგრამ ჟამთა ვითარების მეოხებით ვერც სხვაგან დარჩნენ მრავლად, სხვაგანაც უმეტესად იგივ ხვედრი მოევლინათ, რაც ზოგიერთ ადგილებში იქმნა მოვლენილი. დღეს ქართლში თუ ვინმე სცხოვრობს ასეთ ურიათა შთამომავალნი, მათი რიცხვი დიდი არ არის და იგინი სულ რამდენსამე დაბასა და სოფელში ბცხოვრობენ.

ასე და ამგვარად, ოდესმე მრავლად მცხოვრებ ქართველ ებრაელთა რიცხვიდამ ჩვენ დღეს დაგვრჩა მეტად მცირე რიცხვი ქართველ ებრაელთა. ვინც არიან, ესენიც თითქმის გარდაგვარებას ეძლევიან და მცირდებიან. ვიცით, რომ ძველად ქართველი ურიები საქართველოში მის მიზეზითაც უფრო მცირდებოდნენ, რადგანაც მათ საქართველოდგან თვით იერუსალიმსაც კი იწყეს გარდასახლება. საქართველოდამ ამათი გარდასახლება, როგორც ზემოთაც ვსთქვით, არა ხდებოდა რამე განსაკუთრებით შემაწუხებლის პირობების წყალობით, არამედ თვით ურიათა სურვილით, ნებით და ურიასტანის სიყვარულით. საკვირველი ერთი ის გახლავთ, რომ თვით საქართველოდამ ძველად გარდასახლებულ ურიათაც კი შეინახეს ქართული ენა და იგინი იქ ქართული ენით თვით ჩვენს დრომდისაც კი საუბრობდნენ. საქართველოდამ ძველად ურიასტანში გარდასახლებულ ურიათა ცნობები თვით ჩვენი დროის ქართველმა ურიებმაც კი კარგად იციან და ესენიც საუბრობენ, რომ ძველისძველად ქართველი ურიები საქართველოდამ ურიასტანში თავის ნებით მრავლად გარდასახლებულანო, ამაზედ ქართველთ მეფენიც ეხმარებოდნენო.

სანატრელია, რომ ქართველ იქაურ ებრაელთა ცხოვრების კვალსაც კარგათ ვიცნობდეთ, ვიცოდეთ ყოველივე ამათი ცხოვრების და გარდასახლების ცნობები, მაგრამ ეს კარგათ არ ვიცით. მეტი არ იქმნება აქ მოგახსენოთ, რომ ქართველთა და ქართველ ებრაელთა შორის ძველადგანვე დიდი სიყვარული ვრცელდებოდა, ქართველნი ებრაელთ დიდათ სცემდნენ პატივს, მათ ისე უმზერდნენ, როგორც საქართველოს მოხიზნულთ, გარედამ მოსულთ და დასახლებულთ ერთი ლუკმა პურის შოვნის გულისთვის. ქართველთა ურიების დიდი სიბრალული ჰქონდათ, იგინი ამათ მფარველობდნენ ყოველნაირის მხრით და ცხოვრების საქმეებით. ძველადგანვე ურიები სარგებლობდნენ ისეთის სრულის თავისუფლებით, როგორც თვით ქართველნი. მათში გარჩევა არაფრისა იყო, საქართველოს ებრაელთაც იცოდნენ საქართველოს სამეფოს და ქართველთა ასეთი საქციელი და ამიტომ ესენიც შესაფერად უმზერდნენ და პატივს სცემდნენ მათ.

ქართველ ურიას საქართველო ძველათგანვე ისე უყვარდა, როგორც თავისი ქვეყანა, სამშობლო და მისი მფარველობა, სადაც მას თავისუფლად შეეძლებოდა ყოფნა, ცხოვრება და თავისი ქონების და ცოლ-შვილის დაფარვა. ქართველი ერი მათ ისე უყვარდათ, როგორც უვნებელი მფარველნი, პატივისმცემელნი და ვაჭრობასა და მეურნეობაში დიდი მექმაგენი. საზოგადოთ, ქართველებს ჩვეულებათ ჰქონდათ, რომ ვინც კი მათს ქვეყანას მიეკედლებოდა და დასახლდებოდა,

იმას იგინი მაშინ მეტის თავაზით და პატივისცემით უმზერდნენ. ამიტომაც იყო, რომ ქართველნი ებრაელთ დიდ პატივსაც აგებდნენ, ქართველნი ყოველთვის ზნეობრივ მოვალედ სთვლიდნენ თავიანთ თავს, რადგანაც ქართველთ ბაგრატოვანები მათ შთამომავლათ მიაჩნდათ. გარდა ამისა, ქართველთ კარგად ესმოდათ ის ღირსებაც, რომ ურიების საკუთრებას შეადგენდა მოსე, დავით, თვით იესო, მისი დედა და ყველა მისი მოციქულნიც მთლად ურიები იყვნენ. ესეც კარგათ ესმოდათ ქართველთა და ამიტომ უფრო ახიჭებდნენ სრულს ადამიანურს ღირსებას, ამ ღირსებას ბაგრატიონებიც, რასაკვირველია, უფრო ადიდებდნენ, რადგანაც მათ კარგათ იცოდნენ თავიანთი შთამომავლობის ისტორია, თავიანთი თავი დაბადების და სახარების მეოხებით თვით ღვთისმშობლის ნათესავათაც მიაჩნდათ. ასეთი დამოკიდებულება არსებობდა ქართველთა და ებრაელთა შორის ძველადგანვე.

ქართველნი ძველადგანვე ებრაელთ აძლევდნენ საკუთრებათ მამულებს, ადგილებს უხვად, ტყეს, მთას და ველს. აძლევდნენ საპირო და სავაჭრო საქმეებს, უცხო ქვეყანაში წასვლის დროს სხვადასხვა დავალებას და, ვინ იცის, კიდევ რამდენ რაგინდარას, რასაც ჩვენ ყველას ვერ ძოვსთვლით, ძოკლეთ, უბდა ითქვას, რომ ძველადგანვე ქართველი ურია საქართველოს გამგეობისაგან სარგებლობდა იმავ უფლებით, იმავ პირობით, როგორც თვით ქართველნი და რომ ითქვას, ქართველებზე უფრო უკეთესათაც. ურიების ასეთი მდგომარეობა საქართველოში შეურყევლად არსებობდა ძველის საუკუნოებიდამ. ბაგრატიონების გამეფების შემდეგ ხომ ესეთი მდგომარეობა მათი უფრო წინ წავიდა, უფრო ძლიერებით შეიმოსა. შემდეგ საუკუნოებში კი ამგვარ გარემოებას სახე შეეცვალა. ქრისტიანობის განმტკიცების და აღორძინების შემდეგ ევროპაში ურიების დევნა სასტიკათ იწყეს და ამ გარემოებამ არც საქართველო, ქართველნი და ურიები დასტოვა უყურადღებოთ. ქართველთ შორისაც კი გავრცელდა ურიათა დევნა და აქა-იქ ხმამაღლა ძახილი. ქართველებშიაც იწყეს მათი გმობა და ცილისწამება ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, რომ ვითომც ურიები ქრისტიან ბავშვთა სისხლს სვამდნენ. ამ გარემოებამ ყველგან გაიდგა ფესვი და ურიებს ყველგან დაუწყეს დევნა, წამება და ტანჯვა. მაგრამ საქართველოში კი ეს ასე უკიდურესობით არ იყო. საქართველოში სხვაგვარ მოიმართა საქმე. ევროპაში ურიათა დევნა VIII საუკუნიდამ იწყეს. ამ დროიდამ მათთვის დგება მეტად ბნელი ხანა, მეტად ქარიშხლიანი და უკანასკნელ დიდს წერტილამდისაც ადის. ურიებს სტანჯავენ ყველგან შეუბრალებლად, საქართველოში კი ეს ასე არ ხდება, ურიათა მფარველად მთელი ბაგრატიონების ძალა ხდება, მასთან სამეფო გამგეობა-ერიც.

სამეფო გაძგერობა უაღრესად იღწვის დაუცხრომელად და მათ ბევრნაირის ბრალდების და ცილისწამებისაგან ათავისუფლებენ. ამათი მდევნელი და მწამებელი საქართველოში არავინ არის. სამეფო სძებნის ურიათათვის პირობიან ცხოვრების გარემოებას და ამიტომ უკანასკნელ ქართველ ურიებს ყმათ აძლევენ ქართველთა დიდრონ ეკლესიებს, მღვდელმთავრებს და მღვდლებს, რათა იგინი ამ სახის ძლიერის მფარველობისაგან მაინც იქნენ დაცულნიო. X საუკუნის შემდეგიდამ ქართველი ურიები ყმათ ეძლევიან მცხეთის დედა ეკლესიას, გელათს, ალავერდს, სიონს და ბევრსაც სხვა წვრილმან ეკლესიებს. ეკლესიის მფარველობის ქვეშ შესულნი ყმა ისრაელნი მართლაცდა ასეთის პირობების მეოხებით შთებიან საქართველოში უვნებლათ და მშვიდობით. მათ ვერავინ რა ბრალს სდებდა. რადგანაც მათ იცოდნენ, რომ ურიებს რამე დაეშავებინა, იმას თვით მათივე მეგბატონე ეკლესია და მღვდელმთავარი გარდაახდევინებდა, იგი არაფერს შეაწევდა, მაგრამ რაც მათს ცხოვრებაში იგი ვერას ხედავდა, ამიტომ მასზედ იგი არც ხმას სცემდა, ნაცვლად ამისა ურიებს ქართველნი საკმარის ქომაგობასაც უწევდნენ და ამიტომაც იყო, რომ ურიებიც ქართველ მღვდელმთავართ და დედა ეკლესიებსაც კარგად ემსახურებოდნენ, არსად ესენი არას უფუქებდნენ. ყოველ წესრიგს ცხოვრებისას დიდის მორიდებით ასრულებდნენ, არსად არავის რას უშავებდნენ, ყმაწვილების ტანჯვა, ქრისტიანთ დევნა და სხვა ამგვარნი მათ გვერდით რჩებოდა როგორც ჭორი, მოგონებული, უდიერი ცილი და ბოროტი ბრალდება. უნდა მოგახსენოთ, რომ ებრაელთა ეკლესიურის ყმობისაგან შეინახეს თავი საქართველოში უვნებლათ და ყოველივე სახსარი მათის მომავლის ცხოვრებისა მხოლოდ ასეთმა გარემოებამ წაიყვანა წინა და შემოსა მშვიდობიანის ფარგლით.

ძველად ქართველი ურია ეკლესიის ხარკს დიდის ხალისით ხდილობდა. იგი ხარკათ აძლევდა პურს, სიმინდს, ღვინოს, წმინდა სანთელს, თაფლს, საკმელს, ძაფს ანუ ნართს, ფულს, ფართალს და ყველა იმ ნივთეულობას, რაც კი მათ გააჩნდათ. გარდა ხარკისა, იგინი სამსახურსაც უწევდნენ და სამსახური ყოველთვის ერთგული იყო და უფრო ადამიანური. ურია ქართულ ეკლესიას ანუ სალოცავს ისე უმზერდა, როგორც მოსეს და დავითის ტაძარს. ქართველი ურია ქართულს ეკლესიაში სამტროს არას ხედავდა, იგი ერთგულათ ემსახურებოდა მას და ეკლესიაც მიტომ მფარველობდა და მშვიდობის მყოფელის ცხოვრებით ფარგლავდა. მიზეზი ურიათა უზადო და უეშმაკო ცხოვრება იყო, რომ იგინი სამხედრო ბეგარისაგან ძველადგანვე იქნენ განთავისუფლებულნი, მათი სამხედრო ბეგარის გარდასახადი ქართული ეკლესიის ხარკით ისაზღვრებოდა. თუმცა ურია სამხედრო ბე-

გარას ეკლესიის ხარჯით იხდიდა, მაგრამ როცა საჭიროება იქმნებოდა, მაშინ ესენი არც სამხედრო სამსახურს გაურბოდნენ, შეძლებისდაგვარად სამხედრო სამსახურსაც ემსახურებოდნენ, რითაც შეეძლოთ, ხელით, ფეხით, ენით და ნივთიერად ემსახურებოდნენ. საქართველოს დაცემის შემდეგ, როცა საქართველო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ გაიყო, ამ გარემოებამ ქართველი ურიებიც დააღონა, დააფიქრა, დაცემულთათვის კვალად დაცემა დიდი ცეცხლი იყო. დანაწილებულს საქართველოს ესენი ცრემლით მზერდნენ. ახალციხელი ურიები ყოველთვის ჰგოდებდნენ საქართველოს დაცემას. სამცხე-საათაბაგოში მცხოვრებნი ხშირად გადადიოდნენ თფილისში და თავიანთ ქართველ მეფეს ოსმალთა ამბავს მოუთხრობდნენ. ამით ქართველ ურიებს საქართველოს წინაშე დიდი ამაგი აქვთ დათესილი. ქართველ ურიასაც ისევითვე სამსახური მიუძღვის და უფრო უკეთესიც, როგორც თვით ქართველს. ასეთნი იყვნენ ურიათა შვილნი საქართველოში, ისე უყვარდათ მათ ქართული ენა და საქართველო, რომ მათ არც ერთს გაჭირვებაში ქრისტიანებთან ერთად საქართველოსთვის არასდროს ზურგიც არ უქცევიათ იოტის ოდენად. თუმც ისიც კი უნდა ითქვას, რომ ამათ ასეთს სიკეთეს ქართველნი ხშირად ივიწყებდნენ, ურიებზე ბევრს რასმე საოხუნჯო ცნობებს და ჭორებს ავრცელებდნენ, ერთს ოხუნჯობას აქვე მოვიყვანთ.

თფილისში ქართლის მეფეს ომის გამო საქმე ძრიელ გასჭირებია, ამ მეფეს ქართველ ურიებისთვისაც მიუმართავს, ვითომც ცხინვალში ასი ურია შეკრებილა ერთად, ცხენებზედ შემსხდარან და მეფეს ხლებიან თფილისში და გამოსცხადებიან. მეფეს სიამოვნებია, როცა 100 ქართველი ურია ერთად შეკრებილი უნახავს, მადლობა უთქვამს. შემდგომ მადლობისა ვითომც მეფისთვის უკითხავთ: რომ ახლა რას გვიბრძანებთ, სად უნდა წავიდეთ საომრადო? ცნობა მალე უცნობებიათ, შემდეგ ამისა ვითომც ურიებს უთხოვნიათ მეფისათვის, რომ ნეტავი გზაში ყარაული გაგვაყოლოთო, თორემ ჩვენ არც გზა ვიცით და ყაჩაღებისაც გვეშინიაო. მეფეს ამაზედ გაუცინია და ამიტომ უთქვამს ურიათათვის: არა, შვილო, თქვენ ბრძოლის ველზედ მეომრად ვერ გამოდგებით, წადით ისევ თქვენს სახლში. ურიებს დიდათაც გახარებიათ, მეფისათვის მადლობა მოუხსენებიათ და თან თავიანთი ცხენები ბარგი და ფულიც იმათთვის დაუთმიათ, ვინც სამხედრო სამსახურში შევა და ბრძოლის ველზე წავაო. ურიები წამოსვლის დროს ერთმანერთს ეტყოდნენ კითხვით, ვითომც: — „ელეო, რამდენი დაგრჩა ფული?“ — „30 კაპ.“ — პასუხათ მიიღებდა, ე. ი. ყოველივე გარდაუხდიათ სამხედრო ბეგარის გამო, რომ თვით მხოლოდ 30 კაპ. დაუტოვებიათ გზის ფულად. ეს გარდმოცემა აქ ამბათ მომყავს, თუმცა კა-

რგად სჩანს, რომ საქართველოში ებრაელთა გმობა და დევნა ძველადგანვე იყო მოსპობილი და ამ მოსპობას ყველა ემორჩილებოდნენ, მაგრამ ერთა შორის მოიპოვებოდნენ თითო-ოროლა ისეთნიც, რომელნიც ამ გარემოებას ეწინააღმდეგებოდნენ და ებრაელებზე საოხუნჯო ანდაზებს და ამბებს ადგენდნენ. რაც შეეხება საგმობელსა და საგიობელს მხარეს კი, ეს ყოველთვის მათში ამოკვეთილი იყო. ამის ცხადი საბუთია აქ მოყვანილი საოხუნჯო გადმოცემა, რომელსაც ენებითი, უდიერობის და უსამართლობის არაფერი სცხია ისე, როგორც ეს სხვა სახელმწიფოებში ხდებოდა საბრალო ებრაელთა წინაშე.

მაინც საქართველოს სამეფო VIII საუკუნიდამ ძლიერდებოდა და XI—XII საუკუნოებში მან ისეთ ძლიერებამდე მიაღწია, იგი ისეთის მცოდნე ლაშქრის პატრონი იყო და ლაშქრობის რიცხვიც იმოდენი იყო, რომ მათთვის სრულებითაც არ იქნებოდა საჭირო ბრძოლის ასპარეზზედ ქართველი ურია საომრათ გაეყვანათ. რაც შეეხება საშუალ საუკუნოებს ანუ XIII—XIV და შემდეგ საუკუნეთა გაჭირვებულ ქართველთა გარემოებას, ამ გაჭირვების დროს კი ქართველნი არც ურიებს დასტოვებდნენ უყურადღებოთ. ამასაც ფიქრი არ უნდა, რადგანაც მტრის მახვილით თავდასხმა ანუ დაცემა ურიასაც ისევე ელოდა, როგორც თვით ქართველს. თათარი რომ თფილისს დაეცემოდა, იგი არ კითხულობდა იმას, თუ ვის სახლ-კარს იკლებდნენ ისინი — ქართველი ქრისტიანისას თუ ურიასას, მათვის ორივ ერთი იყო, ვინც კი შეხვდებოდათ მათ წინ, ყველას, რასაკვირველია, მუსრს ავლებდნენ.

ურიებმაც, რასაკვირველია, კარგად იცოდნენ ასეთი მდგომარეობა ქვეყნისა და რაღა ფიქრი უნდა, რომ არც იგინი იქნებოდნენ ოცნებაში გართულნი და გულზედ ხელებდაკრეფილნი. უეჭველია, თავიანთის ქონების გამო ესენი უფრო ღიდს შიშში იქნებოდნენ შთავარდნილ, რათა მტერთაგან არ აოხრებულიყვნენ და ამიტომ ცხადი საქმეა, რომ იგინი არც საბრძოლველ ასპარეზს მოერიდებოდნენ და არც მახვილის აღებას ხელში. როგორ შეიძლება ითქვას რამე მასზედ, რომ ებრაელთა საქართველოში, ქართველთ გაჭირვების დროს, სადმე რამე მონაწილეობა არ მიეღოთ, ეს შეუძლებელია და ამიტომ ჩვენ უარვყოფთ იმ მოსაზრებას, რომ ვითომც ებრაელნი საქართველოში ვაჭრობის გარეშე სხვას არას აკეთებდნენ.

ქართველ ურიათა ცხოვრება ძველადგანვე თავისუფალი იყო და იგინი არავის ემორჩილებოდნენ, იერუსალიმის ძენი ბაგრატიონების მეოხებით აზატნი იყვნენ ყველაფრით. მხოლოდ შემდეგ საუკუნოებში, როგორც სჩანს, სხვადასხვა გარეშე მტერთა გავლენის გამო, რაკი ქართული ეკლესია უძლურებას მიეცა, ამიტომ ეკლესიას ურიათა

მფარველობაც კარგად აღარ შეეძლო, ამას ქართველი ურიებიც კარგად ჭრძნობდნენ და იგინი ქართველებში სძებნიდნენ თავიანთი ნებით სხვადასხვა მებატონეთა და მათ ყმობას რჩეობდნენ, რომ გაჭირვების დროს მტერთაგან დაცულნი და დაფარულნი ყოფილიყვნენ. საქმე და მათი ცხოვრების გარემოება ისე ეწყობოდა, რომ მათთვის ეს აუცილებელს საჭიროებას შეადგენდა და ამიტომაც იგინი ხდებიან საბატონო ყმებათ და უპირატესათ ეძლევიან ყმათ იმ თავადისშვილებს, რომელნიც ურიათა შთამომავლათ ითვლებოდნენ. ასეთია, მაგალითებრ, თავადი ციციშვილები. თავადისშვილთა ციციშვილებს გარდა ურიათა შთამომავალთ ქართველთ თავადისშვილები სხვებიც მრავლად იყვნენ, მხოლოდ მათი გვარის ცნობებმა ჩვენ დრომდე ვერ მოაღწიეს, იგინი ძველადგანვე ამოწყდნენ, მოისპნენ, დღეს ჩვენთვის მათის აღარაფერი სჩანს, ასეთ მებატონეთა ურია ყმები შემდეგ სხვებზედ გარდავიდნენ, სხვა ქართველთ მებატონებზე, რომელ ყმებმაც თვით ბატონყმობის გათავისუფლებასაც მოაღწიეს.

XII საუკუნიდან XIX საუკუნის ნახევრამდე, ქართველი ურიები საქართველოში ყმებათ ირიცხებოდნენ შემდეგ მებატონეთა: სამეგრელოს — დადიანის, იმერეთს — ერისთვისშვილების და სხვათა. ქართლს: ციციშვილების, ავალიშვილების, ფალავანდიშვილების, მაჩაბელის, ერისთვიშვილების და ასევე კახეთს, სამშვილდეს, სამცხეს და სხვაგან თავ-თავის ადგილმდებარე მებატონე თავადისშვილებს. მეთორმეტე საუკ. მებატონეთა შესახებ ჩვენ ბევრი რამ ცნობები არა ვქვეს რა. საშუალ საუკუნოების შემდეგ დროებიდამ კი ზოგი რამ ცნობები მოიპოვება აქა-იქ ძველს წიგნებში, მაგრამ იგი უნდა იყოს მეოცე ნაწილი იმ ცნობათა, რაც კი ქართველთ ისრაელთა ბატონყმობის ცნობებს შეეხება. ის კი სჩანს, რომ საქართველოში არ ყოფილა სადმე დიდი ტაძარი და თავადისშვილი, რომ იმას ურია, ყმად არა ყოლოდა. საეკლესიო ყმათა რიცხვი ძველადგანვე დაშთა მათ სამკვიდრებლათ ჩვენ დრომდე, საბატონო ურია ყმანი კი შემდეგ საუკუნოებში მრავლობდნენ. ასე რომ ურიათა ყმობა ქართველ ეკლესიას თითქმის IX საუკუნიდამ დამკვიდრებია. ჩვენის ფიქრით, სწორეთ ასეთი გარემოება უნდა ჩაითვალოს იმის უმთავრეს მიზეზათ, რომ საქართველოში ქართველ ურიათა რიცხვი დიდათ შემცირდა, უმეტესი ნაწილი გაქრისტიანდა. დროის მეოხებით გაქართველდნენ<...> ასეთ ურიათა ხელ ემატება ის გარემოებაც, რომ ზოგნი მათგანნი საქართველოდამ უცხო ქვეყნებშიაც მიემგზავრებოდნენ, სადაც ვაჭრობის მხრით იქვე შთებოდნენ და უკან აღარ ბრუნდებოდნენ.

ისიც კი უნდა ავნუსხოთ, რომ ყმა ებრაელთა რიცხვი ხშირად ზოგიერთ მებატონეთაგან მცირეთაც იდევნებოდნენ. ვინ იცის, იქნება ასეთი მაგალითები დევნათაც არ ჩაითვალოს, მაგრამ ჩვენ მაინც ავნუსხავთ როგორც ისტორიულს ფაქტს. ქართველ მებატონეთა ძრიელ ხშირად იცოდნენ თავიანთ ყმათა ქალების მზითევში გატანება. ზითევში ატანდნენ არა ერთსა და ორს პირს, არამედ მთელის ოჯახობით და ხანდისხან ხუთს და ათს ოჯახსაც კი ერთად. მაგალითი ვიცით, რომ ზოგს შემთხვევაში ორმოცი ოჯახიც კი გაუტანებიათ, ეს გარემოება ხშირად ხდებოდა უფრო ვაჭრობის მიზნით, ყოველი მებატონე ნამეტურ ეტრფოდა და ელტოდა ურიათა ყმობას ანუ ზითევში გატანებას. ებრაელს საცა კი გაატანდნენ ზითევში, იქ ის უეჭველად ვაჭრობას დაიწყებდა, აღებ-მიცემას გამართავდა ადგილობრივ და გარეშე ნაწარმოებთა საშუალებით. იყვნენ, რასაკვირველია, ისეთი მებატონენიც, რომელნიც თავიანთ ყმა ურიებს მეტად სინდისიერად ეპყრობოდნენ, იყვნენ ისეთნიც, რომელნიც თავიანთი ბოროტებით აწუხებდნენ, ხშირად საქონელს სტაცებდნენ, მაგრამ, რა გაეწყობოდა, სადაც ასეთი მებატონენი იყვნენ, იქ კარგნიც მოიპოვებოდნენ, ამას, ვგონებთ, უარს ვერავინ ვერა ჰყოფს. არც ჩვენ ვმალავთ და მოგვყავს შემდეგი მაგალითიც:

XVIII საუკუნის 35 წლებს საქართველოდამ გაძევებულ იქნა კათოლიკოზი დომენტი* საბერძნეთის, ტენედოსის ჭალაში ექსორიაქმნილი. დომენტი კათოლიკოზი იქ კარგა ხანს დაშთა და ამ ხნის განმავლობაში ფრანცუზის ვაჭრების და საბერძნეთის პატრიარქის მას ვალათ დასდებია 5500 ლევი. ეს ვალი რამდენიმე ხნის შემდეგ საქართველოში მოითხოვა პატრიარქმა, მაგრამ დომენტის იგი ვერ გადაეწყვიტა, მის გადასაწყვეტად საქართველოდამ გაუგზავნია 17 ყმა ურია და ერთი ოქროს თასი. რომელნიც ყველა ესენი დაყიდულა 4000 ლევად ანუ 400 მან. ასე და ამგვარად, თავნ ვალს დაკლებია 1500 ლევი ანუ 75 მანეთი. სჩანს აქედამ, რომ 15 ურია 350 მან. გაყიდულა, კაცი 25 მან. ოქროს თასიც 50 მანეთად. 1749 წ. საბერძნეთის პატრიარქს კვალად დაუწყია ანტონ კათალიკოზთან მიმოწერა, რომ თქვენზედ 1500 ლევი ვალი ირიცხება და გთხოვთ იგი გამოგვიგზავნოთო. ასეთის ცნობებით კარგად სჩანს, რომ ქართველთ მებატონენი თავიანთ ყმა ურიებს საქართველოში გაცემასა და დარიგებას გარდა, თვით უცხო ქვეყნებშიაც კი გზავნიდნენ, გზავნიდნენ როგორც შემწირველობით, ისეკე გასაყიდათ.

ჩვენ ამ გარემოებას ვერ მოვეწყობით, დომენტის არ უნდა ექმნა ესეთი საქმე, რომ 17 ურია უცხოეთში გაგზავნა გასაყიდათ, რათა მა-

*) ტიმოთეს მოგზაურობა იერუსალიმს. 1852 წ. თფილისი.

თის ფულით ვალი გადაეხადნა, მაგრამ ერთი საკვირველი ის არის, რომ ამ 17 ურიამ 400 მან. როგორ ვერ იშოვნეს და თავი სულ ვერ ვაითავისუფლეს.

დომენტი კათოლიკოზი ლეონ ირანთა მსაჯულის შვილი იყო, ძმა ვახტანგ მეექვსისა. ყველას რომ ეკადრა ურიების გაყიდვა, ამ მღვდელმთავარს მაინც არ უნდა ექნა, რადგანაც ქართველი ურიის საქართველოდამ მოცილება იყო თვით ქართველთ დაღუპვა, ღალატი. ურიები საქართველოში ქართველებს არას უშავებდნენ და, მაშასადამე, ქართველები მათ რაღას ერჩოდნენ. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, გვარში ერთი შახინჯი არ დაილევა. ასეთი იყო დომენტი და ასევე იყვნენ იმ დროს მისი მონათესავე ორბელიანებიც, რომელთაც ებრაელთა ერთი ყმაც კი არ შეირჩინეს, რადგანაც ყველა იგინი დაყიდეს, დააგირავეს და აქა-იქ გაცვალეს სხვადასხვა ნივთებზედ.

იმერთა ბატონიშვილს დავითს ცოლად ჰყავდა ორბელიანის ქალი. ამ ქალს მშობლებმა ზითევში სხვათა შორის ურიებიც გაატანეს. ეს ურიები შემდეგ საეკლესიოდ იქნენ შეწირულნი, რომელთაც საეკლესიო ხარკი უნდა ეხადათ. ამ გათავისუფლების მიზეზათ გახდა ის გარემოება, რომ დავით ბატონიშვილის ცოლი უშვილო იყო, დავითი ღმერთს შევედრებია, რომ შვილი მომეცეო. შვილი მისცემია, ამ გარემოების გამო დავითსაც ურიები გაუთავისუფლებია. ურიების ზითევში გატანება ქართველ მეგატონეთ ჩვეულებად ჰქონდათ, ურიებს კი ფასი ედოთ, ამიტომ საქართველოში არ ყოფილა ერთი სახლიშვილი, რომ მათ ყმა ურია არა ჰყოლოდა. ამათ ყმობას მით უფრო ნატრობდნენ მეგატონენი, რადგანაც დაჩაგრულნი უფრო უკეთესად უხდიდნენ ხარკს, ვიდრე ყმა ქრისტიანი გლეხები.

სულ ეს იყო საბრალო ქართველ ებრაელთა ყმობის ტრფიალება და მიზეზები, რომ ყველა ქართველი თავადიშვილნი ნატრობდნენ მათს ყმობას. ქართლის მეგატონეთა შორის ურიათა ყმობის რიცხვი შემცირდა იმ დროდგან, რაც მათ იმერეთში იწყეს გადასახლება. იგინი აქ ისე შეწუხებულ იყვნენ, რომ მეგატონეთაგან აქ თავს იხსნიდნენ, იმერეთში გადიოდნენ და იქ ეძლეოდნენ ცხოვრებას და იმერთა მეგატონეთ ყმობას. სჩანს, იმერთა მეგატონეთ ყმური დამოკიდებულება უფრო პირიანი იყო, ვინემც ქართლისა. ამიტომაც მოხდა, რომ მთელი ქართლის ურიები იმერეთში გადასახლდნენ. უნდა დაუმატოთ, რომ მართლაცდა იმერთ მეგატონეთ ზრდილობა და ყმათა წინაშე დამოკიდებულება ბევრათ სჯობდა ქართლის მეგატონეებისას. ქართლის მეგატონენი სრული დესპოტები იყვნენ და იმერნი კი მათზე ზრდილნი და ფხიზელნი იყვნენ. ეს, მე მგონია, დღესაც კარგათ სჩანს ამ წოდებათა შორის, თუ ვინმე ყურადღებას მიაქცევს და მათ ყოფა-ქცევას ასწონ-დასწონაეს.

აბა ვინ იტყვის, რომ დღევანდელი იმერთ თავადაზნაურობა არ სობიან ქართლის თავად-აზნაურებს. თავდ-აზნაურებს გარდა, ქართლსა და იმერეთში ურიათა გლეხნი ყმათ თვით ბაგრატიონთ გვარის წევრთაც ყვანდათ. ბაგრატიონებს დიდ სანაქებო საქმედ მიაჩნდათ, როცა ამათ ურიები ყმათ ჰყავდათ. ყმა ურიებს იგინი სიამოვნებით სწირავენ ეკლესიებს, ამ გარემოებას ამართლებს და ასაბუთებს შემდეგი მაგალითიც იმერეთში, თვით გამოჩენილი და წრფელი მეფე სოლომონ მეორე აი, რაგვარ ცნობას გვიტოვებს: რადგანაც სოლომონ იმერთა მეფის პირველის სურვილით გვამი მისი დასაფლავებულ იქნა გენათის მონასტერში, ამიტომ მე, ჩემის მხრით, ხსენებულს მონასტერსვე ვსწირავ სამს კომლს ჩემს ურიათა ყმებს, რომელთაც წლიურათ გაენათის ტაძარს უნდა გადაუხადონ ხარკათ წელიწადში ფულათ 15 მანეთი და ერთი ლიტრაც წმინდა სანთელი*. უნდა მოგახსენოთ, რომ როგორც სოლომონ პირველი იმერთა მეფე. ისევე მეორეც. მეტად ჭკვიანი ბრძენი კაცები იყვნენ. ერთიცა და მეორეც ქართველ ებრაელთა ცხოვრების აყვავილების საქმეს არაფრით არ ეწინააღმდეგებოდნენ. როგორც სოლომონ პირველი, ისე მეორე, იმერთ ებრაელთა ცხოვრებას სულაც არ ავიწროებდნენ და არსად და არასდროს ებრაელთ უბრალოთ არავის სწირავდნენ. იმერთა ბატონიშვილები ქართველ ებრაელთ უფრო ნათელის შეხედულებით აფასებდნენ. ვიდრე ქართლ-კახეთის კეთილშობილნი, ამ გარემოებას თუ დავაკვირდებით, მის პასუხს თვით ქართველ ებრაელთა ცხოვრება მოგვცემს, როგორც ძველი, ისევე აწინდელი. თვით ქართველი ურიები იტყვიან მკაფიოთ. რომ მათთვის ცხოვრება იმერეთში უფრო ადვილი არს და სასარგებლო. ვიდრე ქართლსა და კახეთში.

როგორც ვსთქვით. ურია ყმათა ყვანდათ საქართველოს უპირველეს სახლის შვილებს და მათ შორის ყვანდათ აგრეთვე დადიანებსაც. ამას ცხადათ ამტკიცებს შემდეგი ცნობა: 1793 წელს დადიანის ასულმა. მარიამ დედოფალმა, საეკლესიოთ შესწირა ერთი მოსახლე ურიის ოჯახისა. ამ ქალს სამეგრელოდანაც ყოლია ურიები ზითევში გატანებული. ეს ქალი სოლომონ მეფის მეუღლე იყო, როგორც ვიცით. სოლომონსაც ყვანდა ურიები ყმათ. სამეგრელოში ურიათა მრავლად მოფენა XVII საუკუნიდამ ეკუთვნის. ჩვენ კარგათ ვიცით. რომ მარტოდ ერთს შემთხვევის გამო, ქართლიდამ ქართველი ურიების 10 კომლი გადასახლდა სამეგრელოს. იგინი დადიანს მიეცნენ ყმებათ, იქ დაიწყეს ცხოვრება და მასთან ალებ-მიცემაც. რასაც თვით დადიანებიც უმადლიდნენ.

იმერთ მებატონეთა შორის ქართველ ებრაელთა ტრფიალება და

* გუჯრები.

ფასი იქამდე ყოფილა განღვიძებული, რომ იმერთ მებატონენი ზოგიერთ ებრაელთა ოჯახს ქართლიდამ თუ ნებით არა ძალითაც კი იტაცებდნენ. ამის მაგალითია შემდეგი: 1792 წ. როსტომ ფალავანდიშვილი შესჩივის მეფეს, რომ წერეთელი დაეცა ჩემს სოფელსა და სხვათა შორის, მოიტაცა ერთი ჩემი ყმა ურია თავის ოჯახითაო. მე ამ ყმა ურიის დაბრუნებას ვითხოვ, რადგანაც იგი მე მზითევში მაქვს მიღებული. ვსთხოვ თქვენს უმაღლესობას, რომ სოლომონ მეფეს და წერეთელს მისწეროთ, რომ ჩემი ყმა მევე დამიბრუნდესო*. წერილიდამ სჩანს, რომ ვითომც წერეთელი შეიარაღებულის კაცებით დასცემია ფალავანდიშვილის ყმებს. ამას გარდა, სხვა ურიებიც წაუყვანიათ, ცნობა არის, რომ ვითომც ურიები წერეთელს სიამოენებით. თითქმის სიხარულით მისდევდნენ.

რა იყო მიზეზი ამ სიხარულით წასვლის, ამაზედ აქ ჩვენ არას ვიტყვით, რადგანაც ზევით უკვე გაკვრით ვილაპარაკეთ. რაღა ფიქრი უნდა, რომ სადაც ურიებს ასე ელტოდნენ, იქ უეჭველია მათი ფასიც ეცოდინებოდათ. მაინც იმერელ ებრაელთა ცხოვრებაც გაცილებით სჯობია ქართლის ურიის ცხოვრებას.

ქართლის ურია სრული ღატაკია, საწყალი, ჩულებში გახვეული, შინ არაფრის მქონე და ტანი ძონძებით მოსილი. იმერელი ურია კი ასეთ გარემოებას მოცილებულია, იგი ბევრად სჯობს ქართლის ურიას, ესეც, რასაკვირველია, ცხადი საბუთია მის, რომ ურიები იმერეთში უფრო უკეთ სცხოვრობდნენ, ვიდრე ქართლში. ამის მიზეზად ესეც უნდა ჩაითვალოს: ვახუშტის მოწმობით, ქართლში ურიები არამც თუ მარტოდ იმ სოფლებში სცხოვრობდნენ, რომელნიც ჩვენ მოვსთვალეთ. არამედ სცხოვრობდნენ კიდევ სხვა კუთხის სოფლებშიაც. მაგალითებრ, ასეთია სამცხეს: „გოკია, ქალაქი სამცხეს, მოსახლეობენ ურიანი და სოფელ ბარალეთსა“. დღეს კი ამ სოფელში ურიის ხსენებაც აღარ არის, ისეა აქ გამორიცხული მათი ხსენება, რომ ერთი კაციც აღარავინ სჩანს.

როგორც ვისაუბრეთ, მთელს ჩვენს გრძელს წარსულს რომ გადავავლოთ თვალი ქართლსა და კახეთში, თითქმის ყოველ საუკუნეში ვნახავთ ისეთ ცნობებს, რომლითაც ცხადათ გამოჩნდება ის სინამდვილე რომ ქართველი მეფენი და მთავრები თავიანთ ყმა ურიებს თითქმის ყოველთვის სწირავდნენ დედა ეკლესიებს. ასეთია, მაგალითებრ, კახეთის მეფის, ლევანისაგან შეწირული მცხეთის ეკლესიისადმი ური-

---

* ვახუშტის გეოგრაფია 30 გვერდი.

ათა საქმე*. ამათ გარდა, ლევანმავე შესწირა იერუსალიმს, ჯვარის მონასტერს, რამდენიმე მოსახლე ურია და იესოს საფლავსაც, სულ 80 კომლი ქართველი ურია იქმნა გარდასახლებული იქითკენ, რომელთაც საგზაოთაც მიეცათ საკმარისი შეძლება. ურიები სიამოვნებით წავიდნენ იერუსალიმს, დასახლდნენ იქ და თავიანთ ვალსაც ხდილობდნენ, ამ ურიებთან საქართველოდამ მათ მონათესავე ურიებს ხშირი მიწერ-მოწერა ქონდათ და წარმოიდგინეთ ისიც, რომ ურიები ყოველთვის ერთმანეთს ქართულათ სწერდნენ წერილებს. ამათი ქართული წერილები არამც თუ საშუალ საუკუნეების გვაქვს ჩვენა, არამედ ქრისტიანობის გავრცელების პირველი საუკუნოებიდამაც კი მოაღწიეს ჩვენს დრომდის, რომელსაც ქართველთ მეცნიერნი ნამდვილ ქართველთ შვილებთაგან ნაწერად ხადიდნენ. ყველას ასე ეგონა, რომ ქართველის ნაწერიაო, ანუ იმ შეწირულ ქართველ ქრისტიან გლეხთაგან, რომელნიც ბევრათ ადრე იქნენ ქართველთ მეფეთაგან შეწირული. ასეთ შეწირულ ქართველ ებრაელთა რიცხვი ძველთაგანვე ერთობ დიდი ყოფილა. ებრაელთა ცხოვრება საქართველოში ძველად თავისუფლათ არსებობდა, მათ ცხოვრების ხელისშემშლელი არავინ ყავდათ. იგინი მოქმედებდნენ თავისუფლათ, ცხოვრობდნენ შვიდობიანად, სარგებლობდნენ თითქმის ყველანაირ უფლებით. მათი მოდავე და დამშლელი არავინ იყო. იგინი თავისუფლათ იძენდნენ მამულებს, მასთან ჰყიდდნენ და ყიდულობდნენ კიდეც. ერთის სიტყვით, პირველ და შემდეგ საუკუნოებში საქართველოში ქართველი ურიაც ისეთივე საქართველოს შვილი იყო, როგორც თვით ძირეული ქართველი. ესენი ყველა ქართველ მეფეს პატივს სცემდნენ, სამეფო საქმეს თითქმის ეთანავანებოდნენ, არ თქმულა და არ გაგონილა, რომ ოდესმე ქართველ ურიას ან საქართველოსთვის ეღალატნოს, ან მეფისათვის, და რამე ცნობები სხვა სახელმწიფო მტერთათვის გარდაეცათ, თუმცა ამის შემთხვევა მათ ხშირად მიეცემოდათ, რომ ეს ასე ექმნათ, რადგანაც იგინი სავაჭროს მიზნით ხშირად მოგზაურობდნენ უცხო სახელმწიფოებშიც, მაგრამ არ შვრებოდნენ.

ურია ქართველთ შორის ძველადგანვე არ იყო ისე დევნილი და ჩამობილი, როგორც ევროპაში. ევროპაში ამათ, ვინ იცის, როგორ აწვალებდნენ, სტანჯავდნენ და თითქმის აფურთხებდნენ**, თმის გაკრეჭას არ უშვებდნენ, საქართველოში კი ამის მსგავსი არავის არ შეეძლო და ურია თავის ჭერ-ქვეშ მშვიდობით იძინებდა. საქართველოს ურიე-

---

* ვახუშტის გეოგრაფია.

** სპასოვიჩის სიტყვა.

ბრ ამ გარემოების წყალობით უფრო მისდევდნენ აღებ-მიცემასა და ვაჭრობას. ამის მიმდევრობამ კი იგინი ერთმანეთს დააკავშირა, ერთი ურია მეორე ურიას გადააბა არა მარტო ვაჭრობის საქმით, არამედ ცხოვრებითაც, აღებ-მიცემითაც და სხვა რამ ცხოვრების მხარეებითაც. ესენი მთელს საქართველოში ცნობილ იქნენ როგორც ვაჭრები და ისე სადმე სიტყვა „ურია“ არ იხსენებოდა, რომ იქ იგი მაშინათვე ვაჭრობით არ ყოფილიყოს ცნობილი. ვაჭრობა ამათიც თავისუფალი იყო და თვით ნებიერი საქართველოს სამეფოც ამისთვის მათ დახმარებასაც აძლევდა. მათს ვაჭრობის საქმეებს მფარველიც ჰყვანდა დანიშნული, რომელიც მჭიდროთ ზედამხედველობასაც უწევდა. თვით მგზავრობის დროსაც კი ებრაელ ვაჭრებს გზაში სამგზავროთ კაცებს ატანდნენ, რომელთაც ურია ვაჭარი ერთის ადგილიდამ მეორე ადგილამდის უნდა მიეყვანათ. მათი გამცარცვავიც ან მკვლელნიც სასტიკათ დაისჯებოდა. ვაჭარ ურიის ყოველივე ზარალი უნდა აღედგინათ, ნამეტურ პასუხი ეკითხებოდა გზის კაცს, გზის კაცთა გარდა მათ ღამის გუშაგიც ყავდათ დანიშნული. ასეთი იყო მათი ვაჭრობის პირობები საქართველოს სამეფოს წინაშე.

ქართველი ურიები ვაჭრობის გარეშე მეურნეობასაც ძველადგანვე მისდევდნენ. მეურნეობის დარგიც მათში გამოარკვია საქართველოს სამეფოს წესწყობილების კეთილმა გარემოებამ, კარგმა პირობებმა. საქართველოს ძველის სამეფოს წეს-წყობილების კეთილმა გარემოებამ, მოლავრმა ცხოვრებამ. საქართველოს ძველის სამეფოს წესებისათვის დიდათ სამძიმო იყო, რომ მას სადმე მცხოვრები გლეხი ჰყოლოდა და ეს გლეხი, გინდა ვაჭარი, ხელოსანი და სხვა უმიწაწყლო ყოფილიყოს უქერო, უვენახო საყანურის უმიწოთ, მიტომაც იყო, რომ საქართველოში ძველადგანვე მეურნეობას ებრაელთა ყოველი ოჯახიც მოსდევდა, ყოველი გლეხკაცი, ამას მიტომ მისდევდნენ, რადგანაც მათ საკუთარი ადგილ-მამულები ჰქონდათ, სავენახე და საყანური ადგილები და მასთან — საბოსტნეც. მაშ რამ აღამაღლა საქართველოს ერი და დააწინაურა ძლიერებით, რასაკვირველია, მეურნეობის ნაყოფმა, დარგმა, მოსავალმა, მაშინ მეურნეობას ისე კი არ მისდევდნენ, რომ მის საშუალებით ვისმეს გამდიდრება ჰქონოდათ სახეში, ეს როგორც დღეს არის, არამედ მას მისდევდნენ როგორც ცხოვრების სახსარს, როგორც მათს გამომკვებელს ძალას და სიცოცხლის მასაზრდოებელს. ასეთის აზრის იყო საქართველოს სამეფო ძველათ და მიტომაც იყო, რომ მათ მიწა-მამულით დაჯილდოებული ყვანდათ თვით ქართველი ებრაელნიც. დღესაც სწორეთ ამ მოწყალების მიზეზია, რომ საქართველოში

ქართველი ებრაელი უფრო მეტის პირობებით სარგებლობს, ვინემც ევროპიდამ მოსული განათლებული ებრაელნი.

საქართველოს მიწისა და ნიადაგთაგან ქართველი ებრაელიც ისევე იყო მიკრული და მიწებებული, როგორც თვით ქართველნი. ასეთი იყო ებრაელთა წარსული საქართველოში და ასეთივეა მათი დღეინდელი ცხოვრებაც. უნდა ითქვას, რომ საქართველოს ურიების ასეთი მდგომარეობა მათმა მერჯულეებმა იერუსალიმიდამ დაწყებული თითქმის ყველა სახელმწიფოში იცოდნენ და ამისთვის ქართველთ მთავრებს და მეფეებსაც იგინი დიდათ უმადლიდნენ. ბევრს ურიის რაბინს და მღვდელმთავარს უკურთხებია თავისი სიტყვით საქართველოს ერი. ბევრს ურიათა მღვდელმთავარს მოუხსენიებია სხვა ტომის ძეთა წინაშე ქართველი ერი როგორც სამაგალითო და მასთან მისაბაძი ებრაელთა სიბრალულში. ასეთი წარსული აქვნდათ ებრაელთა ქრისტეს წინა დროიდამ ვიდრე XVIII საუკუნემდე. ასეთის კეთილის პირობებით სცხოვრობდნენ და ასეთი მისაბაძი კავშირი ქონდათ ქართველებთან, როგორც ესენი ადიდებდნენ და პატივს სცემდნენ ქართველებს, ისევე ქართველები ექომაგებოდნენ და მფარველობდნენ ქართველ ებრაელთაც.

ქართველ ებრაელთა შესახებ ზეპირგადმოცემათ არის დატოვებული ერთი ამბავი, რომელიც მოგვყავს აქ. XVII საუკუნის ნახევარს, ახალციხელი ქართველი ურიები გახმობილ იქნენ ომში. ესენი ამ მიხმობას დიდის სიამოვნებით მიეგებნენ. ბრძანება აღძრეს და მალე მივიდნენ დანიშნულს ალაგას, მაგრამ საქართველოს გამგემ მათი ომში გაყვანა არ მოინდომა, რადგან ურიები ვაჭრობას უძღვებიანო და ამიტომ იგინი გათავისუფლებული იქნენ და შინ დაბრუნებულნიო. მაგრამ ურიებმა ეს ბრძანება პირველად არ იყაბულეს, იუკადრისეს, ათაბაგს მოახსენეს, რომ — ბატონო, ვაჭრობის გზაზედაც გვიგულეთ და აქაცაო. ეს ჩვენი შეურაცხება იქნება, მაშ ჩვენს სახლ-კარს რომ მტერი დაესხას, ნუთუ ჩვენ არ უნდა დავიფაროთ ჩვენი თავიო! როგორ შეიძლება ესაო. ჩვენც კაცნი ვართ, მართალია, ებრაელნი გახლავართ. მაგრამ საქართველოში ვცხოვრობთ და ჩვენც ვალი გვაქვს ამ ქვეყნის წინაშე, სადაც ჩვენა ვცხოვრობთ. ებრაელთა ბევრი იწუხეს, მაგრამ რჩევა შეისმინეს და შინ დაბრუნდნენ, იქიდამ სახლში ერთი პწკარიც არ წაულიათ, ყოველივე იქ დასტოვეს, ლაშქარს დაულოცეს და ათაბაგს შეჰკადრეს, რადგანაც თქვენ ვაჭრობის საქმისათვის ასე დაგვაფასეთ და არ გაგვიმეტეთ, ჩვენც ვეცდებით, რომ სამაგიერო სამსა-

ხური გაგიწიოთ, შინ გიახლებით და დიდძალს სურსათს მოგაშველებთ ბრძოლის ველზედო.

ესენი წავიდნენ და მართლაც თავიანთი დავალება აღასრულეს. მალე ჯარს ბრძოლის ველზედ რამდენიმე ოცი ურემი სხვადასხვა საკონლით და სანოვაგე მიერთვა, რაც, რასაკვირველია, დიდის პატივით იქნა მიღებული. ურიების სამსახური მთელს საქართველოში მოეფინა, ყველა აქებდა ამათ, ასეთი უვნებელნი იყვნენ ქართველი ებრაელნი საქართველოსათვის. ამ სამახსოვრო საქმის გამო ახალციხელი ურიები რამდენიმე თავის ნებით მცხეთის ტაძარს ეყმნენ. ეს ყმობა მოხდა მე-XVII საუკუნის ნახევარს, ისიც კი უნდა ითქვას, რომ ახალციხელ და ან სხვა ებრაელთა გარდა თვით იმერეთის ურიებთაგანიც კი ეწირებოდნენ მცხეთის ეკლესიას. ამის მაგალითს წარმოადგენს შემდეგი: XVIII საუკუნის დამდეგს, იმერეთიდგან გარდმოსახლდა და ქართლში და ცხინვალს დასახლდა ერთი ქართველ ებრაელთა ოჯახი*. მერე ეს ქართველ ურიათა ოჯახი ცხინვალიდამ მცხეთის ტაძარს ჰყმობია.

ცნობა არის, რომ როგორც ძველათ, ისევე შემდეგაც, ქართველთ ეკლესიისადმი ურიათა ყმობის ცნობა მათ მიერ მღვდელთაგან ეტყობინებოდათ იერუსალიმის ურიათა უფროს მღვდელმთავართ. ქართველ ურიებს ურიასტანის ებრაელებთან მუდმივი კავშირი ჰქონდათ და კიდეც მიტომ იყო, რომ ურიასტანიდამ საქართველოში მეტად ხშირად მოდიოდნენ ურიათა მოგზაურნი, სწავლული რაბინნი და მღვდელმთავარნი. როგორც ვიცით, თვით ებრაელთა მოთხრობით, მათი მოგზაური რაბინნი თვით უძველესის დროიდან მოსულან ხოლმე, საქართველო აუწერიათ, მასთან თავიანთ თანამერჯულეთ ცხოვრებაც და მათ ცხოვრებაში ყველგან საქართველო, ქართველი ერი, სამეფო და გამგეობა მეტად კარგად მოუხსენებიათ, ურიათა მფარველად. ურიათა ძველის მოგზაურების ნაწერებში ევროპის ერთა შესახებ დიდს საშიშარ ამბებს ნახავთ, საოცარს და მასთან მართალსაც, თუ იქ ებრაელთ როგორ სტანჯავდნენ და საქართველოს შესახებ კი მათს ნაწერებში ვერსად ცუდს სიტყვასაც ვერ ჰპოვებთ, თუმცა მათში ურევიან ისეთი მოგზაურნიც, რომელთაც მთელის აზიის სამეფოთა და ერთა ისტორიებიც კარგად იცოდნენ, აგრეთვე მათი ენა და მწიგნობრობა და მათ არაერთგზის უმგზავრიათ არამც თუ შავის ზღვის ნაპირების და საქართველო, არამედ მთელი აზია, თითქმის ინდოეთამდე, აქა-იქ უნახავთ თვისთანა მერჯულენი, აუწერიათ იგინი და უკანასკნელ საქართველოს

---

* ბუჯრები.

გზით ურიასტანშივე დაბრუნებულან, რომელთაც, რასაკვირველია, არც საქართველო დარჩენიათ აუწერავი.

უძველეს ებრაელ მოგზაურებთაგან ჩვენ ვიცნობთ ბენიამინ რაბინს, რომელიც XII საუკუნეში სცხოვრობდა და რომელმაც თავის მოგზაურობაც დაგვიტოვა. ამ მოგზაურს აზიაში მოგზაურობის დროს აქა-იქ ურიებიც უნახავს და ზოგი ამ ურიებთაგანი საქართველოდამ ყოფილან. ამავე საუკუნის განმავლობაში აზიაში ყოფილა მოგზაური რაბინი აბრამ ბენდიორი. ამ რაბინსაც დაუწერია თავისი მოგზაურობა, იგი თავის აღწერაში საქართველოს ურიებზედაც ლაპარაკობს, სხვათა შორის სწერს, რომ საქართველოში ურიათა რიცხვი იგოდენად დიდი იყო, რომ ურიული სახელები თვით მათს ქალაქსა და დაბებსაც კი დარქმევია. ამის საფუძვლად იგი ასახელებს სოფელ ვარიანს, სადაც ძველად ურიებს უცხოვრიათ და რის გამოც დარქმევია ამ სოფ. ვარიანი. ურიულათ ვარიანი-ვარა სატახტო ქალაქს ნიშნავს. სოფ. ბრეთიც ურიების ყოფილა. თვით ბრეთიც ურიული სახელიაო. ასევე ბევრს ურიულს სახელებს ასახელებს სვანეთში დარჩენილებს, აფხაზეთში, სამეგრელოს, გურიაში <...> ვითომც თვით სიტყვა ივერიაც კი ებრაული სახელია და წარმომდგარია მათისავე ენის გავლენის მეოხებით. ეს მოგზაურობა, ურიულის ენიდამ ლათინურს ენაზედ ნათარგმნი, პირველად 1734 წ. დაუბეჭდავთ ამსტერდამს*.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოში ურიათათვის ძველადგანვე სთარგმნეს მოსეს სჯულისდება ანუ „ურიული კანონი". და საქართველოს ურიათათვის დააარსეს. საქმე ისე ყოფილა მოწყობილი, რომ ძველადგანვე ურიათა საქმე ამ სჯულის წიგნით გაირჩეოდა და არა საქართველოს სამეფოს კანონთ კრების ძალით. როგორც სჩანს, ურიული სამართლის წიგნი ძველადგანვე უთარგმნიათ თვით საქართველოს ურიათა მღვდელმთავრებს. სჩანს, რომ ვახტანგ მეფის „სამართლის წიგნში" მოთავსებული ურიული კანონი ძველი თარგმანის უნდა იყოს ახალის კომენტარით. ამას ფიქრი არ უნდა, რადგანაც ვახტანგ მეექვსე ურიული თარგმანის შესახებ არას ამბობს. თუ მან იგი საიდამ სთარგმნა და გარდმოიღო. უნდა ითქვას, რომ მოსეს სჯულის წიგნი ძველად არის ნათარგმნი, ხოლო თარგმანი ვის ეკუთვნის, ამაზედ ჩვენ არა ვიცით რა, მიტომ არც ვამბობთ რამეს. ამ „ურიულ სამართალს" გარდა ქართულს ძველს ხელთნაწერებში აქა-იქ ბევ-

---

* ისარლოვის ნაწერები.

რი ისეთი ცნობებია დატოვებული, რაც ცხად საბუთს გვაძლევს, რომ იგინი საქართველოში მყოფ ებრაელთა რაბინებისაგან უნდა იქმნეს ნათარგმნი.

„მოსეს სჯულის“ შესახებ ჩვენ ვიტყვით შემდეგს, რომ იგი საქართველოს ებრაელთათვის შემდეგ საუკუნოებში უმნიშვნელო იყო, მათი ავ-კარგიანობა ამ „სამართლის წიგნით“ აღარ განიბჭობოდა, არამედ საქართველოს სამეფოსავე კანონმდებლობით. გარდა ამისა, ისიც უნდა ითქვას, რომ მთელს ჩვენ წარსულში არ ყოფილა მაგალითი, რომ ქართველ ებრაელს სადმე რამე დაეშავებინოს, ქურდობა ჩაედინოს, წაერთმიოს სადმე რამე, ნივთზედ ეჩხუბოს და სხვა ათას ამგვარნიც. ერთის სიტყვით, ურია ყოველი დანაშაულობისაგან ერთობ შორს იდგა. ეს არამც თუ ძველად, არამედ შემდეგ საუკუნოებშიც ისევე იყო და თვით დღესაც. ქართველი ურია, თუ არ დიდის გაჭირვებით, უამისოდ იგი საჩივარში არას დროს არ წავა. ასეთის თვისების გამო მათ, ერთის მხრით, უჯეროთ დასცინიან კიდევაც, ფრთხალებს ეძახიან, მაგრამ ეს არ არის მართალი.

ჩვენ, ჩვენის შეძლებისდაგვარად, აქ საკმარისად ვისაუბრეთ ებრაელთა ცხოვრების შესახებ, მოკლედ ავნუსხეთ, რომ ქართველი ებრაელნი საქართველოს მეფეების დროს სრულის თავისუფლებით განგებდნენ, მათი ცხოვრება იყო მშვიდი და უვნებელი. ვიდრე საქართველოს სამეფოს არსებობა დასრულდებოდა, მანამდის საქართველოში არც ურია შეეიწროებულა, და არც მას უწყენინებია რამით ქართველისთვის და საქართველოს მეფობის გამგეობისთვის. ქართველი ებრაელი ყოველთვის ერთგული ყოფილა თავისი მეფის და საქართველოსი, ამიტომ ჩვენი ვალიც არის, რომ დაჩაგრული, უვნებელი ხალხის ცხოვრებას თვალყური ვადევნოთ და ყოველთვის მათი მფარველნი ვიყოთ ჭეშმარიტებით. ამას მოითხოვს ჩვენი ზნეობრივი ვალი და მათი კარგი ამაგიც ქართული ენის წინაშე და ქართველი ხალხის. ქართველი ამათ ვერ დაემდურების. ქართველთ ებრაელთ დიდი განელილი დრო აქვთ საქართველოში და მასთან კაი ხსოვნაც დატოვებული. ამ ხსოვნას კარგად ასაბუთებს 1871 წ. მცხეთაში მოპოვებული ერთი საფლავის ქვა, რომლის ურიული წარწერაც მოწმობს, რომ იგი ეკუთვნის ქრისტეს წინეთ მეექვსე საუკუნის დასასრულს (589 წ.). ჩვენ ვხედავთ, რომ ურიასტანიდან საქართველოში მოსული ურიები ქრისტეს წინეთ მეექვსე საუკუნეში იქამდის გამრავლებულნი ყოფილან, რომ მათ თავიანთ სამახსოვროთ ბრავალ ალაგას სხვადასხვა საფლავებზედ წერილობითი ცნობებიც დაუტოვებიათ. ეს ქვა საყურადღებოა,

ჩვენს დროს, საქართველოში, ქართველი ებრაელნი სცხოვრობენ იმერეთს, სამცხეს, ქართლს და მცირე რიცხვიც აქა-იქ ვაჭრობის მხრით. ქართველმა ურიამ, როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს რუსეთთან დაკავშირების მეოხებით ისე ვერ ისარგებლა, როგორც ეს სომხებს მოუხდათ. ქართლის ებრაელნიც თითქმის იმავე გარემოებაში დაშთნენ და ვერ წადგეს ფეხი წინ, როგორც თვით ქართველნი. ესენიც ისევე დაშთნენ, სამერმისო ცხოვრებაში უფრო გაჭირვებაში ჩავარდნენ, ვიდრე წარმატებაში. ამ გარემოებას დაეხმარა მათი ბევრნაირი ცხოვრების პირობები და ის გარემოებაც, რომ ახალი დროის მეოხებით ქრისტიანეთაგან ურიათა დევნა უფრო წინ წავიდა. მოსვენებაში მყოფმა ქრისტიანებმა ურიებზედ აიღეს მახვილი და ამიტომ ქართლის ებრაელნიც დაშთნენ მამა-პაპური ცხოვრების წესებით, არ იქნა, ვერ გამოდგეს ფეხი ძველის ქოხმახებიდამ. ამ გარემოებით ქართლის ურია უფრო უბედურია, ვინემც თვით ქართლელი ტეტია გლეხი. ქართლის ებრაელთ ევროპის ებრაელნი ათასჯერ სჯობიან.

ძველს ხანას და მცხოვრებთ და მათ ბინათა აღრიცხვას ჩვენ იქით დავტოვებთ, ამიტომ ახალს მოგახსენებთ. ქართლში ებრაელნი სცხოვრობენ: თბილისს, ქარელს, სურამს, ცხინვალს, მუხრანს, ბრეთს და სხვაგანაც თითო-ოროლა აქა-იქ სოფლებში ქართველ ქრისტიანებთან ერთად. სამცხეს ცხორობენ: ახალციხეს, აწყურს, ბარალეთს, ბორჯომს და აქა-იქ სოფლებში თითო-ოროლა კომლი. კახეთში სცხოვრობენ ს. ზემოხოდაშენს და მცირეთ აქა-იქ სოფლებში, ვაჭრობის მხრით. იმერეთში სცხოვრობენ საჩხერეს, ჩხარს, ჭუთაისს, ონს, ხონს, ლაილაშს, ბანძას, საჩინოს, სუჯუნას, კულაშს და სხვ. ასევე სცხოვრობენ ბათუმს, ფოთს, სოხუმს, სენაკს და აქა-იქ მთელ საქართველოს დაბებსა და ქალაქებში, სადაც კი მათთვის ვაჭრობა შეიძლებელია. საქართველოს გარეშე ქართველი ებრაელნი სცხოვრობენ ბაქოს და რუსეთის სხვადასხვა ქალაქებშიაც, საზღვარგარეთ ქვეყნებს: კონსტანტინოპოლს, ტრაპიზონს და სხვადასხვა ევროპის ქალაქებშიაც, მცირედ კი.

როგორც ძველად, დღესაც ქართველი ებრაელი ყველგან თავის დედა ენათ ქართულს ენას ხმარობს. არც ძველად და არც დღეინდელ ებრაელს ქართული ენის მტრობა არა ქონია და არც აქვთ, ნაცვლად მტრობის, მათ უაღრესად აქვთ ჩაქსოვილი ამ ენის სიყვარული. საქართველოს გარეშე სადაც უნდა წავიდეს ქართველი ებრაელი, იგი ქართულს ენას არხად არ დასტოვებს, მას ყველგან ამ ენაზედ ეხერხება

ლაპარაკი. ამ ენით სცდილობს იგი, ამით ლაპარაკობს ყველგან, შინ, გარეთ, ვაჭრობაში და თვით სამართალშიაც. მაგალითებრ, თბილისში, სადაც ქუჩებში ებრაელთა დალალები დადიან, მათ ყველგან ქართული ენა აქვთ სახმარ ენად მიღებული. ერთი ის კი იციან, რომ აქა-იქ ზოგიერთ უბნებში „მელკი ტავარის“ ყვირიან, როცა მუშტართან მიელენ და ნახავენ, თუკი შეატყვეს, რომ მუშტარმა ქართული ენა უნდა იცოდეს, მერე რაც უნდა დაემართოს, რაც გინდ გაუჭირდეს ვაჭრობა, მაინც ის სხვა ენაზედ ხმას არ გასცემს, უსათუოთ ქართულად დაუწყებს საუბარს. ქართულათაც ყვირიან „საწვრიმალო, კაი ბამბაზიები, ჩაის ჭურჭელი“ და სხვანი.

ოსმალეთის საქართველოში, როგორც ვსთქვით ზემოთ, ყველგან შეირყა ქართული ენა, და ქართველ მაჰმადიანთ შორის ყველგან ამოვარდა და დაივიწყეს ქართული ენა თვით ქართველ მაჰმადიანებმაც. ქართული ენა დაავიწყდათ აგრეთვე ახალციხის ქართველ მაჰმადიანებთაც ეს ენა ყველგან იდევნებოდა, ქართველ მაჰმადიანებს აკრძალული ქონდათ ამ ენაზე საუბარი, ქართველები ხანდისხან შიშით ხმასაც ვერ იღებდნენ. ახალციხელი ქართველი ებრაელნი კი შინ და გარეთ ქართულს ენას თავისუფლათ ხმარობდნენ და მათი მოდავე არავინ იყო, ვინ იცის, იქნება ოსმალეთის გამგეობამ და სასულიერო წოდებამ არც კი იცოდა, რომ ურიები ქართულად ლაპარაკობდნენ, თორემ, ვგონებ, მათთვისაც აღეკრძალათ ქართული ენა. გარდა ამისა, რომ ძველს დროს, მთელს ახალციხეში ქართველ ებრაელთაგან ქართული ენა განისმოდა, იგინი ახალციხიდამ მოგზაურობდნენ ფოცხოვს, ქვაბლიანს, ჩილდირის ხეობისაკენ, ჯავახეთში და ყველგან ქართველ მუსულმანებს ქართულად ელაპარაკებოდნენ. უნდა მოგახსენოთ, რომ ზოგიერთ საშიშს ადგილებში, ქართველ მაჰმადიანთ შორის, სადაც კი ქართული ენა ძველადგანვე შეირყა და ამოვარდა, იქაც კი ქართული ენა თუ დარჩა აქა-იქ და ქართველ მაჰმადიანებმა არ დაივიწყეს, ეს იყო ქართველ ებრაელთა შნო და წყალობა, მათ შეინახეს ქართული ენა საქართველოში!

აი, თვით დღესაც, მესხეთსა და ჯავახეთში, ქართველ მაჰმადიანთ შორის, ალაგ-ალაგ, ქართული ენა სასტიკათ არის აკრძალული. რუსის სამმართველოებში მოდიან ქართველი ბეგიები და აღიები. მასთან ბოფლის გლეხნიც, მაგრამ ქართულად ხმასაც არ იღებენ, სამმართველოში კი ხანდისხან ძალასაც ატანენ, რომ ქართულად ამოიღონ ხმა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, იგინი კრინტს, ხმასაც არ იღებენ ამ ენაზედ, თუმცა სახით ქართველები არიან, აგრეთვე გვარითაც, მაგრამ ისლამის მეოხებით ასე არიან დაშხამულნი. ყოველს შემთხვევაში, თუ ვაუჭირდათ, მაშინ კი ქართულს ენაზედ დასძრავენ ხმას. ეს ფანატიკოსი

ქართველი მაჰმადიანები თავიანთ ოჯახებშიაც კი ასე უკულმართები და ბოროტნი არიან, ყველასთან ასე იქცევიან და მალავენ ქართულ ენას, მხოლოდ ქართველ ებრაელებთან კი ვერას აწყობენ და ვაჭრობის დროს უსათუოდ ქართულად უნდა ელაპარაკონ, რადგანაც ქართველთ ებრაელებმა იციან კარგად, რომ ქართველ გადაგვარებულ მუსულმანებს ქართული ენა გაეგებათ, ქართველ მაჰმადიანს ქართველი ებრაელი საქონელს ქართულად უფასებს, ქართულად ურიგდება და ქართველი მაჰმადიანი კი იქამდე გაფანატებულია, რომ სულ ოსმალურად აძლევს პასუხებს, ქართულად ხმას არ სცემს, ქართველთ ებრაელის საუბრის საშუალებით ქართველი მაჰმადიანის ყურში ქართული ენის ხმაურობის სმენა შთება სამახსოვროდ. ამის მხრით ქართველთ ებრაელთ კაი ამაგი მიუძღვისთ ქართული ენის წინაშე. ახალციხის მაზრაში. ქვაბლიანს, ფოცხოვს და სხვაგანაც თუკი სადმე დღემდე თუ ქართული ენა ქართველ მაჰმადიანთა შორის დაცულ იქნა, ეს სულ ქართველთ ებრაელთა წყალობა გახლავსთ.

როგორც ებრაელთა კაცნი არიან დახელოვნებულნი ქართულს ლაპარაკში, ისევე დედაკაცები. ამათი ნაკლი ერთი ის არის, რომ დღემდე ალაგ-ალაგ სიტყვების გამოთქმაში ენის დაბორძიკება ეტყობათ, უფრო ნაზი, წვრილი, ყმაწვილური კილო აქვთ მიცემული, მაგალითებრ, შენის მაგიერ ხან — სენის იტყვის. უფრო ქართული ანბანის ასო იცვლება სიტყვაში, თორემ მთლად სიტყვა კი შეუხებლად შთება. გარეშე ამისი, როგორც მამაკაცმა, ისევე დედაკაცმაც ქართული ენა ისე კარგად იცის, რომ მათ ამის ცოდნით ვერ შეედრება თვით ქართლის და კახეთის ქართველი მამაკაცები და დედაკაცები.

ქართველთ ებრაელებში შენახულია ბევრი ისეთი ქართული სიტყვები, რის გაგონებასაც ჩვენ საქართველოს სხვა კუთხეებში ვერსად გავიგონებთ, ვისაც უნდა, რომ ამაზე დარწმუნდეს, იმან გაიცნოს ქართველთ ებრაელთ ქართული ლაპარაკი, დააკვირდეს მასა და ის ჩვენს საუბარზედ ცხადათ დარწმუნდება. ამათში დარჩენილ ქართულ იშვიათ სიტყვებს დროით შეკრებაც უნდა.

როგორც ზემოთაც ვსთქვით, ქართველთ ებრაელებში ქართული წერა-კითხვა ძველადგანვე იქნა გავრცელებული. ქართულ ანბანს ძველადგანვე მათს შვილებს ხახამები და რაბინები ასწავლიდნენ, თუმცა სუსტათ კი და ნაჯღაბნის ქართულის ასოებით, მაგრამ მაინც თავიანთ ძველს ებრაულ ენასთან ქართულ ანბანსაც სწავლობდნენ, ურთიერთ შორის მიწერ-მოწერა და ვაჭრობაშიაც სულ ქართულს ენაზედ ჰონდათ წერა გამართული. როგორც ძველად, დღესაც ისევ ისეა, და საღაც კი ქართველთ ებრაელი სცხოვრობს, მან უსათუოთ ქართულ ენასთან ქართული წერა-კითხვაც იცის. უამისობა მათთვის შეუძლებელია.

ქართულს ანბანს ზოგს ალაგას ყმაწვილები ოჯახში დედ-მამისაგან სწავლობდნენ, ზოგნი ნათესავთაგან და ზოგნიც მეგობართაგან. ზოგი „არსენას ლექსს", „ქალ-ვაჟიანს" ან სხვა ასეთ წიგნებს იყიდის და მისის საშუალებით სწავლობს ანბანს.

სულ ეს იყო ჩემს უმთავრეს მიზეზათ, რომ ზოგს სახალხო წიგნებში მე ქართული ანბანის დაბეჭდვაც ვიწყე, რამაც თავისებური სარგებლობაც მოიტანა. 1900 წ. ახალციხის ქართველთ ებრაელთა მე დავურიგე ზოგიერთი ქართული წიგნები. მოზარდ თაობაში ათში სამი ვერ ვნახე ქართულად კითხვის უცოდინარი. თუმცა ასოების ჩათვლით, მაგრამ მაინც კი იცოდა. როცა წიგნი მიეეცი და ვკითხე: ქართული ანბანი სად ისწავლე? ზოგმა მომიგო, დედამ მასწავლა, მამამ, ბიძამ, ნათესავმა, ნაცნობმა და ზოგმა კი სთქვა, რომ ჩემით ვისწავლეო.

ქუთაისს და ზოგს დაბებშიაც იშვიათად შეხვდებით, რომ ვაჭარშა ურიამ ქართული კითხვა არ იცოდეს. მე შემთხვევით ზოგიერთ ალაგას ებრაელთა ბავშვები ვნახე იმ დროს, როცა მათ ქართულ ანბანს ასწავლიდნენ. ანბანს ასწავლიდნენ ძველის წესით, მაგრამ მაინც კი სიმკვირცხლე შევატყვე. სულ ადვილად სწავლობდნენ ანბანს. ქართული წერის წესი კი მეტად ცუდათ აქვთ შეთვისებული და მათი წერა თითქმის ჯღაბნას წარმოადგენს. ბევრს ალაგას ვნახე მათი ამონაწერი, ქართული ანბანი და უნდა მოგახსენოთ, რომ მათი წაკითხვა ვერ შევსძველი. ანბანს რაღაც განსაკუთრებული ხასიათი აქეს მითვისებული და უფრო სადა, რაღაც უცნაურ ირიბ-ირიბ ხაზებსა ჰგავს ქართული ასოები.

ერთი ჩვენი მწუხარება აქ ის არის, რომ ქართველთ ებრაელნი ახალ სწავლა-განათლებას სულ არ ელტვიან, არც ახალი სკოლების გახსნას, რომ იქ ბავშვებმა ძველს ებრაულს გარდა ახალი საგნებიც შეისწავლონ. სადაც კი სცხოვრობენ ურიები, მათ ყველგან აქვთ თორასთან პატარა სასწავლებელიც, ამ სასწავლებელში ხახამი ან რაბინი ასწავლის ძველს ებრაულს და მასთან ლოცვებს. ბავშვებს როგორც ებრაულის ენის არაფერი ესმით, ისევე მათსავე ლოცვების. ერთიცა და მეორეც მათთვის გაუგებრათ შთება და კითხვის დროს დუდღუნის და თავის კანტურის მეტს სხვას ვერას სწავლობს. ამ მხრით ებრაელნი ძალიან მაგრის თვისების არიან, იგინი არამცთუ ჩვენს საერო და საშუალ სასწავლებლებს ეტანებიან, არამედ მკაცრათ ერიდებიან თვით თავიანთ თანა მერჯულე ევროპის ურიებსაც კი, მათს შვილებთანაც კი არ შეჰყავთ თავიანთი შვილები სასწავლებლათ, რადგანაც, ამათის აზრით, ვითომც ევროპის ებრაელნი წმინდა ურიები არც კი არიან. მარტოდ ქართველთ ებრაელთ მიაჩნიათ თავიანთ თავი ნამდ-

ვილ ურიებათ, მაგრამ ის კი არ იციან, რომ იგინი ამით დიდათ სცდებიან, დიდათ აშავებენ თვით თავიანთ პატარა ებრაელთა ბავშვების წინაშე. მით პასუხისმგებელნი ხდებიან, რომ საბრალო ბავშვებს გაუნათლებლად სტოვებენ, ეს არ ეპატიებათ მათ. ეს დიდი ცოდვა არს მათთვის.

საქართველოს სოფლებში, აქა-იქ, სადაც ებრაელნი სცხოვრობენ, იქ ქართველნიც მოსახლეობენ, ქართველთ შორის ასტყდა სკოლის გახსნის შესახებ საუბარი, ფულიც გაიწერეს. ამ საქმეს არც ქართველთ ებრაელებმა ადრიკეს ზურგი, ამათაც თანხმობა განაცხადეს, სკოლის გარდასახადიც იკისრეს, მაგრამ შვილები კი სწავლას ახლოს არ მიაკარეს. ამბობდნენ:

— ჩვენ, ბატონებო, თქვენი არც სკოლა გვინდა არც სწავლა, ჩვენ ჩვენი სასწავლებელი გვაქვს და რაც კი ჩვენ გვჭირია, იმას ჩვენი შვილები იქა სწავლობენ. ჩვენისთანა სწავლა თქვენ არა გაქვთ.

ბევრი კიდევ სხვა ამგვარი უამბნიათ. რამდენგზის დარიგება მიგვიცია, საუბარი გაუმართავთ მათთან ბევრს საპატიო პირებსაც, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, მათზედ ვერავის ვერაფითარი გავლენა ვერ მოუხდენია. მთელს საქართველოში, არამც თუ სოფელს ალაგას, არამედ ქალაქ ალაგში მცხოვრებ ებრაელთაც კი არ შეისმინეს და შვილებს არ გაუხსნეს განვითარების კარები. ეს მეტისმეტი უბედურება არის და ამაზედ ჩვენც ვემდურით ჩვენს მოძმე ებრაელთ და მათზე გული გვწყდება, რომ ასე იქცევიან შვილების წინაშე, ასეთ დაბნელებულს ძილში არიან შთაცვივნულნი. ჩვენ ერთი ქვეყნის შვილნი ვართ და ამიტომ უფრო გვტკივა გული ებრაელთა ასეთ ვრდომილებაზედ.

მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებს მცირედ შეიგნეს ქუთაისის ებრაელთა, მცირედ ახალციხელთ და სხვათა სოფლებში მცხოვრებთაც. ახალციხის ებრაელთაგან ზოგიერთმა შვილების სამოქალაქო სკოლაში იწყეს შეყვანა, ასევე ქუთაისს, იქაც ორმა-სამმა გაბედა და შვილები სასწავლებელში მისცეს. დანარჩენის ჩვენ არაფერი გვინახავს, თუმცა ადრე ერთმა ქართველთ ებრაელმა შვილი ქუთაისის გიმნაზიაშიც მისცა, ხოლო იგი 4 კლასამდე მიიყვანა, სწავლა არ დაამთავრებინა, ისე გამოიყვანა და აღებ-მიცემაზედ დააყენა. ასე რომ, მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს დაუკავშირდა და ურიებსაც გარემოება შეეცვალათ, მის შემდეგ ქართველთ ურიათა შვილებთაგანს არც ერთს არ გაუთავებია არც დაბალი სასწავლებელი, არც საშუალო და უმაღლესის სასწავლებლის ხომ კარიც არ დაუნახავსთ. ამათს ასეთს გარემოებას სასტიკათ ეწინააღმდეგებიან ევროპის ებრაელნი და ესენი მათთვის ძრიელ სწუხან, რომ ქართველთ ებრაელნი ასეთს ძველებურს მდგომარეობაში შთებიან. ევროპის ასეთ გულმტკივნეულთ ებ-

რაელთ ჩემთანაც კი უსაუბრიათ და მათ დიდი მწუხარება წარმოუთქვამთ ამათ შესახებ. იგინი დღესაც მეცადინეობენ. აი ამ უკანასკნელ დროს, გაზეთებმა ამბავი მოგვიტანეს, რომ სოფ. კულაშელ ქართველთ ებრაელთ ერთის ევროპიელის ებრაელის ჩაგონებით ახალი სკოლის გახსნა მოუწადინებიათ, რადგანაც აქ სასოფლო სკოლა არსებობს და ამ სასწავლებელში ებრაელთა შვილებიც დადიან სასწავლებლადო.

ღმერთმა ქნას, რომ ამ ერს გაებედოს სწავლის ასპარეზზედ გამოსვლა. ამათში მხოლოდ ერთი ზარის რეკა არის საჭირო. რომ დაირეკოს სწავლის ზარი, საჭიროა მხოლოდ, რომ რამდენიმე კაცის შვილმა გაბედოს დაბალის სკოლიდამ საშუალ და უმაღლეს სასწავლებელში გადასვლა, თორემ მერე თქვენ ნახავთ მათში როგორ გაიღვიძებს დიდი მიმბაძავობა, დიდი ლტოლვა სწავლისა. თვით ქართველთ ებრაელნიც ხომ ძალიან მიმბაძავნი არიან, რასაც ერთი მოეჭიდება და დაიწყებს კეთებას, იმას მალე მეორეც ჩაეფრინდება, მეორეც მოსჭიდებს ხელს. ასევე მოუხდებათ სწავლის ასპარეზზედაც, რაკი ერთი შედგამს სწავლაში ფეხს, მერე მას მეორე, მესამე მიჰყვება და უკანასკნელ, დარწმუნებული ვარ, რომ მათის შვილებით აქა-იქ გაივსება სასწავლებლები, ამას ფიქრი არ უნდა, რადგანაც ქართველთ ურიები შენიშნულნი არიან როგორც ნიჭიერი და მოხერხებული ხალხი. სრული იმედი გვაქვს, რომ ქართველთ ებრაელმა თუ ევროპიულ განათლების ტაძარში ფეხი შედგა, თუკი გამოვიდა ძველის ოცნებებიდგან და ნათელს განკაცების გზას დაადგა, მაშინ იგინიც დადგებიან დიდის პროგრესის გზაზედ, მათში გაიღვიძებს ჩვეულებრივი ნიჭიერი მიდრეკილება და ნათელი ცხოვრების ძიება და მაშინ იგინიც არა ერთს ნიჭიერს შვილს გამოუზრდიან საქართველოს, ბევრი მოღვაწე გამოვა მათგან და იმედია, რომ როგორც მათმა თანამერჯულეებმა გერმანიას გამოუზარდეს უდიდესი სწავლულნი და მეცნიერ-რეფორმატორები, ესენიც მსგავსადვე გამოუზრდიან შესამჩნევს პირებს საქართველოს. ამას ეჭვი არ უნდა, რადგანაც საქართველოს სასწავლებლებში, სადაც კი ებრაელის შვილი სასწავლებლათ შედის, იქ ის უსათუოთ თავის დედა-ენათ ქართულ ენას აღიარებს. იგი ქართულის „დედა-ენით" იწყებს თვალის გახილებას და შემდეგ, რაღა ფიქრი უნდა, სხვაზედაც გადავა, ის უტყუვრად შეისწავლის იმ ერის და ქვეყნის ისტორიას, სიტყვიერებას და ხალხის ცხოვრებას, სადაც იგი დაბადებულა და გაზრდილა. ეს რომ ასე იქნება, ამის მაგალითს ცხადათ გვაძლევენ ისეთ ებრაელთა ბიოგრაფიული ცნობები, როგორც იყო სპინოზა, მენდელსონი, მარქსი, ლასალი, ენგელსი და მრავალნიც სხვანი, ენით მოუთვლელნი.

ჰეშმარიტად, ჰეშმარიტად სანატრელია, რომ ქართველმა ებრაელმაც თვალი გაახილოს, მიჰბაძოს სხვათა და განვითარების ასპარეზზედაც დროით ფეხი გამოდგას, რაც ხანი გავა და იგინი განათლებაში ფეხს წადგამენ წინ, იმდენი მათში ქართული ენის, მწიგნობრობის და ისტორიის სიყვარულიც უფრო წინ წაიწევს, გასპეტაკდება, ერთი ათად ამაღლდება. ქართველთ ებრაელი ქართულ მწერლობას კაი სახსარს აღმოუჩენს. იგინი მრავლად გაიწერენ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს და წიგნებს, ამის ნიშნები ჩვენ უკვე ვნახეთ. სხვათა შორის დავასახელებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოში ქართული წიგნების გაყიდვის ასპაარეზზე ქართველთ ებრაელთ შვილებმაც იჩინეს თავი. მათ შეისწავლეს ქართული წიგნების სახელები და შემდგომ მის დაიწყეს სოფლებსა და დაბებში ქართული წიგნების ტარება და სყიდვა. ასეთი მეწიგნენი იმერეთში ხშირად სჩნდებიან და ქუთაისში კალათითაც ატარებენ ქუჩა-ქუჩა. რაც ჩვენ ქართველთ მწიგნობრათ შეერთებულის ხელით ვერ მოგვიხერხებია, ამას ახერხებს ერთი ქართველი ებრაელი.

რაც შეეხება ებრაელთა სასულიერო წოდების საქმეს, მათგან ერისადმი ღვაწლს და სამსახურს, უნდა მოგახსენოთ. რომ ესეც ვერაფერი საქმეა. მასში სანუკვარი არაფერი სჩანს. ძველის სასულიერო წოდებისას ვერას მოგახსენებთ და ახალზე კი ვიტყვით, რომ იგინი დროის შესაფერად არ არიან მომზადებულნი. აქამდე ებრაელთა ხახამნი და რაბინები თითქმის სულ უბრალო ხალხთაგან ირჩეოდნენ. ვინც კი მცირედ მაინც ებრაული იცოდა და რამდენიმე მცნება მოსეს სჯულისა, ის ხახმობას კი არა და რაბინობასაც ადვილათ მიაღწევდა. მის ცოდნისთვის საკმარისი იყო, რომ მხოლოდ მცირე რამე სცოდნოდა და თორას გვერდით ებრაელთა ბავშვებისთვისაც ებრაული ეკითხებინა. მისთვის სხვა არაფერი იყო საჭირო. მხოლოდ ამ უკანასკნელს წლებს კი ქართველთ ებრაელთაც შეიგნეს თავიანთი მოვალეობა და მათშიაც იწყეს თითო-ოროლა თვალხილულმა ხახმებმა და რაბინებმა გამოსვლა. ამათს წარმატებას და ცოდნას ძრიელ ეხმარება ევროპის ებრაელთ სასულიერო წოდების წინ ყოფნა, წარმატება და ენერგიული სამსახური. ესენი ამხნევებენ მათ. ამით პატივსაცემნი არიან იგინი მათგან.

როგორც სჩანს, საქართველოში, ებრაელთა სასულიერო წოდებას ძველი დროის შემდეგ თავის სასულიერო აღსაზრდელი კერძო სასწავლებლები არა ჰქონიათ. სასულიერო წოდების პირნიც საერო პირებთან ერთად იზრდებოდნენ, ხოლო მცირედ წარმატება უნდა აღმოეჩინა ებრაულს კითხვაში და ეს იყო საკმარისი მისის წარმატების. ძველად კი საქართველოში ეს ასე არ იყო. ებრაელთ თავიანთ სასულიერო

პირთა აღსაზრდელი სკოლაც ჰქონდათ და მისთვის მცოდნე სჯულის თავი კაცები, მასწავლებელნიც.

ქართველმა ხახმებმა ქართული ენა კი კარგად იციან, ზოგმა წერა-კითხვაც იცის, სალოცავში უმეტესად ქართულ ენას ახმარებენ, ნამეტურ ქადაგებაში. ქადაგება იციან ყოველთვის ქართულად. ქადაგების გარდა სხვა დროსაც ახმარებენ ქართულ ენას. ქართველ ებრაელთა ხახამი და რაბინი ქართული ენით სცოცხლობს, ამ ენით სცხოვრებს, ამ ენით მართავს სამლოცველოს საქმეებს, ერთთავად ქადაგებაც იციან კარგის ქართულის ენით, ხან მეტად თავისუფლათაც, ისე რომ ჩვენი კაცი მასზედ გაკვირდება კიდევაც. ასეთი ქადაგების გასაცნობათ აქ მოვიყვან ერთს ქადაგებას, რომელიც 1898 წელს ერთმა რაბინმა წარმოსთქვა ახალციხის ერთს სამლოცველოში: „ოჰ, ისრაელნო, ისრაელნო, ჩვენდა სამწუხაროდ ამ უკანასკნელ დროს ჩვენ ერთობ დაშეცით, ერთობ დავდაბლდით. ვაი, ჩვენს თავს, ჩვენს ბედს, ჩვენს ღირსებას. ჩვენდა სამწუხაროდ დღეს ისრაელთა შთამომავალნი ერთის ლუკმა პურის გულისთვის, ვინ იცის, რაებს არ შვრებიან. მთელს ქვეყანაში სამარცხვინო საქმეს ადგანან და მისდევენ. ჩვენდა სამწუხაროდ, სადაც კი მიხვალთ რომელიმე დიდს ქალაქში, თქვენ უსათუოთ იქ სადმე თუ საროსკიპო სახლს ნახავთ, ის უსათუოდ ისრაელის იქნება. ვაი, ჩვენს ბედს, ჩვენს თავს, განა ჩვენ ამის მეთაურნი უნდა ვიყვნეთ, განა ეს შეგვფერის, მაგრამ რას ვიზამთ, ასე მოეწყო ჩვენი საქმე და, სამწუხაროდ, ამ საქმეს მამაკაცებს გარდა, თვით დედაკაცებიც მისდევენ. ოი, ისრაელის ასულნო და დედაკაცებო, განა თქვენ ასეთ საქმეთა მიმდევარნი უნდა იყვნეთ, განა შეგფერის თქვენ, ისრაელის შთამომავალთ? ბარე არ შეგფერის, მაგრამ რა გაეწყობა. ყველაფერს ვიფერებთ“ და მრავალიც სხვანი, რომლის მოყვანა აქ საჭიროდ არ ვნახეთ. ქადაგებაში ბევრი ცოცხალი რამ ცნობები იყო გამოთქმული.

მეორე რაბინის ქადაგება:

„დღეს ისრაელის ასულნი ის აღარ არიან, რაც ძველად იყვნენ. ამის მაგალითსაც მოგახსენებთ. ერთ მდიდარს ვაჭარს, გარე, თავის საქმეებში აღებ-მიცემა მეტად ცუდათ, უკეთურად წაუვიდა. ბოლოს საბრალო გაკოტრდა კიდეც. ამ გაჭირვების დროს მას სრული იმედი ჰქონდა თავისი სახლობის, რადგანაც სახლში მას ოქრო-ვერცხლი, ფული და სხვა ნივთებიც მრავლად ებადა. გარე საქმეებში დაბანდებულ ვაჭარს დრო არ ჰქონდა შინაური საქმეებისა. სახლში მყოფს თავისუფალ და შეძლებულ ქალსაც ვერ დაეკავა საქმეები კარგად და ქმრის შინ არ ყოფნის დროს იგი თავის ამხანაგ ქალებს აგროვებდა და ათასნაირ მასპინძლობას უმართავდა. სახლის ყოველივე შეძლებას სულ წვეულებაში ხარჯავდა. ეს კი მისმა ქმარმა არ იცოდა. ცოლს ეგონა,

რომ ქმრის შეძლება ულეველიაო, ის კი არა, როცა კარში ქმარი დაცარიელდა, სახლის უქონლობამ და სიცარიელემაც მაშინ გამოყო თავი. და ასე და ამგვარად, შინაც დაეცა ერთსა და იმავე დროს, ეს მოხდა სულ მის ცოლის უხეირო მოქმედების მეოხებით".

მესამე რაბინის ქადაგება ისრაელთა დედაკაცებზედ:

„ერთ ვაჭარ კაცს ცოლი ყვანდა, ეგ ვაჭარი კაცი დილით სავაჭროზედ რომ წავიდოდა, მის შემდეგ მისი ცოლიც გავიდოდა კარში, დაჯდებოდა ქუჩის პირას, შეაგროვებდა თავის ამხანაგ დედაკაცებს და ერთ გამვლელს და გამომვლელს არ გაუშვებდა, რომ არ გაეკილა. ეს ასეთიაო, ის ისეთიაო და, ვინ იცის, რამდენი სხვა ასეთები არ იცოდა. შინ კი უბრალო ჯამის გარეცხვა რა არის, იმასაც კი ხელს არ ახლებდა, მთელი დღე კარში დააღამებდა და საღამოს მხოლოდ ქმრის სახლში მისვლის დროს შეეიდოდა და მხოლოდ მაშინ დაუწყებდა ჯაბებს რეცხვას" და სხვა.

უნდა ითქვას, რომ ებრაელთა სასულიერო პირნი მხოლოდ ასეთ საქმეებისათვის ჰაიცხავენ თვის დედაკაცებს, თორემ სხვაფრივ მათ სიბრალულიანი შეხედულება აქვთ დედაკაცებზედ. ბევრს ქადაგებაში მათს სიბრალულს დიდის პატივით ჰქადაგებდნენ. ნამეტურ მშობელთა სიყვარულს, უფრო კი დედის, რადგანაც დედაკაცი უფრო დაჩაგრულია, ვიდრე სხვა. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ებრაელთა სასულიერო წოდება ხშირად კაცთმოყვარეობასაც ჰქადაგებს, ღარიბთ სიბრალულს, მფარველობას, გაკითხვას, გატანას, დანაშაულის პატიებას და ბევრსაც სხვას. თუმცა ქადაგება მათ უსისტემოთ იციან და ხშირად ერთის კითხვიდამ მეორეზედ გადადიან, მაგრამ მაინც უმთავრესად კეთილმოქმედების დედააზრებს კი არსად იოტის ტოლსაც არ შორდებიან. ეს არის მათი უმთავრესი ძალა იმ მოძრაობის, რომ მათში ქალსა და კაცს შორის დიდი ურთიერთობა არსებობს, დიდი სიყვარული და პატივისცემა, ეს პატივისცემაც ხომ ცხადი ბურჯია იმ გარემოების, რომ ებრაელნი ყველგან ერთობ მრავლად მრავლდებიან.

როგორც ძველად, ისევე დღესაც, ებრაელთა ხახმები და რაბინები ქართულს ენას უეშმაკოთ ექვემდებარებიან, ქართველთ ებრაელი უფრო მადლიანის თვისებისა არის ქართველი ერის წინაშე, ვიდრე თვით ქართველი მუსულმანი და იმ ერიანთ რიცხვი, რომელნიც საქართველოში სცხოვრობენ, ზოგს ამათგანის დედა ენას ქართული ენა შეადგენს, მოდგმითაც ქართველები არიან, მაგრამ ჟამთა ვითარების მეოხებით იგინი ისე გარდაქმნილან, რომ დღეს მათ ქართველობის არაფერი სწამთ და ქართულ ენას თუ ხმარობენ, ხმარობენ ისე, როგორც საჭირო იარაღს, თორემ სხვაფრივ მათს გულში ამ ენის წმინდა ტრფი-

ალებას ადგილი არ აქვს, რაც ეს ყველას კარგად ეტყობა ჩვენში. იგი-ი აშკარად იჩენენ ამის ვითარებას.

ისრაელის ხახამი თუმცა ფანატიკოსია, მაგრამ იგი მხოლოდ ფანატიკოზია მოსეს სჯულში. იგი მარტოდ მის მფარველ-მომვლელია. სხვაფრივ იგი არავის რას ერჩის, არავის რას უშავებს, არავის მტრობა არ აქვს. იგი შურით არ აღიძვრის ისე, როგორც სხვებმა იციან. ამიტომ სანატრელია, რომ ებრაელთა სასულიერო წოდებას განვითარების მხრით წარმატება მიეცეს, ჯერ დღესაც, როგორც მათ განვითარება არა აქვთ, ამ დრომდისაც კი შეცადინეობენ თავიანთი შეძლებისდაგვარად და მრევლში სასტიკათ კრძალავენ ღარიბთ შეწუხებას, დარბევას. დიდი სარგებლის აღებას და სხვანი. ამიტომაც არის, რომ ქართველი ებრაელი უსამართლო საქციელს აღებ-მიცემაში დიდათ ეკრძალება. მას ეს სასტიკათ სძულს, აშინებს და საყოველთაოდ სულის საქმეც ადარდებს. სადმე ებრაელმა რომ ასეთი საქმე ჩაიდინოს და ვინმე დაარბიოს, ის საქციელი ხახამს თუ რაბინს დიდათ ეწყინება. თუ გაუგო, ძლიერ შეარცხვენს და თუ სიტყვამ მოიტანა, გაჰკიცხავს და შეაჩვენებს კიდევაც.

ამიტომაც არს, რომ ქართველთ ებრაელნი ძრიელ ერიდებიან ფულით ან სხვა რამით შეუძლოთა დარბევას და დაჩაგვრას, მაგალითებრ, მთელს საქართველოში თქვენ ვერ მიჩვენებთ ვერსად თუნდ ერთ კომლს, რომელიც მათგან დარბეულიყოს სადმე, ქართველთ ებრაელი ძრიელ ვრიდება სხვათა დარბევას. თუმცა ამათ ფულის გასესხება ხშირათ იციან. კაცის ხელის გამართვა საღმრთო ვალად მიაჩნიათ, მაგრამ თან კიდევ ისიც აქვთ სახეში, რომ გაჭირვებულს შველა უნდა და არა დარბევა. ამიტომ ქართველთ ებრაელი ისე კაცის დამხობას და დარბევას არ მისდევს ფულის საშუალებით, როგორც მხოლოთ თვით ფულის სარგებლის აღებას, მან მხოლოთ ფულის სარგებელი აიღოს, თორემ „შტრაფები", „ნეუსტოიკა" და ამგვარი რაღაც უსამართლო ჯარიმები მას არ უნდა, იგი ისტორიით დაჩაგრული პირია და ამიტომ დაჩაგრული კაცის დარბევას სულ არ ნდომობს. ეს რომ ასეა, ამას ასაბუთებს შემდეგი სამაგალითო ფაქტიც: ცხინვალს, სურამს, ქართლს და საქართველოს სხვა კუთხის ქართველთ ებრაელთა ცხოვრებას მეტად კარგად იცნობს აწ რუსის ბოქაულად ყოფილი ივ. ზ-სკი. ეს პირი მეტად დიდხანს იყო ბოქაულად, მას ძრიელ ბევრი გაჭირვებული კაცის მამული აუწერია მევახშეებთა ვალში. ბევრს ალაგას ბევრი ღატაკი კაცი დამხობილა შეუწყალოდ, უმეტესათ მოვალენი დამხობილან თვით ქრისტიანებთაგან, უფრო სომხებისაგან. ურიისაგან კი ამგვარ საქმეთა მაგალითიც არ ყოფილა. მთელი ქართლის თავად-აზნაურობის მამულები სულ ქრისტიანმა

სომხებმა აიკლეს, აიკლეს თვით ქართველი გლეხებიც. სომეხი როცა ქართველის მამულის გასაყიდათ მიდის, მან აღარ იცის, როგორ ინავარდოს, „პრისტავს“ აღარ აცლის გაყიდვას და როცა დასარბევი ქართველი ოჯახის წევრნი დარდით და ბოღმით წივიან, რომ მათ ქრისტიანი მევახშე უღმერთოდ არბევს და აწიოკებს, 100 მანეთში 100 თუმანს ახდევინებს, ამ დროს კი ქრისტიანი სომეხი მევახშე სიხარულით ცეკვავს და აღარ იცის, რა ქნას, როგორ ინავარდოს, როგორ დაარბიოს ქართველი გლეხის ოჯახი.

ამ წურბელების მეოხებით ბევრს ალაგას მოეღო ქართველ კაცს ბოლო, ბევრს ალაგას დაეცა საუკეთესო ოჯახები ქართველთა და აღიგავა დედამიწის პირიდამ. თუ რა ამოქმედებდათ ამ პირებს ასე ჩვენზედ ამაზედ მე არას ვიტყვი, ხოლო ის კი უნდა ავნუსხოთ, რომ სომეხმა ქრისტიანმა თავის მოვალის წინაშე არც მოცდა იცის, არც ვალის დაცდა, არც სიბრალული და არც რა სხვა მხარეები. მისთვის არსებობს მხოლოდ ქართველის დარბევა და დამხობა. ასე ნავარდობენ ეს ეგმირები და ამ ნავარდობისთვის თითქოს გარემოებაც კი ხელს უწყობს. ქრისტიანობის ფირმანით ბევრნაირს ბოროტების ქვეშ იფარვენ თავებს. ამ ბოლოს დროს, ქრისტიან სომეხ ვაჭრებთა გვერდით ასეთი ქართველი მევახშე ვაჭრებიც გაჩნდნენ და არც ესენი ჩამორჩებიან სომეხ ჩარჩებსა ტაციაობაში. ეს ახალი მოვლენილი ქართველთ ქრისტიანი ჩარჩებიც სომეხზედ უარესად სწუწნის სისხლს ქართველს და ამხობს უწყალოდ. მე თვით ვარ მნახველი ასეთ ჰარამზადა ქართველი ქრისტიანი მცარცვაველების. ასეთი ძერებით და ქორებით გაივსო საქართველო და ქართველი ერი. მაგრამ ვინ რას ეტყვის ამათ? არავინ, რადგან ურიის გვერდზედ ესენი კეთილმოსაი ქრისტიანები გახლავან.

ქართველთ ებრაელი კი ასეთ უსჯულო საქციელს სასტიკათ არის მოცილებული და იგი თუ ვისმეს რამე სიკეთეს უშვრება, უშვრება მხოლოდ მიტომ, რომ იგი არ დაარბიოს, არამედ ფეხზედ წამოაყენოს და უშველოს რამით. ზემოხსენებულმა პრისტავმა მიამბო შემდეგი: ქართლსა და იმერეთში ქართველი ურიები პატარა შეძლების პატრონები არიან, მათ ძრიელ უყვართ სარგებლით ფულის გასესხება. ფულის ვადა მოვა, ამაზედ საჩივარიც ატყდება, ურია მოვალეს პრისტავით მიადგება კარზედ, მოვალე გამოვა კარში და ებრაელს ეტყვის ასე:

— ჩემო ისრაელო, დამაცადე ცოტა, გეფიცები ღმერთს, რომ ყველაფერს გადაგიხდი.

ისრაელი მიუგებს:

— კი შენი ჭირიმე, დაგაცდი დიდის სიამოვნებით, მხოლოდ თა-

მასუქი გამოცვალე, პრისტავის ხარჯი გადაიხადე და დიდის სიამოვნებით. მე მზათა ვარ, რომ დაგაცადო, სიკეთე გიყო და არ დაგახრჩო,

ქართველი ისრაელის სიტყვას ასრულებს, თამასუქს უცვლის, პრისტავის ხარჯს უხდის და ისრაელს შინ ისტუმრებს მშვიდობით. პრისტავსაც უხარიანო და ისრაელსაც, რომ საქმე მშვიდობით გათავდა და მოვალის ოჯახი არ დაირბა. ამას ემადლიერება თვით მოვალეც და შემდგომ იგი ისრაელს ვალსაც უხდის მშვიდობით, ამ გადასახადს ან კაი მოსავალი უწყობს ხელს და ან სხვა რამ კეთილი გარემოება. ეუოქვამს ხოლმე ამ პრისტავს, რომ ერთხელაც არ მომხდარა ისეთი მაგალითი, რომ ისრაელს ვისიმე ქართველის ოჯახი აენიავებინოსო. სომხის მდიდრისაგან ოცობით და ორმოცობით ანიავებულა ქართველთ ოჯახი და ისრაელისაგან კი არც ერთიო. ამის მოწმე თვით მე ვარო. ერთმა ასეთმა სომეხმა მევახშემ ეს პრისტავი მოაბეზრა ბევრის გლეხების მამულების აღწერით და დარბევით. სხვათა შორის, ერთხელ მან ხსენებული პრისტავი წაიყვანა და ერთი კაცის მამული აღწერა და გაყიდა. შემდეგ უძრავის ქონების გაყიდვისა, განაგრძო თვით მოძრავი ქონების გაყიდვაც. მოძრავი ქონების გასაყიდათ სახლში პრისტავი წაიყვანა. მოვიდა მოვალე და შევიდა სახლში. თან შეიყვანა პრისტავი, ყოველივე აღწერა. იგი პრისტავს სთხოვდა, რომ ამას აღწერა აკვანიც კი, სადაც ბავშვი იწვა და ერთი ხელი ლოგინი, რომელზედაც ერთი მოხუცი ავადმყოფი იწვა.

პრისტავმა ეს ვერ იკადრა, ქრისტიანმა სომეხმა ძალა დაატანა და უთხრა:

— აღწერე, ეს შენი საქმე არ არის ღარიბია თუ მდიდარი, მე შენს ხარჯს ვიხდი, ფულს გაძლევ, იმიტომ რომ აქ აღწერო და გაყიდო და არა სიბრალული გამოიჩინოვო, ეს შენი საქმე არ არისო.

ამაზედ ბოქაულს ჯავრი მოუვიდა და ჩარჩს სომეხს მკაცრად დაუყვირა, რომ შენ ამ ოჯახს უღვთოდ არბევო. ბევრი დაგირბევია, მე ვარ ამის მოწამე, ეხლა კი ალარ შეგრჩებაო.

მევახშემ ყვირილი დაუწყო და თან გმობა, ბოქაულმა ეს ვეღარ მოითმინა, აღელდა, სწრაფად რევოლვერი დასცა და მევახშე იქვე გაიჭიმა. ამ ამბავმა დიდი დავა ასტეხა. ყველა მევახშეს ამტყუნებდა, რადგანაც მას ვალის ვექსილში 100 მანეთის მაგიერ 100 თუმანი ჩაეწერა და საბრალო გლეხისთვის ვალად დაედო, რაშიც მართლაც და 100 მან. მაგიერ 100 თუმანი გადაახდევინა, რითაც ეს საწყალი გლეხი დაღუპა და დააქცია.

ქრისტიან სომეხ მევახშისაგან ასეთი მაგალითები ერთი და ორი კი არ მომხდარა, არამედ ოცი, ორმოცი და ასიც. ურიასაგან კი არსად ერთი ქართველი კაცის ოჯახიც არ დაშხობილა, არსად

არავინ აღგვილა. ამის მაგალითიც არ ყოფილა. ვიტყვით ახლა ჩვენ, რომ ქრისტიანთ სამღვდელოება ებრაელთა ხახმებსა და რაბინებს სჯობნიანო. აბა, ბრძანეთ ერთი თქვენ, თუ აქ ესენი ერთი მეორეს რით სჯობს. ჩვენ, ქრისტიანები, მგმობელნი ურიათა და ურიათა მღვდელმთავარნი კი ურიანი. თუმცა ამ ამბებს აქ ადგილი არ ქონდა, მაგრამ აქ ეს ჩვენ მოვიყვანეთ, როგორც სამაგალითო მხარე ურიათა, რომელიც მათ სასულიერო წოდების ზეგავლენის მეოხებით ხდება.

როგორც სხვებთან ანუ სხვა ტომის ერთან, ისევე თავიანთ თანამერჯულეებშიაც დიდი კავშირი აქვსთ, დიდი ერთობა და ერთმანეთის გატანა. გატანა იციან უფრო იმ სახით, როგორც საჭიროა ყოველი უძლურისთვის ფეხზედ დასაყენებლად. იგინი ებრაელთა ღატაკთ ეხმარებიან ისეთის სახსრით, რომ ღატაკი ფეხზედ დადგეს, ცხოვრებით წელში გაიმართოს, საქმიანობას მოჰკიდოს ხელი და მათხოვრობას საყოველთაოდ გამოეთხოვოს. უამისოდ ებრაელის დახმარება სრულიად უბრალო, უმნიშვნელოა. ამიტომაც არის, რომ ებრაელთა შორის, ყოველი საპყარიც კი მნატვრელია შრომის და არა მათხოვრობის. ებრაელთა შორის მათხოვრობა ძველადგანვე აკრძალული იყო. მას ეკრძალებოდა ბერიკაცი, დედაკაცი, სნეული და სხვანიც. ყოველი არსება ნატვრით სცხოვრობდა და მეცადინეობდა, რათა მას თავის მუშაკობით და მარჯვენით მოემუშაკა და ეშოვნა დღიური საზრდო და მათხოვრობა და აქა-იქ სიარულს კი საყოველთაოდ გამოსთხოვებოდა.

ეს იყო დარგი ურიათა ერის ძველადვე და ესევე არის დღესაც ბევრს ალაგს. ქრისტიანთა შორის ლაპარაკობენ, რომ ურიები მდიდრები არიან და მიტომ არ მათხოვრობენ, მიზეზი ეს არის, რომ ებრაელთა შორის მათხოვრები არ არსებობსო. ეს მხოლოდ მოგონილი მოსაზრება არის, თორემ თუ დავაკვირდებით საქმეს, სინამდვილეს და სიმდიდრეს, მაშინ კი სხვა აღმოჩნდება. ებრაელთ შორის მათხოვარი ოა რიცხვი არ არის, მაგრამ მის მაგიერ კი გლახაკთა რიცხვი დიდია. ამათში გლახაკნი ისეთნი არიან, რომ თვით მათხოვართა მდგომარეობაზედაც კი დაბლა სდგანან. ამის მაგალითი მე ვნახე ახალციხის ქართველ ებრაელთა შორის. ცხოვრებას მათთვის ისე გაეჭირვებინა, რომ თუმცა მორიდებით კი, მაგრამ მაინც გაებედნათ მათხოვრობა და თვით ჩემთანაც მოვიდნენ ასეთის ჩუმის გაკითხვით: ერთი კაპეიკი მაჩუქეთ, შენი ჭირიმე და სხვ.

ქართველებმა იცოდნენ ძველად შემდეგი თქმულება:

„ურიებს დარდუბალის კიდობანი აქვთ, ამ კიდობნისთვის ყველა ურიას წლიურათ ფული შეაქვს და როცა კი მათში ვისმეს გაუჭირდება, მაგალითებრ, ცეცხლისაგან გადარჩვის გინმე ან იზარალებს, მო-

ხუცღება, არავინ ეყოლება და ცხოვრებით დაეცემა, უსახლო ობ-ლები იქნებიან და ასეთიც სხვანი, მაშინ მათ აქედან ეძლევათ დახმა-რებაო, ამიტომაც არს, რომ ურიებში მათხოვრები არ არიანო".

იციან კიდევ შემდეგი: „ურია უფრო ეხმარება ურიას, ვინემ ქრი-სტიანიო".

ზემოთ ხსენებულ მევახშეობის გამო ურიათა შესახებ დაშთენილია ასეთი თქმულება:

„ურიის ვალი სჯობია სომხის ვალსაო".

ეს იციან ნამეტურ ცხინვალს და ანუ ისეთ სოფლებში, სადაც სომეხნი და ურიები ერთად სცხოვრობენ. ორივენი ფულს ასესხებენ. ზემოთ მოყვანილი „დარდუბალის კიდობნის" გარდმოცემამ შემდეგ დროს სახე შეიცვალა, მისი ჩვენ სხვა ვარიანტიც ვვაქვს. ეს ვარიანტი, რასაკვირველია, ახლად მონარუქებულია. აი ესეც:

„ურიებს „დარდუბალის კიდობანი" აქვსთ, იქ ფულებს ინახავენ, როცა სადმე საქმე გაუჭირდებათ, მაგალითებრ. თუნდ მაშინ, როცა იგინი ქრისტიანის ყმაწვილს დაიჭერენ და აწვალებენ, თუ ეს მწვალ-ებლები დაიჭირეს და სამართალში მისცეს, მაშინ იგინი ამ „კიდობ-ანს" გახსნიან, ფულს ამოიღებენ, მით მოსამართლეებს ქრთამავენ, ადვოკატებს იჭერენ და დამნაშავეებს ამართლებენ".

უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ცხადი სიცრუე არის ქრისტიანებთა-გან მოგონებულ-მოჭორებული, უფრო ურიების მტრებისაგან. ზემოთ-აც ვსთქვით და აქაც ვიტყვით, რომ საქართველოს მეფეების დროს საქართველოში არ ყოფილა სადმე მაგალითი, რომ ურიებს ქრისტი-ანთ ბავშვი მოეტაცნოთ და ეწვალებინოთ. ძველად ეს ამბათაც არა-ვის გაუგონია საქართველოში, არსად ერთი შემთხვევაც არ მომხდარა. ეს რომ ასე არ ყოფილიყოს, მაშინ ცხადი საქმეა, რომ ქართულს ის-ტორიულს წიგნებში სადმე რამე ცნობა დაშთებოდა, თვით „ქართ-ლის ცხოვრებაშიც" კი დაიკავებდა ალაგს. ვახტანგ მეფეც ხომ ცხა-დი საქმეა, რომ თავის სამართლის წიგნში იტყოდა რამეს, მაგრამ არც ამის, არც აღბუღასი და ბექას სამართალში და არც სხვა საკანონმდე-ბლო წიგნებში სიტყვა, კრინტიც არ მოიპოვება ამაზედ.

აბა თქვენა ბრძანეთ, ეს რომ ასე არ ყოფილიყო და საქართველო-ში ურიებს ქრისტიანთ სისხლი ეხმარათ და ამისთვის ბავშვებიც ეწ-ვალებინათ, ნუთუ ამაზე ასე მოხდებოდა და ხმას არ ამოიღებდნენ, არა გვგონია. ეს არც ჩვენს კანონმდებლებს გამორჩებოდათ, არც ჩვენს მეისტორიეებს და არც სასულიერო მწერლებს. მაგრამ არ არსებობდა ეს, ამის ამბავიც კი არ გაგონილიყო მაშინ და მიტომაც არც იგინი იხსენებენ. ეს ამბები სულ მოჭორებულია XIX საუკუნის დამდეგს, რასაც, რასაკვირველია, უმეცარ ქრისტიანებთაგან უფრო ფრთები ეხ-

მება და ვრცელდება, ამ გავრცელებას ზედ ემატება ზოგიერთ ბორ-ოტ-ავეყია ქრისტიანთა მტრობა და დევნა.

უნდა ვსთქვათ, რომ მართლაცდა ქართველთ ებრაელთ ყველგან სდევნიან და აწვალებენ, ყველგან სჩაგრავენ და, ვინ იცის, რას არ უშვრებიან. თვით ქრისტიანი ბავშვებიც კი სდევნიან, ათასნაირ უწმაწურ სიტყვებს უყვირიან. რაც ამ საბრალოების შესახებ საგმობელი ანდაზებია ხალხში გავრცელებული, ჩვენ ყველა იმაებს ვერ მოვსთვლით, მათი მოხსენებაც არ შეიძლება, შეუძლებელია. სამწუხაროდ, თვით ჩვენი საეკლესიო წიგნების უმეტესი ნაწილიც კი ისეთი კილოთია ნაწერი, სადაც ყველგან ურია იგმობა, ურია იხატება ხალხის წინაშე ეითარცა ქრისტეს მტანჯველი, ურჯულო და თითქმის ულმერთოც. ამიტომ საბრალოებს სდევნიან ყველგან, სცემენ, აწვალებენ, სტანჯავენ, პირზედ ღორის ქონს უსომენ, ეუბნებიან: თქვე ასეთებო, თქვე ისეთებო!

გარდა ამისა, ყოველს ჩვენს სადღესასწაულო ხატების გამოფენას და რიგის გარდახდასაც ხომ ერთობ დიდი ზეგავლენა აქვსთ მდაბიო ქრისტიანებზედ ანუ განუვითარებლებზედ. მაგალითებრ, ჯვარცმის სურათების ხილვას, მთელის ქრისტეს ცხოვრების სურათებს, სადაც ტანჯვა-მწუხარება არს მკაფიოთ ნახატი, ასეთ ნახატებს ერი ხედავს ეკლესიის კედლებზედ, ხატებზედ, დროშებზე და, ვინ იცის, სად არა. მერე ყველა ამის ჩამდენათ და მომქმედათ ვინ სჩნდება, რასაკვირველია, ურია და ურიები, რომელთაც კარგია, რომ ქრისტიანობის ბრბო არ ეცემა და სულაც არ ამოჟლეტენ. ამასვე ერთვის ზედ და ემატება ქრისტიანთა იმ მწერლებთა ნაწერები, რომლებიც იესოს შესახებ ხშირად სწერენ და თან კიდევ ურიათაგან მის აურაცხველ ტანჯვას ანუსხვენ, ანუსხვის შემდეგ დასკვნას აძლევენ ასე:

„ყველა ეს დაითმინა იესომ ჩვენი გულისთვის“.

აბა ახლა თქვენ ბრძანეთ, თუ ასეთ მაგალითების შემდეგ რა დღეში უნდა იყვნენ. ამაზედ მე რომ არ ვისაუბრო, ვგონებ, ეს უჩემოთ სხვებმაც კარგად უნდა იცოდნენ, რადგანაც ამის შესახებ მთელის ევროპის წარჩინებული პირნი ღაღადებენ. აქ ეს თუ მოვიყვანეთ, მხოლოდ მიტომ, რომ მით აგვენუსხა ჩვენი დარდიც, ჩვენი სიმდიდრეც, რომ დღეინდელნი ქართველნი ებრაელთა წინაშე ის აღარა ვართ, რაც ძველად ვიყავით. ძველათ მათი შემბრალენი დღეს სხვათა ფეხის ხმით ურიათ მდევნელათ გარდავქცეულვართ და წინააღმდეგ ჩვენის მამა-პაპის ტრადიციების არც ჩვენ ვაკლებთ ურიებს ტანჯვას და დევნას — ჩვენც მოვყვებით ურიათა საგმობ ისტორიაში.

ამისთვის კმარა თუნდ ის ცილისწამებანი, ბრალდებანი და სამართალში მიცემა, რაც ებრაელთ საქართველოში გამოსცადეს და გამო-

იარეს XIX საუკუნის გასვლამდე, ნამეტურ იმერეთში. პირველად ამგვარი ამათი დევნა და ცილისწამება მოხდა 1846 წ. მის შემდეგ მიდის დრო და თითქმის, ვინ იცის, სად რა არ მოხდა და კვალად არ ხდება, ნამეტურ ყოველ წელს, აღდგომის კვირა დადგება თუ არა და, თქვენი მტერი, საბრალო ქართველ ურიებს კარში ვეღარ გაესვლებათ, თუ ამ დროს სადმე უბანში ქრისტიანი ყმაწვილიც მიიმალა ხუმრობით ან ქრისტიანებმა ერთმანეთს ხუმრობით ან ურიათა სამტროთ ყმაწვილი მიმალეს, მაშინ ხომ მშვიდობით, ურიათათვის დგება განკითხვის დღე, ჩაქვავება და, ვინ იცის, რამდენი კიდევ რაგინდარა. ასეთი უბედურება, ასეთი დაჩაგვრა შეუწყალოდ და ებრაელთა მოხუცთა, ქალთა, კაცთა და ბავშვებთა ატირება ბევრს ალაგს მოხდა, ბევრს ალაგას ამ ვარემოებას თვით ჩვენმა ცნობილმა მღვდლებმაც შეუწყეს ხელი, მაგალითს მოვიყვან.

პროფესორის ხვოლსონის წიგნი „სმარობენ თუ არა ურიები ქრისტიანების სისხლს" (თარგმანი ილია კალატოზიშვილისა) მე დავბეჭდე და ამის დაბეჭვდამ ჩვენში ზოგიერთ ალაგას კამათიც ასტეხა და ორს ალაგას საქვეყნოთ შეჩვენებაც მომიძღვნეს მისი დაბეჭდვისთვის. ასეთი შეჩვენება ეკლესიის გარეშე თვით ერთ ქართულს გაზეთშიაც იქმნა დასტამბული და აღიარებული, რომ პროფესორი ამას მარტოდ უნივერსიტეტში სტუდენტებს უკითხავდა კათედრიდამ სამეცნიერო მიზნითო. სხვა რამ ჭეშმარიტებას ჩვენ ვერ ვაკუთვნებთ, რადგანაც დამტკიცებულია, რომ ებრაელნი ქრისტიანთა ბავშვების სისხლს ხმარობენო, ურია ჩარჩიაო...

ზემოთაც ვსთქვით და აქაც ვიტყვით, რომ საქართველოში ქართველთ ურია ჩარჩობის გარეშე მეურნეც არის, მეფობის დროდან დამკვიდრებულნი მეურნეობასაც მისდევდნენ, დღესაც ქართველთ ურია რამდენათაც ვაჭარია, იმდენადვე მეურნეა, მხვნელ-მთესველნი და თვით ბარგის გადამტანნიც არიან. ნამეტურ სტანციებზედ. სამეურნეო ნაწილზე მათ მოჰყავთ ბოსტნეულობა, სთესვენ პურს, სიმინდს, ღომს და სხვა. მევენახეობასაც მისდევენ. თავიანთ სახმარს ღვინოს თვით სწურავენ. გასაყიდიც მრავლად აქვსთ. არყის ხდასაც მისდევენ და სმენ კიდევაც კარგად. ჭამა-სმა ებრაელთა არის მეტად მცირე, სუფთა. ხორცის ჭამას იგინი მცირედ მისდევენ, უფრო ლობიოს და სხვა ამგვარებს. ქართველთ ურიები ჭამა-სმით ევროპის ურიებზედ გაცილებით დაბლა სდგანან, შედარება არც კი შეიძლება. ევროპის ურიები ყველაფერს ეწყობიან. ქართველნი კი თითქმის მცირედ, ესენი ძრიელ ცოტას სჭამენ, მთელ დღეს თითქმის მშიერს აღამებენ, მშრალა პურზედ. დღესასწაულის დღეებში და ლხინში თუ სჭამენ ხორცს, თორემ უამისოდ იშვიათად იციან საჭმლის ხარშვა. რაც შეეხება ხო-

ჭმელთა ხარშვის ნაირ-ნაირობას, ვერც ამაში არიან დახელოვნებულნი, იციან ის, რაც კი საჭიროების გამო საერთოდ მიღებულია. რაც შეეხება საჭმელთა სისუფთავეს, ვერც ამაში არიან ქებულნი. მე ამას ძრახვით არ ვამბობ, არამედ სიყვარულით და პატივისცემით.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ქართველთ ებრაელნი არ მისდევდნენ მკაცრად სისუფთავეს. ზოგი ცხოვრების პირობების ბრალია, ზოგი სიღარიბის და ზოგიც სხვადასხვა მიზეზების. სარეცხი და ლოგინის სისუფთავეც მძიმეთ იციან, რაც შეეხება ტანთსაცმელთ დაკერებას, ესეც ერთობ ნაკლებ აქვსთ შეგნებული, ნამეტურ ქართლის ებრაელთ, როგორც ტეტიები, ესენიც ისევე დაგლეჯილს ტანთსაცმელში არიან გახვეულნი, ხოლო ვერც ერთ მათგანს ვერ ნახავ, რომ ქართლის ტეტიასავით ტანზედ რუსის ფარაჯა ეცვას. სულ შეიძლება ძველძულებიც კი ეცვას, ძველი კონკები, მაგრამ თავისებური კი იქნება.

უსათუოდ, იგი მამა-პაპურს ტანთსაცმელს ადვილათ ვერ დასთმობს. წინეთ ქართველთ ებრაელთა კაცნი და ქალნი ქართულად იცოდნენ ტანთსაცმელს, როგორც მამაკაცთა შორის, ისევე დედაკაცთა. ზოგთ ძვირფას ტანთსაცმლის ჩაცმაც იციან, მაგრამ ერთობ იშვიათად. მათში ძვირფას ტანთსაცმელს და ლოგინს ერთობ დიდხანს აძლებინებენ. სადაც კი გაივლით ებრაელთა სოფლებში, ნამეტურ ზაფხულობით, მათი ლოგინი და ტანთსაცმელი ერთთავად კარში ჰკიდია გზაზედ<...>

რაც შეეხება შენობებს, ანუ სახლებს, არც ამით არიან წინ წასულნი სხვებზედ. ურიამ ოღონდ სახლი გააკეთოს, თავი შეაფაროს, თორემ სხვაფრივ მისთვის სულ ერთია. იგი იოლად წავა. როგორც უნდა იყოს, თავს დაირჩენს. ამიტომაც არის, რომ ებრაელნი ქართლსა და ზემო ქართლს ქართველებივით მიწურ სახლებში სცხოვრობენ. გარდა ამისა, ძველადგანვე ჩვეულება ქონიათ ამათ ერთად დასახლება, ერთ უბანში. ჭირსა და ლხინში მეგობრობა, ხოლო სახლის წინ ვიწრო ქუჩები იციან, სახლებიც ერთმანეთზედ მიყრილი, უსუფთაობაც უხვია და ამიტომ ურიათა უბანი ყოველთვის უსუფთაოა, სველი და საძრახი.

ასეთ ჩვეულებას, ამ ბოლო დროს, იმერეთის ურიები კი გამოვთხოვნენ. მათ იწყეს ძველის ვიწრო ქუჩებიდან გამოსვლა, ქოხმახების გადაკეთება, მაღაზიების გამოცვლაც. ასეთია, მაგალითებრ, კულაშელი ურიების საქმე. მათ თავიანთი მაღაზიები ერთ ალაგას, ევროპულად

გადააკეთეს ისე, რომ დღეს მათი სავაჭროები რამეს ჰგავს. წინეთ კი იგი არაფერი იყო. როგორც ურიის სახლი, ისევე სავაჭრო, უბრალო ქოხმახს წარმოადგენდა. ამ უკანასკნელ დროს ამის დაკვირვება და შეგნება ქუთათურ ებრაელთაც ცხადათ დაეტყოთ. მათ იწყეს ქუჩების გასუფთავება, სახლების გადაკეთება. ქუთაისს — რიონთან ახლოს ცხოვრობენ. ისიც კი უნდა ითქვას, რომ ძველად, ქუთაისის ებრაელნი. უმეტესად ხის შენობის კეთებას მისდევდნენ, შემდეგ კი ქვიტკირით იწყეს. ქართველთ ებრაელთ ძრიელ უყვართ მდინარის ახლოს დგომა. ყველგან ესენი მდინარის ახლოს სდგანან, ალბათ წყლის სიუხვის და სისუფთავის გამო. მეზობლობაში წყლის გამო მათ ჩხუბი არ იციან ისე, ეს როგორც ჩვენშია, ნამეტურ სოფლის ხალხში. მაინც ქართველთ ებრაელთა მეზობლობაში მტრობა არ იციან. მათში ეს ამოვარდნილია.

რაც გინდ სასტიკი დანაშაული მოხდეს, მის სისასტიკეს კი დიდი ზომა არა აქვს, ყოველი მათგანის გული მალე მოდის სილბოზე, თითქოს იესოს და მის მოციქულთ სიტყვები მათაც აქვსთ გაზეპირებული. დანაშაული უნდა ეპატიოს ყველას არა ერთგზის და შვიდგზის, არამედ სამოცდაშვიდგზის. ამიტომაც არის, რომ ებრაელთა შორის მტრობას ალაგი არა აქვს, გატანა ურთიერთშორის გადღესასწაულებულია და უმეტესი ნაწილი მათის სადავო საქმეებისა ისევ მათშივე შეება, თვით ახერხებენ ყოველისფერს. ამით იგინი სანაქებონი არიან, მშობელთა. ნათესავთა შორისაც დიდი გატანა იციან ერთმანეთისა, აუცილებლად გაჭირვებაში დახმარება, პატივისცემა და სიყვარული. ამათში ნათესაური განწყობა, წვეულება და ლხინიც იციან, შეძლებისდაგვარად, მდიდართა და ღარიბთა გარჩევას კი იგინი არ მისდევენ ისე, ეს როგორც ჩვენშია.

რაც შეეხება დანათესავებას ანუ დაკავშირებას, არც ეს არის მათში ძნელი და ამაშიაც იგინი ერთობ ადვილათ უკავშირდებიან ერთმანეთს, მათში ქალის გათხოვება ისე ძნელი არ არის, როგორც ჩვენში. ჩვენში ვისაც ერთი ვაჟი ჰყავს და სამი და ოთხი ქალი, ის დაღუპულია საყოველთაოდ, რაც გინდ დიდი შეძლების კაცი იყოს. ებრაელთა შორის კი ეს ასე არ არის და იგინი ქალებს ერთობ ადვილათ ათხოვებენ, მათი უბედურება ერთი ის არის, რომ ქალის გათხოვება ერთობ ადრე იციან, რასაც ხშირად დიდი ვნებაც მოსდევს. ამას ნე კი არა და თვით შესმენილი ქართველთ ებრაელნიც დაასაბუთებენ. ამიტომაც არის, რომ მათში ქალები ერთობ უძლურნი დგებიან, მჩატენი. სრულს სხეულის მექონს ადამიანობას მხოლოდ მაშინ მიაღწევენ, როცა წლოვანებით დასრულდებიან, შვილოსნობისგანაც ისვენებენ. ამათი ბედნიერება ერთი ის არის, რომ მათს სიმჩატეს და უძლუ-

რებას ქმარი თუ შვილი ყოველთვის მალამოსავით ეელინება. იშვიათად რომ ქართველ ებრაელთა შორის ქალის დაჩაგვრა ვინმემ გაბედოს, თვით ებრაელთა ქალებიც საკმარისად მისდევენ მომჭირნეობას უნდა ითქვას, რომ ქართველთ ებრაელთა დედაკაცი პიროვნებით გათანასწორებულია მამაკაცთან. ზემოთ მოყვანილი ქადაგებანი დედაკაცთა ნაკლის შესახებ მათში ზოგადად უნდა შეინიშნოს და არა საზოგადოთ, მრავლად.

როგორც დედაკაცობა არის, ისევე არიან ბავშვებიც, ბავშვების პატივისცემა მათმა მშობლებმა კარგად იციან. ცემა-ტყეპა და ამგვარები მათში მოსპობილია თითქმის. თუმცა ბავშვების არც კარგად აღზრდა იციან. მაგრამ არც ისე სდევნიან და აწვალებენ ბავშვებს, ეს როგორც ქრისტიანებს შორის არის გავრცელებული. ებრაელი თავის ბავშვს პატარობიდანვე ანთავისუფლებს მძიმე ტვირთის ანუ მუშაობისაგან. იგინი მას ჯერ ხახამს აძლევენ სასწავლებლად, მცირედ კითხვას რომ ისწავლის. ამის შემდეგ მას გამოიყვანენ ხახამისაგან და ვაჭრობას დააწყებინებენ. ვაჭრობენ რასაკვირველია შეძლებისდაგვარად, თავ-თავის ალაგას. ზოგს მაღაზიაში აყენებენ და ზოგსაც ფეხზედ ავაჭრებენ, წვრილმანი საქონლით. საპნით. მამა თავის შვილს სულ ერთი მანეთის თანხას მისცემს. ამით უყიდის წვრილმან საქონელს და მერე გზაზედ დააყენებს, რომ წავიდეს პატარა ქართველთ ებრაელი, ივაჭროს, ფული მოიგოს და იცხოვროს თავის შრომით. მართლაცა და ურიის ბავშვი თავის მამის დავალებას ჩინებულად ასრულებს. იგი რაც გინდ საპყარი იყოს, მაინც იგოდენათ ეცდება და ისე იშრომებს, რომ რამენაირად დღის საზრდოს იპოვის, სულ მცირე, ოთხი გროშის პურით დაალამებს. თავის თანხას არაფერს მოაკლებს, თვითაც იცხოვრებს და მამასთან სახლში მოგებულ მცირე თანხასაც შეიტანს.

ამის შნო მათ დამკვიდრებული აქვთ და მასთან მშობელთა პატივისცემაც უაღრესად სწამთ. ძნელად, რომ ებრაელთა ბავშვმა თავის მშობლებს რამით აწყენინოს. წყენა შეუძლებელია თვით ისეთ ებრაელთა ბავშვთაგანაც, რომელთაც დედმამისაგან სიღატაკის მეტი არაფერი დაშთენიათ. მთელ სიცოცხლეს ბავშვები სიღატაკეში ატარებენ, მაგრამ გულში კი დედ-მამის შური ბოროტებით არც შესცვლიათ და არც მოსაზრებიათ რამე ბოროტებით. ასეთია თვისება ებრაელთა ბავშვებისა და იგინი დიდის თავაზით და პატივისცემით ემორჩილებიან თავიანთ მშობლებს. თუმცა ისიც კი უნდა ითქვას, რომ უმეტესად ქარ-

თველ ებრაელთა ბავშვების აღზრდის საქმე დიდს სამწუხარო გარეშოებაშია მოთავსებული. იგინი, სამწუხაროთ, თითქმის ღვთის ანაბარათ იზრდებიან, მათი პატრონი მათი თავის მეტი სხვა არავინ არის, ამას უეჭველია ყველა ის პირნი ცხადათ შენიშვნენ, რომელნიც კი ბაზარს ადგილებში ქართველთ ებრაელთა ბავშვებს ხედავენ, მათს მოქმედებას. აღებ-მიცემობის მხრით თვალყურს ადევნებენ და თან კვალადვე აკვირდებიან მათს განწირულს მდგომარეობას. ორი გროშის მშრალა პურზედ ცხოვრებას.

ასეთია ებრაელთა ბავშვთა ცხოვრება და ასეთი დამოკიდებულება არის მათი მათს მშობლებთან. ბავშვები აღზრდის დროს, დიდის უპატრონობით არიან დატოვებულნი არა მარტო ჭამა-სმით, არამედ ჩაცმა-დახურვით, სისუფთავით და სხვანი. ვგონებ, ქალაქ ალაგას, ურის ბავშვი მთელის წლის განმავლობაში ვერ წავა აბანოში. ვერ წასვლა აბანოში არ არის მაინც და მაინც სადარდელი. სამწუხარო ის არის, რომ მას არც სარეცხი აქვს სუფთა და ბევრს ებრაელს სიღარიბის გამო უბრალო პირსახოციც არა აქვს, თუმცა ასეა მოწყობილი მათი საქმე, თუმცა ასეთ ცხოვრების მორევში სცურავენ იგინი, მაგრამ რაც შეეხება ურთიერთ შორის სულიერების და ერთის ოჯახის წევრთ შორის ერთს მაგარი ქსელის გაბმას, ეს კი შეურყეველი ღირსება არის მათი და მის მზგავსს ჩვენ სხვა ტომის ერთა შორის ვერ ვპოვებთ. ებრაელი დევნილია მრავალთაგან, გმობილია იგი ბევრგან, მაგრამ მასთანვე იგი მაღლა სდგას თვით ისეთ ქრისტიან პირებზედ, რომელნიც მათ ჰგმობენ.

ქართველთ ებრაელთა მოხუცებულთა საქმე თუმცა, ერთის მხრით, შვილებთან პატივცემულია, მაგრამ იგი იგოდენადვე უბედურია. ებრაელთა მოხუცებულთა სულიერი მხარე ისეთია, რაც მათ ნებას არ აძლევს, რომ მოხუცებულნი თავის შვილებს დააწვეს კისერზედ და წამდაუწუმ ფული და სახსარი სთხოვოს. თუმცა მოხუცებულთათვის ეს ერთობ მძიმე უნდა იყოს და ისიც შეუძლოთათვის, მაგრამ რაკი ჩვეულება ასეთი აქვსთ, ამიტომაც იგინი თავიანთ შვილებს დიდს შელავათობას აძლევენ. მოხუცი ერთ კაბას ათ წელს ატარებს, სულ მშრალა პურზედ მოკვდება, იმასაც თავის ოსტატობით იშოვნის

და შვილს კი არასგზით არ შეაწუხებს. იმასაც კი ვიტყვი, რომ მოხუცებულ მშობლებთან ასეთი მომჭირნეობა დიდათ მძაგს. მე მისი არაფერი მწამს. მოხუცებულ მშობლებთათვის საამქვეყნიეროთ სხვა რაღაცა უნდა იყოს დაშთენილი, რომ ორიოდ დღისთვისაც შვილების არ-შეწუხების გამო დიდი სიღატაკე და მწუხარება დაითმინონ. მე ეს არ მომწონს და ამის მხრით ურიათა საქციელს ვსთვლით უჯეროდ. უკანონოდ. იმასაც კი ვიტყვი, რომ მე მათი სულიერი მხარეების ბევრი არაფერი ვიცი და იქნება ეს გარემოება მათში ხელშემწყობ, უფნებელ ძალათაც ითვლება ურთიერთ შორის დაკავშირების საქმეში. ვინ იცის. ყველაფერი შეიძლება.

ქართველი ებრაელი ერთობ ცოტას ხარჯავს ფულს. მცირეს სჭამს და სვამს, არა იმიტომ, რომ იგი ძუნწია, არამედ მიტომ, რომ იგი შეუძლია. ღატაკი და არაფრისმქონე, მათი ცხოვრება, ერთის მხრით, არაფერს საწუხარს საქმეს წარმოადგენს. საზოგადოთ, იგინი შეუძლენი არიან და მის მეოხებით ცხოვრების გეგმასთანაც მოუწყობნი. იგინი ქრისტიანების ცხოვრებასთან ბევრათ დაბლა სდგანან, ბევრ საქმეში ჩათთან შეუდარებელნიც არიან, შეუდარებელნი არიან ბევრნაირის მხრით, მასთანვე დაჩაგრულნი და დამდაბლებულნიც, მათი სიღატაკე და მომჭირნეობა გამოწვეულ უნდა იყოს თვით მათისავე დევნისაგან. შეეიწროვებისა და დაჩაგვრისაგან. რასაც იგინი თითქმის ყოველდღე იტანენ. ამიტომ მათთვის საჭიროა განათლება, განვითარება, ევროპულ ცხოვრების ასპარეზზედ გამოსელა. მადლობა ღმერთს.. რომ ამ უკანასკნელ დროს, ამათშიც გაიღვიძა სწავლის სიყვარულმა, მათაც იწყეს დრტვინვა სწავლა-განათლების და ცხოვრების წინ წასაწევად.

საჭიროდ ვსედავთ აქ ვსთქვათ შემდეგი: ქართველთ ებრაელთათვის დიდს საჭიროებას შეადგენს, რომ ჰქონდეთ თავიანთ სჯულის ლოცვები ქართულს ენაზედ შედგენილი, რათა ძველ ურიულ ნაწერ წიგნების გარდა ქართული თარგმანი წაიკითხონ, რომ თავიანთ სჯულის წიგნების შინაარსის გაგება ნათლად შეეძლოთ. ეს მათთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს და უამისოდ იგინი ფეხს ვერსად წადგამენ, ყოველთვის უკან იქნებიან ჩამორჩენილნი. მათ ჰკითხოს კაცმა, იგინი ასე ამბობენ, რომ ჩვენისთანა ნამდვილი ებრაელნი სხვები არსად არიანო. ჩვენა ვართ, რაცა ვართ, ძველი ებრაელნიო. ქართველთ ებრაელნი თავიანთ თავებს მთელს ევროპის ებრაელებს ამჯობინებენ. ის კი არა და საცოდავები თავიანთ ცხოვრებას რომ დააკვირდნენ და იგი მერე ევროპის ცხოვრებას შეადარონ, მაშინ იგინი თავიანთ თავს მათზედ ათჯერ დაბლა მდგარათ დაინახავენ. ასეთს შე-

მცდარ გარემოებით ხელმძღვანელობს ქართველთ ებრაელი. სანატრელი კია, რომ ასეთ უკულმართობას რამე მალამო მოეკლინოს. ასეთ მალამოთ, ერთის მხრით, ჩვენ მიგვაჩნია ის გარემოებაც, რომ ქართველ ებრაელთათვის უნდა ითარგმნოს ქართულს ენაზედ მათი სკულის წიგნები. უამისოდ კი იგინი წინ ვერ წავლენ. რადგანაც მათ თავიანთ სკულის ლოცვების და საღმრთო წერილის სრულებით არაფერი გაეგებათ.

ურიათა ზოგნი მოხუცებულნი ამბობენ, რომ ძველად ქართველთ ებრაელთა ქართულს ენაზედ ლოცვის წიგნებიც აქვნდათ და იგინი ქართულათ კითხულობდნენო. ქართველთ ურიათა ზოგს დღესასწაულზედ 1877 წ. გაზეთ „დროებაში“ შემდეგი წერილი დავბეჭდეთ: „ურიების დაბადება და ამაღლება: სექტემბრის ცამეტს იწყება ურიების დაბადება და ამაღლება და თავდება ცხრამეტ სექტემბერს. ამ დღესასწაულისათვის ყოველი ურია თავის სასახლის ეზოში გაიკეთებს პატარა სალოცავსა, რომელსაც შემოსვენ ნაირ-ნაირ მწვანე ხეხილებით და ფოთლებით, მთელი კვირა სხედან და ლოცულობენ თავიანთ წესსა. ამაღლების უკანასკნელ დღეს მოდის მათი დაბადება, რომელსაც უფრო დიდის მომზადებით უნდა დასჯდნენ. დაბადებისათვის იგინი ემზადებიან სალოცავში წასასვლელათ დიდი თუ პატარა, თორას რთავენ ბალახ-ბულახებით და იქ ასრულებენ თავიანთ დაბადებას.

ურიების თორა ამჟამად იმ სახლში არის გამართული. სადაც წარსულს საუკუნეში ერთი ჩვენი ბატონიშვილი სცხოვრობდა და ამ უკანასკნელს დროს კი სხვების ხელში ვნახეთ. სახელათ ამ დარბაზს ადრე „მუნთუაანთ დარბაზი“ ერქვა. დარბაზი მშვენიერი რამ არის თავის შინაგან შენობებით და ხეივნებით. სასიამოვნო სანახავია ჩვენი წარსულის საუკუნის მოყვარეთათვის ეს დარბაზი.

დანიშნულ დროს მოვიდოდნენ ურიები, ურიების ხახამ-რაბინებმა გააღეს კიდობანი და გადმოიღეს ოთხი მშვენიერი კუბო. ხავერდით მორთული და მრავალი ყვავილებითა. თითო კუბოში თითო „დაბადება“ იდო.

გამოსვენების შემდეგ ხახმებმა და რაბინებმა თორაში შვიდჯერ შემოატარეს და მერე დაასვენეს და დაიწყეს ლოცვა და შემდეგ თამაში-ხტომა. ერთ ურიას ვკითხე, თუ რისთვის შემოატარეს ეს კუბო მეთქი, ან გესმისთ ეს ურიული, რომ კითხულობთ? მან შემოტარების კი არაფერი მითხრა და ურიულ წიგნზედ კი ბევრი რამ მიამბო!.. — ბარე არ გვესმის, მაგრამ რა ვქნათ?

რატომ ქართულათ არა სთარგმნით?

ქართულს ენაზედ თარგმნას ჩვენი რაბინი ნებას არ გვაძლევს,

რადგანაც ჩვენი დიდი რაბინი რუსის ურია არისო და გვეუბნებოდა, რომ ჩვენი სჯული ერთი არისო და ენაც ერთი უნდა იყოსო. მოშალეთ ქართულ ენაზედ ლოცვა და ერთმანეთში წიგნების მიწერ-მოწერაც. და აბა ხომ მოგეხსენებათ, ჩვენ არ შეგვიძლიან, თუმცა ჩვენ, ურიებს, ძველათ ნათარგმნი ლოცვის წიგნებიც გვაქვს, რომელიც ადრე ჩვენს მამა-პაპებს ქართულად უთარგმნიათ, მაგრამ სუყველა ისინი უქმად სძევს.

ამ დღეს, ადრე, ჩვენში ხალხი ყოველთვის ქართულათ ლხინობდა, განაგრძო ჩემმა ურიამ, როცა, „დაბადებას" გამოიტანდნენ, ქართულად დაიწყებდნენ ძახილს: „დაბადებას მოვესწარით, ნეტაი ჩვენს გახარებასა". მაგრამ ეხლა კი უყურეთ, ადრე, აქ თბილისში ქართულათ ქადაგებაც შეგვეძლო გვეთქვა, ეხლა კი ესეც აღგვიკრძალეს ხახამრაბინებმა.

სხვა ქვეყნებში ამ ენაზედ ლოცულობენ ურიებიო, მითხრა ბოლოს იმან, რადგანაც ესმითო. ფრანგის ურიები ფრანგულ ენაზედ, ნემენცის — ნემენცურზედ და სხვა. და ჩვენ კი ასე გამოსხლეტილები ვართ. ამგვარად ჩვენს ლაპარაკში გაათავეს კიდეც ლხინი.

შემდეგ „დაბადების" კოცნისა, ჩაწყვეს, დაკეტეს კუბოები და თვითონ თორიდამ გამოვიდნენ ლოცვით."

რადგანაც ამ წერილში სიტყვამ დღესასწაულის საუბარიც მოიტანა, ამიტომ აქ კერძოთ მის შესახებაც ვიტყვით რამეს. როგორც ძველად, ისევე დღეს, ქართველ ებრაელთა მიღებული აქვთ თავიანთ დღესასწაულ დღეებთა მტკიცედ და დაუყოვნებლივ შესრულება, დიდ დღესასწაულ დღეების გარდა, თვით შაფათსაც კი სუფთად და ძველ ჩვეულებისამებრ ასრულებენ. ესეც საკვირველია მათში.

ზემოთ ჩვენ გაკვრით ვახსენეთ ყველა ის საქართველოს ქართველთ სოფლები, სადაც კი კერძოთ და ან ქართველებთან ერთად ქართველი ურიები სცხოვრობდნენ. ეხლა აქეთგან სათითაოდ დავასახელებთ ამ სოფლებს და თან კიდევაც ავნუსხავთ.

თფილისი. ურიები ძველადგანვე აქ მრავლად სცხოვრობდნენ. XII საუკუნეში აქ მათი რიცხვი ერთობ დიდი იყო. თვით „ქართლის ცხოვრების" მოთხრობით შეძლებული ვაჭარი, თფილისელი, ცნობილი ზანქან ზორბაშელი, ჩვენ ქართველ ებრაელათ მიგვაჩნია. ამას თვით მისი სახელწოდებაც აჩენს. ძველად ებრაელნი თფილისში სცხოვრობდნენ ჭიონის ახლოს, ბეთხაინის შეღმართზედ. დღესაც მათი ძველი თორა ამ კუთხეში სძევს. ამბობენ, რომ ძველათ ბეთხაინი ამ კუთხეს ერქვაო, რადგანაც აქეთ ებრაელთა სასაფლაო იყო და ებრაელთა ბეთხაინიც ამას ნიშნავსო. დღეინდელის ქართველთა ძველი ტაძარიც დღეს ყარგა ხნის შემდეგიდამ ჰაოსიანებს უკავიათ. საშუალ საუკუნეების

შემდეგ თფილისში ქართველთ ებრაელთა რიცხვი ერთობ შემცირდა. მუდმივ ომებმა მათზედ ძრიელად იმოქმედა. XIX საუკუნის დამდეგს. როცა საქართველო რუსეთს ჩაბარდა, მაშინ აქ მათი რიცხვი ერთობ მცირე იყო. შემდეგ დროებაში აქ ქართველთ ებრაელთა თავი მოიკრიბეს, უმეტეს ახალციხიდამ გადმოვიდნენ. დღეს თფილისში მათი რიცხვი საკმარისია. აქვთ ძველი თორა, ახალის ასაშენებლად ფულს აგროვებენ. შვილებს ატარებენ რუსის ებრაელთა სკოლაში, სადაც მათ ქართულ ენასაც ასწავლიან. სკოლას მცირედ ქალაქის გამგეობაც ეხმარება. ქართველი ებრაელნი თფილისში ღატაკად სცხოვრობენ, უმეტესათ მისდევენ საწერილმანოს ტარებას ანუ წვრილმან აღებ-მიცემას. ცოტა მათში მედუქნე-მოვაჭრეენიც არიან.

ძეგამს მოხსენებულ არიან მცხოვრები ურიანი კავკასიის აქტების I ტომში, საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს. შემდეგ დროის მათის ცხოვრების ჩვენ ბევრი არა ვიცით რა. ის კი უნდა ითქვას, რომ ძველად ძეგამას ქართველ ებრაელთა რიცხვი დიდი არ უნდა ეფილიყოს. მათი ცხოვრება წვრილმან ვაჭრობისაგან შესდეგებოდა. ძველადვე აქვნდათ თორა.

ბრეთი. ებრაელნი აქ ძველადგანვე სცხოვრობდნენ, იგინიც ჩვეულებრივ მეურნეობასა და აღებ-მიცემას მისდევდნენ. ბრეთის ქართველთ ებრაელნი მოხსენებულ არიან საქართველოს რუსთან შეერთების დროს „კავკასიის აქტების" პირველ ტომში. ბრეთში დღესაც ცხოვრებენ ებრაელნი, მათი რიცხვი ძრიელ მცირეა. ცხოვრება და აღებ-მიცემაც იგივეა, რაც ცხინვალს, სურამს და სხვაგან. აქაც სრულიად ისპობა ამათი რიცხვი.

ცხინვალი. ცხინვალი ქართლში ცნობილ სავაჭროდ ითვლება, ქართველთ ებრაელნი აქ უხსოვარის დროდგან სცხოვრობენ, ე. ი. ძველის ძველადგანვე. თითქმის იმ დროდგან, როცა ქართლში ურიები მოვიდნენ და დასახლდნენ. კარგად სჩანს, რომ ებრაელნი ძველადგან ცხინვალს უფრო ვაჭრობის მხრით მიჰკედლებიან. მართალია, სხვა კუთხეებსაც ვაჭრობის მხრით ეტანებოდნენ, მაგრამ უმეტესად ცხინვალს. როგორც ძველადგანვე, ისევე შემდეგაც, ცხინვალში ქართველ ებრაელთა რიცხვი დიდი იყო, აქვსთ საკუთარი თორა. ძველადგანვე მათ შვილებს მხოლოდ ხახმები ასწავლიდნენ. ებრაულს სწავლობდენ ჩვეულებრივ ლოცვების გამო და მასთან ქართულსაც.

ცხინვალური ებრაელნი ძველადგანვე როგორც ვაჭრობას მისდევდნენ, ისევე მეურნეობას. მათი აღებ-მიცემა ძველადგანვე შესდგებოდა წვრილმანის ვაჭრობით. ცხინვალური ებრაელი ვაჭრები ქართლიდგან ხშირად ოსმალეთშიაც მგზავრობდნენ, სპარსეთში და სხვანაც. იქ მათ საქართველოდამ საქონელიც გაქონდათ და იქიდგანაც

შემოჰქონდათ. ახალციხის საქონლის ვაჭრობაში ცხინვალურ ებრაელთ. კარგად ეხმარებოდნენ ახალციხელი ებრაელნიც. ცხინვალის ქართველი ებრაელნიც ისევე სცხოვრობენ, როგორც ქართველი ებრაელნი, ენა ამათი ქართულია, ხასიათები ჩვეულებრივი, ტანთსაცმელი ქართული, მევახშეობა მათში ისე არ არის გავრცელებული, ეს როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. ამ უკანასკნელ დროს მათ დიდი უბედურება ეწვიათ — ცეცხლისაგან გადიწვა 300 მოსახლე. მათთვის შეწირულებაც იწყეს, მაგრამ ბევრი არა შეეკრიბათ რა. ბევრნი აქეთ-იქით გადასახლდნენ. ცხინვალის ვაჭარ ისრაელებთან დიდი მტრობა აქვთ გრიგორიანთ ვაჭრებს, რადგანაც ურიები ყოველთვის საქონელს მათზე უფრო იაფად ჰყიდიან. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ცხინვალის ქართველი ებრაელნიც ღატაკათ სცხოვრობენ. ცხინვალის ებრაელნი საბატონო ყმებთ გარეშე მცხეთის ტაძარსაც ეკუთვნოდნენ ყმებათ. (გუჯ. 11 წ. გვ. 197). ყმათა რიცხვი 80 კომლამდე ყოფილა.

მუხრანი. სცხოვრობდნენ ქართველი ებრაელნი, სულ რამდენიმე მოსახლენი. ზოგნი მათში ეხლა მივიდნენ, უბედურობის გამო ცხინვალიდგან გადავიდნენ და დასახლდნენ.

ქარელი. ქარელში მცხოვრებ ებრაელთა რიცხვი ძველად დიდი იყო. დღეს კი ერთობ მცირეა. ამბობენ, რომ სიტყვა ქარელი ქარიანს ადგილს კი არ ნიშნავს, ეს როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, არამედ ვითომც ქარელი ძველი ებრაული სიტყვა არისო. ზოგნი ამას მამაკაცის სიტყვით აღიარებენ. დღეს ქარელში ქართველთ ებრაელთა რიცხვი ერთობ მცირეა. სულ 400 სულისაგანღა შესდგება. აქვსთ თორა და ჰყავსთ ხახამი. ძველად ირიცხებოდნენ ციციშვილის ყმებათ, დღეს, როგორც სხვა ქართველთ ებრაელნი, ირიცხებიან სახელმწიფო გლეხებათ.

ქარელის ებრაელი ღატაკია. იგი როგორც წვრილმან ვაჭრობას მისდევს, ისევე მეურნეობასა. სახლში მეტად მდაბიოთ სცხოვრობენ, ცხოვრების წესები და ტანთსაცმელი ჩვეულებრივია. სწავლის მხრით დაცემულნი არიან ისევე, როგორც ქართლის სხვა ებრაელთა შორის სუფევს დღეს. რადგანაც ქარელის ქართველთ ებრაელთა შესახებ ჩვენ ზემოთ გაკვრით ვისაუბრეთ, ამიტომ ამათ შესახებ საზოგადოთ არას ვიტყვით. ცხინვალური ებრაელთა ცხოვრება ამათ ცხოვრებაზე ბევრად მაღლა სდგას. რაც ხანი გადის, მით ქარელის ქართველთ ებრაელთა რიცხვიც მცირდება.

სურამი. სურამის ქართველთ ებრაელთა მოსვლაც იმავ დროს ეკუთვნის, როგორც ქარელს, ბრეთს და სხვა კუთხეებში. როგორც სხვაგან, აქაც ებრაელნი ერთ კუთხეს სცხოვრობენ. ამათ ჩვეულება აქვსთ

ამისი და, ვგონებთ, ამის მიზეზი უნდა იყოს, რომ იგინი თავიანთის ძველის ცხოვრების წესებით დღემდე ასე მაგრა დაშთნენ და არსაე ბევრი არაფერი დაკარგეს. ეს მეტად საოცარია. 2200 წლის განმავლობაში მათ თვინიერ ებრაულის ენის გარდა სხვა არაფერი დაკარგეს. ამათ ასე დარჩენა და ძველის წესების არ დაკარგვის უმთავრეს მიზეზათ ქართველ სამეფოს ჰუმანური მხარეც უნდა მივიღოთ ანუ ინდიფერენტიზმი. ეს კითხვა ერთ დროს, ბ. ანტონ ფურცელაძემაც განმარტა მშვენიერად. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ საქართველოში ერთი ებრაელიც ვერ შეინახავდა თავს.

სურამის ებრაელნი საკმარის რიცხვს შეადგენს. იგინი მისდევენ აღებ-მიცემას და მეურნეობას, ფულის გასესხებაც იციან, მაგრამ არა ძვირად, არამედ მცირე სარგებლით. ცხოვრება მათი კარჩაკეტილია ისევე, როგორც სხვა ებრაელთა. აქვსთ თორა, ჰყავსთ ხახმები და რაბინიც. მათი ბავშვების უმეტესი ნაწილიც ჩვეულებრივის სწავლით შთება, ე. ი.. უსწავლელად. მათ მასწავლებლად ხახამსა და რაბინს მეტი არავინ არს. ცხოვრება და მისი წესები ისეთი აქვსთ, როგორც ქართლის შორის სხვა ებრაელთა. ვიდრე ბათუმის რკინისგზა სურამზედ დადიოდა, მინამ ებრაელთა აღებ-მიცემაც წინ მიდიოდა. რაც გზის მიმოსვლა მოისპო, მას შემდეგ იქაურ ებრაელთაც შეფერხება იწყეს, ამიტომ მათ ისევ სოფლის საქმეს მიჰყვეს ხელი.

აწყვერი. აწყვერს დღეს ურიათა რიცხვი ერთობ მცირეა. აქ თუმცა ძველათაც სახლობდნენ, მაგრამ დღეს იმ ძველების აღარავინ არს დაშთენილი. ოსმალოს მფლობელობის დროს მათი რიცხვი იქიდგან ახალციხეს, იმერეთისკენ გადადიოდა. მხოლოდ 1827 წ. შემდეგ, რაც რუსეთმა ახალციხე აიღო, მას შემდეგ ქართველთ ებრაელთა აქაც იჩინეს თავი და სადღეისოთ მცირედ მოშენდნენ. ცხოვრება, ენა და ტანთსაცმელიც საზოგადოდ ქართლის ურიათაგან არააფრათ განირჩევა. სცხოვრობენ უფრო წვრილმანის ვაჭრობით.

ახალციხე. ახალციხის ქართველ ებრაელთ ვახუშტიც მოიხსენებს თავის გეოგრაფიაში და სხვა ძველს წიგნებშიაც მოიპოვება მათ შეხახებ ცნობები, რომ ახალციხეს ქართველ ებრაელნი ძველადგანვე სცხოვრობდნენო. ახალციხე ათაბაგების დროს ცნობილ სავაჭრო, შუაგულ მდებარ ქალაქათ ითვლებოდა არა მარტო საქართველოს კუთხეებში, არამედ ტრაპიზონამდეც. ამას გარდა, ახალციხე ათაბაგებზედ ბევრად უწინარესად სავაჭრო დაბათ ითვლებოდა. ამიტომ ქართველთ ებრაელთაც აქ მკვიდრათ გაიმტკიცეს ფეხი და ძველადგან მოყოლებული ვიდრე ოსმალეთი დაიკავებდა მას, ე. ი. 1630 წლამდე, მინამ ქართველთ ებრაელნიც დიდს აღებ-მიცემას გზას ეთვისებოდნენ. ოსმალეთის დამორჩილებამ იგინი შეაფერხა, ვაჭრობის დიდს გზას ააცდ-

დინა და უბრალო აღებ-მიცემა მისთვისა. მას დროს შემდეგ მათი ცხოვრების საქმეებიც ღოღიალს მიეცა. მაინც მათ მამა-პაპის ქოხ-მახებიდან ფეხი არ მოიცვალეს, მათი სამარენი უპატრონოთ არ დააგდეს ისე, როგორც ეს ქართველთა ქმნეს, რომ ოსმალთა დევნის მეოხებით სამცხეს მთლათ გამოეთხოვნენ და ვინც დაშთნენ, ისინიც გამუსულმანდნენ და ქართული ენაც დაკარგეს.

თუმცა დიდის წვალებით და ძრწოლვით, მაგრამ მაინც ებრაელთა ახალციხეში გაიმაგრეს ფეხი, თავიანთი ცხოვრება არ მოშალეს იქ და მის საშუალებით არც ქართული ენა მოისპო. ახალციხეს მ.ნ თავისუფლად მოაღწია 1829 წლამდე და მის შემდეგ ქართველთ ებრაელთა მეოხებით ამ ენამ ახალციხეს გარდა თვით ქვაბლიანსა და ფოცხოვის მცხოვრებთ შორისაც კი იწყო აღორძინება, სადაც ქართველ მაჰმადიანთ შორის ქართული ენა ადრიდგანვე მოისპო. დღეინდელი ცხოვრება ქართველთ ებრაელთა ახალციხეში არ არის სანუკვარი. იგინი ქათა ვითარების მეოხებით ძრიელ დაქვეითებულნი არიან ცხოვრების მხრით. ახალციხეში მათს აღებ-მიცემას სომეხთა ეაკრობა გადაეღობა წინ. რაც ხანი გადის, მით მათი წვრილი აღებ-მიცემა აქა-იქ სოფლებშიაც ისპობა და ეცემა. რასაც კი ესენი სოფლად ყიდულობენ, ან სხვადასხვა საქონელს კვერცხსა და ქათამზედ სცვლიან მერე ყველა მათ ერთობ იაფათ ყიდიან, ისე რომ მათი ფასის ანუსხვა ქრისტიანებთაგან დანაყიდის არც კი შეიძლება რომ შევადაროთ. თუმცა ზოგთაგან კი ამ ებრაელთ სახელი გატეხილი აქვსთ და ყველა ცუდის თვალით უმზერის.

ახალციხეს როცა კი მოსულან ურიები და დასახლებულან, იგინი დღესაც იმ ალაგას სცხოვრობენ, ფოცხოვის ნაპირს, სადაც პირველად უცხოვრიათ. ისე რომ დღეინდელ ებრაელთა ბინათ-სადგურნი არის რამდენიმე ასი წლის და თითქმის ათასის წლის განმავლობაში ყოფილი და არსებული. ახალციხელ ურიებსაც ისეთივე ღარიბი ქოხმახები აქვსთ, როგორც სხვა ებრაელთა, მაგალითებრ, ქარელს. სხვა ადგილის მცხოვრები ებრაელნი კი ამათ სჯობიან შეძლებით, ახალციხურ ურიებში სილატაკე ისეა წინ წასული, რომ მათში მათხოვრებიც სჩანან, თუმცა დიდის კრძალვით, დიდის მორიდებით, მაგრამ მათშიაც ენახე მეტად ხელმოკლე ოჯახები. ასეთ უბედურებაშიაც კი, თუ ხშირად რა უღმერთოდ ექცევიან ქრისტიანები და რა უსამართლოდ არბევენ, ესა სჩანს შემდეგის მაგალითებიდამ: სურამს ერთი ქრისტიანი, რასაკვირველია, დაეცა ერთ მოხუც ურიას და უწყალოდ ცემა დაუწყო. ცემით დატანჯა ურია. როცა ჰკითხეს ქრისტიანს, თუ რათა სცემო, მან მტრობით სთქვა, რომ მე მითხრა, თქვენი ნიშის ხატი მოიპარე და სამ შაურს მოგცემო. ისევე ეპყრობიან სხვა ურიათაც და ხშირად

ხაბრალო მოხუცთ და სნეულთ აწვალებენ, სჯიან ულმერთოდ, შეეცბრა-ლებლად. ახალციხეში ხომ ამათი ტანჯვა ქრისტიანთა და თათართაგან უფრო მრავალფეროვანია და მრავალნაირი, გულის და სულის სასტიკად ასამღვრევი. ურიათა სიბრალულში და შეწყნარებაში ქრისტიანები ვერ იქცევიან კარგად, ნაცვლად დახმარების, მტრობასაც უწევენ და უყვირიან — თქვენ ჩვენი ქრისტე აწვალეთ და მიტომ არაფერს მოგცემთო.

ახალციხელ ურიებს აქვსთ ორი თორა, ჰყავსთ ხახამი და რაბინი, მასთან აქვსთ პატარა სასწავლებელი, სადაც ებრაელთა ბავშვებს ძველ ებრაულს ასწავლიან. ქართულ ანბანს კი შინ სწავლობენ თავისით. ნასწავლთ კაცთა რიცხვი მათში სულ არ არის. საზოგადოთ მათში კაცი სანუკვარს ვერას ნახავს. ძველად ამ ურიების ზოგნი ზარზმის ყმანი იყვნენ, საფარის, ზოგნი ათაბაგების ოჯახის, შემდეგ ოსმალთაგან დასავლეთ საქართველოს დაპერის შემდეგ იგინი გათავისუფლებული იყვნენ ყოველნაირ ყმობისაგან და დამორჩილებულ ოსმალოს მთავრობასთან. დღეს ახალციხის ურიები, ძრიელ ხშირად მიდიან აქა-იქ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში დასასახლებლად. ნამეტური თფილისში გადმოდიან. ჭამა-სმა ღატაკური აქვსთ, ჩაცმა-დახურვაც ასეთივე, ძრიელ საცოდავათ სცხოვრობენ, მათი სახლები საქათმეებს და თაგვის სოროებსა ჰგავს.

ვახუშტის თქმით, სამცხე-საათაბაგოს ქართველი ებრაელნი ძველად ბევრს სოფელში სცხოვრობდნენ, დღეს კი მათი რიცხვი მოსპობილია ყველგან გარდა ახალციხის, ახალქალაქის, აწყვერს და სოფ. ბარალეთსაც სცხოვრობენ.

ბარალეთი. ბარალეთი ურიული სიტყვა არის, ძველათ ბარალეთში ქართველთ ებრაელთა რიცხვი მეტად დიდი იყო, მაგრამ დღეს კი აქ ეს ერთობ შემცირებულია. სულ რამდენიმე ებრაელიღა უნდა სცხოვრობდეს მთელს ბარალეთში. ძველათ აქ მათ თავიანთი საკუთარი თორაც ჰქონდათ და ცხოვრების სახეც უჩანდათ.

ახალქალაქს (ჯავახეთს). აქ ქართველთ ებრაელნი ძველადგანვე სცხოვრობდნენ. შემდეგ შემცირდნენ. XVIII საუკ. აქ ამათის აღარავინ სცხოვრობდა. რუსთაგან ახალციხის დაპერის შემდეგ, რადგანაც მესხეთსა და ჯავახეთში აღებ-მიცემა და ვაჭრობა გავრცელდა, ამიტომ ქართველთ ებრაელთ კვალად იწყეს ახალქალაქში გარდასახლება და დასახლება. დღეს ახალქალაქს ქართველთ ებრაელთა რიცხვი 10 კომლი იქმნება, ყველა ესენი აღებ-მიცემას მისდევენ. ნათესავობა აქვსთ ახალციხის ქართველ ებრაელებთან.

ქუთაისის ებრაელთა თავი მოიკრიბეს მესხეთიდან და ქართლიდგან. ეს რომ ასეა, ამას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ ქუთაისის ებ-

ებრაელნი 1850 წლებამდე. როგორც კაცნი. ისე ქალნი ქართულ ტანსაცმლის ტარებას მისდევდნენ. ქალები იხურავდნენ თავსაკრავს. ლეჩაქს და სხვ., კაცები ატარებდნენ ქართულ კაბას. ქოშებს და სხვანი. ქუთაისის ებრაელთა დედა ენა ქართულია. ყოველის მხრით ქართველობის ნაწილს წარმოადგენენ. ცხოვრება მათი ვაჭრულია. ე. ი. აღებ-მიცემას მისდევენ. მეურნეობასაც. განათლებულ კაცთა რიცხვი მათში ერთობ მცირეა. იმედი კი უნდა ვიქონიოთ, რომ იგინი მალე შესდგამენ ფეხს განათლების ასპარეზზე. ებრაელნი მოსახლეებენ რიონის ახლოს. როგორც ძველად დასახლებულან ერთ ალაგას. ისევე ღღესაც ერთ ალაგას სცხოვრობენ. როგორც შეძლებულთა. ისევე ღარიბთა რიცხვი მათში საშუალოა. აქვსთ ორი თორა. კარგი თლილის ქვის. აღშენებული XIX საუკუნის ნახევრამდე. ლოცვა ებრაულს ენაზეა. აქვსთ და ქადაგება კი საყოველთაოდ ქართულად. თორასა, ოჯახში და კარში სახმარებელ დედა ენას ქართული ენა შეადგენს. ქუთაისის ებრაელთ ბევრჯელ დასწამეს ცილი სისხლის ხმარებაზე, რასაკვირველია, ჭორებით და მტრობით. ამისთვის მათ ბევრჯერ დიდი ტანჯვა და ღევნაც გამოიარეს უმეცართაგან, მაგრამ რა გაეწყობა, უკანასკნელ სიმართლე მაინც აღდგენილ იქმნა და ცნობილი კანონისაგანა. დიდი საგრძნობი უბედურება მიაყენა კიდევ ამ დაჩაგრულ ხალხს ქართველობამ. ნეტავ რა უნდა ეთქვას იმ ხალხს, როცა ისეც დაჩაგრულ ერს სჩაგრავს ცოტათ მძლავრი ერი. ნეტა რას იტყვიან ის ქართველთ ბრძენნი, რომელნიც ქართველთ ებრაელთ სრულს დახმარებას უწევდნენ.

ქუთაისის ებრაელნი შენობითა და შინაგან მოწყობილობით გვარიანათ არიან, უმეტეს ხის სახლები აქვსთ. საზოგადოთ, იმერეთის ურიების ცხოვრება ერთნაირს სურათს წარმოადგენს, ერთ გეგმას. ძველად ზოგნი იმერეთის მეფის ყმანი იყვნენ, ზოგიც თავადისშვილების. ქუთაისის ებრაელთა სასულიერო გამგეობის უფროსი რაბინი ითვლება მთელის ქუთაისის გუბერნიის ებრაელთა რაბინათ. რაბინებს, შორის, მათში ცნობილი იყო რაბინი არონ რიჟანიშვილი, დიდი ხანი არ არის, რაც ეს რაბინი გარდაიცვალა. ამ ცნობილმა რაბინმა ებრაელთა ბავშვთათვის ურიულის ასოებით ქართულ-ებრაული სახელმძღვანელო შეადგინა და იერუსალიმს დაბეჭდა 1898 წ. საზოგადოთ, ეს რაბინი სწავლა-განვითარების პატივისმცემელი იყო და დიდი მორჩილი მათის მერჯულეთა წარმატებისა. ამ წარმატების ნატვრას იგი წერილებით მწერდა მე, როცა პროფესორის ხვოლსონის წიგნი ქართველად დავბეჭდე — „ხმარობენ ურიები თუ არა ქრისტიანის სისხლს". მისგან ამაზედაც მადლობის წერილი მივიღე. სხვაფრივაც შესანიშნავი იყო ეს ხსენებული რაბინი; ღღეს მათში თითო-ოროლა ჭკვიანი

რაბინები აქა-იქაც მოიპოვებიან. ამას ჩვენ მარტოდ ქართველთ ურიებთაგან ვასახელებთ, თორემ ევროპის ურიებთაგან მათი რიცხვი დიდია. საზოგადოთ, რადგანაც ქუთაისის ებრაელთა ცხოვრება დანარჩენ იმერეთის ებრაელთა ცხოვრებისაგან დიდის არაფრით გაირჩევა, ამიტომ აქ ამათ ჩვენ მხოლოდ მოკლედ მოვიხსენიებთ.

საჩხერე. საჩხერეში ურიები ძველად ქართლიდამ არიან გადასულნი, წერეთელს ეყმნენ იქ, ზოგნი სხვა მებატონეთ. საჩხერის ებრაელნიც, ჩვეულებისამებრ მათის მერჯულეებისა, მისდევენ აღებ-მიცემასა და მეურნეობას. აქვსთ საკუთარი თორა, ჰყავსთ ხახამი, მათი რიცხვი შესდგება კარგა დიდი რიცხვისაგან. მცოდნე პირნი მათში იშვიათია, ქართული წერა-კითხვა იციან. ქვემო იმერეთის ურიებზედ ესენი უფრო დაბლა სდგანან ცხოვრების სახსრით და შნოთი. ვაჭრობითაც არ არიან ისე წინ წასულნი, როგორც ზემო იმერეთის ებრაელნი. როგორც სხვა კუთხის ებრაელნი, ესენიც ისევე არიან გარემოებისაგან დაჩაგრულნი. უმეტეს წოწიალში სცხოვრობენ.

კულაში. კულაშში ებრაელნი მრავლად სცხოვრობენ. მათი რიცხვი დიდია, ხელობათ ვაჭრობა და მეურნეობა აქვსთ გამხდარი, ანუ ფეხზედ ვაჭრობა. ამ უკანასკნელ დროს მათში გაჩნდნენ ისეთი ებრაელნი, რომელთაც სწავლა-განათლების მნიშვნელობა შეიტყვეს და ამიტომ პირველდაწყებითი სკოლის გასახსნელად ფულების კრებაც დაიწყეს. ეს ამბები ადგილობრივ გაზეთებშიც იყო გამოცხადებული. ყველა სიამოვნებით მიეგება. ამას გარდა, კულაშელთ ებრაელთა ბავშვები წინეთაც სწავლობდნენ კულაშელ ქრისტიანთ სასოფლო სასწავლებელში. ამათ რომ გზა მიეცეს სწავლისათვის, მათგან ბევრი შესანიშნავი პირი გამოვა. კულაშელ ურიებს აქვსთ ორი თორა, ერთი ძველი და მეორე ახალი, ორივე ხისა არს, ენა ქართული აქვსთ და ქართული წერა-კითხვაც იციან. კულაშელმა ურიებმა სთქვეს, რომ ვითომც თვით სიტყვა კულაშიც ურიული სიტყვა არის. ამის შესახებ ვერას ვიტყვით. აქაც ებრაელნი ერთ კუთხეს სცხოვრობენ და მათ ბევრი სავაჭრო დუქნებიც აქვსთ. ყოველ დღესასწაულ დღეებს მტკიცეთ ასრულებენ. მათ შორის შეძლებულნი ებრაელნიც ურევიან. უმეტესად კი ხელმოკლენი არიან, ცხოვრება მათი ერთად არს შეზღუდული. წარმოება ამათ ძველადგანვე დიდი აქვნდათ. ხოლო მას არ აქვნდა ადგილი გარეგანაც. ვაჭრობა მათ გარშემო ტრიალებდა წვრილმანად.

ზეკარს სცხოვრობდნენ ქართველი ებრაელნი XIX საუკუნის 30 წლებამდე, მერე კი მოისპნენ იქ და ახალციხეს გადასახლდნენ. დღეს იქ მათი ხსენებაც აღარ არის. ამგვარად, საქართველოში ბევრი სოფლებია, რომელშიაც ძველად სახლობდნენ ქართველი ებრაელნი და დღეს კი იქ მათი ხსენებაც აღარ არის.

ონი. ონის ურიებთა რიცხვი 100 კომლზე მეტია. ონში ებრაელნი იმერეთიდგან არიან გადასულნი, რასაკვირველია, ვაჭრობის მხრით ონის ურიები ძველადანვე საბატონო და საეკლესიო ყმებათ ირიცხებიან. ამათი ცხოვრებაც ისეთივეა, როგორც იმერეთის სხვა დაბათა და სოფლის მცხოვრებ ებრაელთა. აქ ვახუშტის დროსაც სახლებულან ქართველ ებრაელთა ვაჭარნი.

ბანძა. ბანძაში ებრაელნი არიან ნიჭით ისეთნივე, როგორც თვით ბანძელი ქრისტიანები. როცა ბანძას რკინისგზა ასცდა, მას შემდეგ ბანძის საქმეც ცუდათ წავიდა, იგი დავარდა თითქმის და დაკლება იწყო. აქ არის ორი სკოლა. ერთ სკოლას ებრაელნი ინახავენ. ებრაელთა უმეტესი ნაწილი აღებ-მიცემას მისდევს, მეწვრილმანეობას. აქ ვახუშტი ებრაელთ არ ახსენებს, სჩანს ამის დროს იქ ებრაელნი არ ცხოვრებულან.

სუჯუნა. სუჯუნის ებრაელნიც სცხოვრობენ ზემოხსენებულისავე, ხსენებულ ებრაელთა ცხოვრების წესებით.

ლაილაში. ლაილაშში ებრაელნიც სცხოვრობენ, ანუ იმ სახით, როგორც ეს სხვა სოფლებში არს.

სენაკი. სენაკში სცხოვრობენ ქართველ ებრაელთა მცირე რიცხვი ვაჭრობით.

ფოთი. ფოთშიაც კვალადვე სცხოვრობს მცირე რიცხვი ქართველთ ებრაელთა.

ზემო ხოდაშენი. კახეთში (კახეთი) ებრაელნი ძველად მრავლად სცხოვრობდნენ, იგინი უფრო ქიზიყში იყვნენ ძველადგანვე. ხოდაშენში ახლად გაჩნდნენ.

შაშიანი. სცხოვრობენ მისული ებრაელნი, მცირედ ვაჭრობენ.

ქისისხევს. სცხოვრობენ მცირედ და მისდევენ ვაჭრობას.

ველისციხეს სცხოვრობენ ქართველი ებრაელნი ვაჭრობის მხრით, მეურნეობასაც მისდევენ, აქვე ჰყავთ ხახამი. მათში ქალდეურ ებრაელნიც ურევიან.

ურიათუბანს სცხოვრობენ ქართველ ებრაელნი მცირედ. ვაჭრობას მისდევენ.

ბათუმს სცხოვრობენ ქართველი ებრაელნი, უმეტეს ვაჭრობისთვის მისულნი სამცხიდამ. საკმარისი რიცხვია იქ ამათი.

ბაქოს. უკანასკნელ დროს, ბაქოშიც იჩინეს თავი ქართველ ებრაელთა. მათი რიცხვი ჯერჯერობით მცირეა, ვინც არიან, ყველა ვაჭრობას მისდევენ.

მანგლისი. აქ ებრაელნი დასახლდნენ საქართველოში პირველ გადმოსახლების დროს. აქ ესენი კარგა ხანს ცხოვრობდნენ. XVIII საუკ. მოაღწიეს. შემდეგ კი აქ მთლად მოისპნენ. ზოგი იმერეთს გადასახლ-

და, ზოგი ახალციხეს. 1820 წელს აქ კვალად იწყეს გამრავლება. ზოვნი ჯავახეთიდამ გადმოდიოდნენ და სახლდებოდნენ ვაჭრობის მხრით. ძველად მანგლისს ებრაელთა რიცხვი დიდი ყოფილა. დღეს აქ ორისამი კომლიღა სცხოვრობს.

საგარეჯო. მოსახლეობს რამდენიმე ებრაელთა ოჯახი ახლად მოსულნი არიან, ვაჭრობას მისდევენ.

ატენში მცხოვრებ ებრაელთ მოიხსენებს ვახუშტი (გეოგრაფიული აღწერა საქართველოსი). ძველათ იქ ქართველ ებრაელთა რიცხვი დიდი ყოფილა და მათ თავიანთი სალოცავიც ჰქონიათ. აქედან ებრაელნი საით წავიდნენ, ამისი ჩვენ არაფერი ვიცით.

გოკია. სოფ. სძევს ჯავახეთს. ვახუშტი სწერს, რომ გოკიაში სახლობენ ურიანიცო. დღეს გოკიაში ებრაელთა აღარაფერია დაშთენილი. ძველად კი იქ იმდენი ყოფილან, რომ თავიანთი სალოცავიც ჰქონიათ. ქართველი კათოლიკე გოკიელოვებიც, უეჭველია, აქაურები იქმნებიან (ვახ. გეოგ. გვ. 96).

ჩიხორი. მოსახლეობენ ურიანი ვაჭრები. ჩიხორი იმერეთს არს. ყვირილისკენ (ვახ. გვ. 362).

ოზურგეთს. ვახუშტის თქმით, უცხოვრიათ სომეხთა და ურია ვაჭრებს. (ვახ. გეოგრ.)

ჭალა-ტყე, სოფ. XVIII საუკუნეში, ვახუშტის სიტყვით, მცხოვრებელნი ყოფილან ვაჭარ სომეხნი და ებრაელნი. (ვახ. გვ. 362).

ხოტევი. სოფ. რაჭას, XVIII საუკ. სახლობდნენ ქართველთ ებრაელნი ვაჭარნი (ვახუშ. გეოგრ. გვ. 374).

თამარაშენი. სოფ. სცხოვრობდნენ ქართველთ ებრაელნი ვაჭარნი (ვახ. გვ. 225).

სოფ. ალი. XVIII საუკ. სახლობდნენ ქართველთ ებრაელნი ვაჭარნი (იქვე გვ. 266).

ახალდაბა. სოფ. XVIII საუკ. სახლობდნენ ქართველთ ებრაელნი ვაჭარნი (იქვე გვ. 272).

მუხრანი. ებრაელნი სცხოვრობენ აქ მცირედ ვაჭრობის მხრით. ცხინვალში ებრაელთა გადაწვის შემდეგ ზოგნი აქ მოვიდნენ და დასახლდნენ.

ამ დაბათა და სოფლებთ გარდა ქართველთ ებრაელნი აქა-იქ თითოოროლა კომლიც სცხოვრობენ და მათი ცხოვრებაც აღებ-მიცემისაკენ შესდგება. წესები ჩვეულებრივია და ამიტომ ამათ აქ ცალკე არ ავნუსხავთ.

ამ ბოლოს დროს საქართველოში მრავლად გაჩნდნენ ქალდეველთა ებრაელნი. როგორც თვით ქალდეველნი უახლოვდებიან ქართველებს ადვილად და ქართულ ენას სწავლობენ, ისევე ქალდეველ ებრა-

ელნი უახლოვდებიან როგორც ქართველებს, ისევე თავიანთ თანამერჯულე ქართველთ ებრაელთაც.

ქალდეველთა ებრაელნი. ამათი გამრავლება საქართველოში XIX საუკუნის დამდეგიდამ იწყება, ანუ საქართველოს რუსეთთან დაკავშირების 20 წლის შემდეგიდამ. როგორც ურუმიის და ნინევიის ქალდეველთა იწყეს საქართველოში გადმოსახლება, ისევე მათ ებრაელთაც დაიწყეს. დღეს, საქართველოში და ნამეტურ თფილისში ქალდეველ ებრაელთა რიცხვი საკმარისია. იგინი აქ მისდევენ აღებ-მიცემას, უფრო ძაფეულობას ჰყიდიან, ლეჩაქებს, ჩითეულობას და ამით ირჩენენ თავს. ნათესავობა გამართეს ქართველთ ებრაელებთან, სალოცავადაც ქართველ ებრაელთა სალოცავში დადიან და არა ევროპის ანუ რუსეთის ებრაელთა სალოცავებში. რაც ხანი გადის, მით ურუმიის ებრაელთა რიცხვი საქართველოში ერთობ მრავლდება, შესაძლებელია, რომ ურუმიიდან მთლად საქართველოში გადმოსახლდნენ, რადგანაც, როგორც თვით გადმომცეს, იქ ამათ სპარსთაგან ვაჭრობა შეზღუდული აქვსთ. ქალდეველთ ებრაელთა კარგა ემარჯვებათ ქართული ენის შესწავლა და ხმარება, ძნელად რომ კაცმა მათ უცხოობა შეამჩნიოს. როგორც ქართველთ ებრაელნი, ესენიც უვნებელი ხალხია. მათში ძველადგანვე გავრცელებულია ქალდეეური ენა და წერა-კითხვა. საქართველოში მყოფთ ქალდეველთ ებრაელთა ზოგი ქალდეურათ სწერს და ზოგი ურიულად. ტანთსაცმელს ესენი საქართველოში ქართულად მისდევენ.

ფარსისტანის ებრაელნი. სცხოვრობენ მთლად სპარსეთს და ფარსისტანს. ლაპარაკობენ ფარსულად, იცმენ მათებურად, საქართველოშიაც არიან მცირედ, იციან ქართული ენა და თავს ირჩენენ იარების მკურნალობით. ქართველთ ებრაელთ უადვილესად უახლოვდებიან და ენათესავებიან, ამათ სალოცავშიაც დადიან. მაინც აღსანიშნავია, რომ ქართველთ ებრაელნი კავკასიის სხვადასხვა ებრაელთ უფრო ადვილად უახლოვდებიან, ვიდრე ევროპის და რუსის ებრაელთ. იშვიათად მოხდება, რომ ქართველ ებრაელმა თავისი ქალი ევროპის, ან რუსის ებრაელს მისცეს. ეს მათში დღემდეც-კი არ არის, ძრიელ იშვიათად ხდება. ეს გარემოება აღსანიშნავია შენიშვნებით.

ლეკეთის ებრაელნი. დაღესტანს ანუ ლეკეთს ურიები ძველადგან საქართველოდგან გადასახლდნენ და დასახლდნენ. დაღესტანში ურიებმა დიდხანს შეინახეს ქართული ენა და ტანთსაცმელი. ჩვენის ფიქრით, რაც ლეკეთის ურიებმა ქართული ენა დაკარგეს, მას შემდეგ ორი საუკუნე უნდა იყოს გასული. ძველადგანვე ებრაელნი იქ ვაჭრობას გაჰყვენენ, თუმც ლეკებთაგან იგინი ხშირად იდევნებოდნენ, მაგრამ მაინც თავს ინახავდნენ იქ. ვაჭრობის მხრით მათი მისვლა-მოსვლა სა-

ქართველოში ძველადგანვე არ მოსპობილა, XIX საუკუნის შემდეგიდამ, რაც საქართველო რუსეთს დაუკავშირდა, მას შემდეგ ლეკეთის ურიებმაც ხშირად იწყეს საქართველოში გადმოსვლა. იგინი ქართველ ურიებს ადვილად უახლოვდებიან, ენათესაებიან კიდეც. მათაც ქართულად აცვიათ, ქართულ ენასაც ადვილად ითვისებენ და ქართველთ ებრაელთა სალოცავშიაც დაიარებიან.

ევროპის ებრაელნი. უმეტესად გერმანულის კილო-კავის ენით ლაპარაკობენ. ამათი რიცხვი საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისიდან გამრავლდა. იგინი მისდევდნენ უმეტესად მესაათეობას, ოქრომჭედლობას და ვაჭრობას. დღეს მათი რიცხვი მთელს საქართველოში დიდია, ნამეტურ თფილისს. იშვიათად, რომ ამათშიაც ქართული ენის მცოდნე არ ნახოთ. ნამეტურ ვინც კი საქართველოში დაბადებულან, იმათ აუცილებლად იციან ქართული ენა, თვით ურიის დალალ დედაკაცებმაც იციან ქართული. ქართველთა და მთლად მცხოვრებთათვის ისენიც უვნებელი ხალხია. მათში განათლებულთ რიცხვიც დიდია, თფილისში მათ აქვსთ ორი სინაგოგა. მათი კაცი, ქალი და ყმაწვილიც კი სულ შრომას მისდევენ და მით სცხოვრობენ. ურთიერთშორის დახმარებაც იციან, შეუძლოთ სიბრალული და სწავლის სიყვარული მათში უაღრესად არის განცხოველებული. თფილისში მათგან ბევრი კეთილი აღურიცხველი სავაჭრო საქმეები კეთდება და ვრცელდება. ბევრ რამით არის ეს ხალხი ჩვენგან მისაბაძი. თფილისში მათ აქვსთ თითქმის ყველა დარგის ქარხნები და სავაჭრო მაღაზიები. მოქალაქე ებრაელთა გარდა არიან ჯარისკაცნიც. მათი რიცხვი დიდია, უმეტეს იგინი მუსიკის სწავლას მისდევენ.

აღსანიშნავია, რომ ებრაელნი ნიჭიერნი არიან და ნამეტურ სხვადასხვა ენების შესწავლაში. მე გაკვირვებული ვარ, რომ ამათ კაცს თუ დედაკაცს ისე ემარჯვებათ ქართული ენის სწავლა, რომ იგინი ასე ადვილად სწავლობენ, მაგრამ აქ გასაკვირველი არა უნდა იყოს-რა, ვინაიდგან ეს ხალხი შენიშნულია ნიჭიერებაში. ევროპის და რუსეთის ებრაელთა საყურადღებოდ ჩვენ ვიტყვით შემდეგს:

როგორც ვიცით ისტორიულად, საქართველოში, ქართველთ ებრაელთა შორის, არ ყოფილა არც ერთი სოფლის ისეთი მცხოვრები, რომ მათ ებრაელთა სამახსოვროთ რამე ძველი ნივთები ანუ პერგამენტზედ ნაწერი წიგნი არ ქონოდესთ. ამის მაგალითია ის, რომ ერთი ძველი, ებრაულად პერგამენტზედ ნაწერი „დაბადება“, ქართლში, რაღაც ბედათ, ქართველ ებრაელთაგან მათ მებატონე ავალიშვილებს ჩავარდნიათ ხელში. დღემდე იგი მათ საკუთრებას შეადგენს. ძველად კი ეს ხელთნაწერი ქართველთ ებრაელთა საკუთრება ყოფილა. დღეს ეს „დაბადება“ ერთს ოთხში აქვსთ შენახული. იქ დაიარებიან ქართვ-

ელთ ებრაელნი ამ „დაბადებას“ თაყვანს სცემენ, რაისა გამო ჯეროვან ფასსაც იხდიან! ებრაელთა ბევრჯერ სცადეს და მებატონეს სთხოვეს „დაბადების“ დახსნა ფულით, მაგრამ მებატონეთა არ ინდომეს. დღემდე ეს „დაბადება“ მათ ხელშია, მისი გაცნობა, ერთის მხრით, არ იქნება ურიგო. ასეთ ძველ ებრაელთა ნაშთს ეკუთვნის ის ძველის ებრაელის წარწერიანი ქვა, რომელიც ადრე მცხეთაში აკლდამების თხრის დროს იპოვნეს და რომელი ქვაც დღეს თფილისის მუზეუმში ძევს, ეს ქვა და მისი წარწერა ქრისტეს წინა დროებას ეკუთვნის. ცხადია, რომ ძველად საქართველოში, ქართველ ებრაელთა შორის არა ერთი ძველი ნივთი იქნებოდა დაცული, ხოლო დროთა მიმდინარეობას და ჟამთა ვითარებას იგი უწყალოთ უნდა მოესპო.

ამიტომ ჩვენ სანატრელად მიგვაჩნია და თან მეტათ სასარგებლოთაც, რომ ამ ძირეულ საქართველოს მკვიდრს მცხოვრებთ ქართველთ ებრაელთ თავიანთ დედა ენაზე, ესე იგი, ქართულს ენაზედ ებრაული სჯულის წიგნები ეთარგმნათ, ნამეტურ ძველი ურიული ენიდამ, რომელსაც კითხულობენ და მის გაგება კი არა აქვსთ.

ამ საქმის სისრულეში მოყვანის დიდი მოტრფიალენი არიან თვით ევროპიელი ებრაელნიც, რომელთაც არაერთხელ უნატრიათ ხსენებული საქმის განხორციელება. მე მათ სხვადასხვა წიგნებიც გადმომცეს, ებრაულის ენიდამ რუსულს ენაზედ ნათარგმნი.

ჩვენ კი მისი თარგმნა ვერ მოვახერხეთ. საქმე ასე დაგვირჩა.

ამიტომ მე დიდს სანატრელად მიმაჩნია, რომ ქართველთ ებრაელთათვის ქართულს ენაზედ სხვადასხვა საჭირო წიგნები ითარგმნოს და დაისტამბოს. ამით ჩვენ მათ დიდს სამსახურს გავუწევთ და უკანასკნელ იგინიც გადაიხდიან ამის სამაგიეროს.

ქართველთ ებრაელთ ცხოვრებას და მდგომარეობას ქართულმა შწერლობამ იმავ თავიდგანვე შესაფერი სამსახური გაუწია, ყოველთვის კაი მეგობრობას და მფარველობას უწევდა. ებრაელთა მომხრე და შფარველი იყო გაზეთი „დროება“, „შრომა“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „კვალი“ და თითქმის ყველა ის გამოცემანი, რაც კი ქართულს ენაზედ ისტამბებოდა. მაგალითებრ, „დროება“ ხმამაღლა ჰქადაგებდა ებრაელთა სიბრალულს, მათს მფარველობას და იმასაც აუწყებდა მკითხველს, რომ ყმაწვილების სისხლის ხმარება მათზედ მტრობით არის მოგონებული თვით ქრისტიან მტრებთაგანო. ასეთი შინაარსის წერილები ხშირად ისტამბებოდა „დროება“-ში. ყოველ ცნობას და სიტყვასაც კი თავისებური აღმატებულება ჰფლობდა. ქუთაისში ებრაელთა ცილისწამების გამო „დროება“-მ ბევრი სიმპატიური წერილი დასტამბა. ისეთისავე ჰაზრის იყო მაშინ მთელი ქართველი განათლებული საზოგადოების ნაწილი, ნამეტურ ჟეშმარიტების თვალით უმ-

ზერდნენ თვით ქართველი ვექილნიც და ესეთ ებრაელთ სრულს დაჴმარებას და მფარველობას უწევდნენ ყველგან, თვით სამართალშიაც.

„ივერიაშიც“ მრავალგზის დაიბეჭდა წერილები ებრაელთა ცხოვრების შესახებ. ეს გაზეთი ყოველთვის ეჴმარებოდა ებრაელთა კითხვებს. იგი დიდი მოსარჩლე იყო მათი, დიდი მფარველი. აქ ყოველთვის მკაცრად იცავენ ებრაელთა პიროვნებას. მნიშვნელობას და ამაგს კაცობრიობის წინაშე. გაზეთი ვალდებულათ ხდიდა მთელს განათლებულს საქრისტიანო საზოგადოებას, რომ ებრაელთა მფარველნი უნდა ვიქმნეთ, მათი მფარველობა ჩვენს საღმრთო ვალს შეადგენსო, რადგანაც ეს ხალხი ღირსეულია მფარველობის და პატივისცემისო. დღესაც ასევე ჰქადაგებს ეს გაზეთი ებრაელთა ცხოვრებაზედ. „ივერია“-ში რამდენგზისმე ლექსებიც, წერილებიც დაისტამბა ქართველთ ებრაელთა შესახებ.

„ცნობის ფურცელიც“ ისეთისავე შეხედულების არის ებრაელებზედ, როგორც რიგი და წესია, რაც მოეთხოვება განათლებულს კაცს და გაზეთს. „ცნობის ფურცელშიაც“ არაერთხელ დაისტამბა წერილები თუ ნათარგმნი და თუ ორიგინალური შესახებ ებრაელთა და კერძოდ, ქართველ ურიათა ცხოვრებაზედ. აქაც ყოველი წერილი და ცნობა დიდს სამსახურს და ამაგს უწევს ებრაელთა ცხოვრების პიროვნებას. ყოველთვის სიმართლით და მაღალის მფარველობით ეხებოდნენ და ეხებიან კიდევაც როგორც საზოგადოთ ურიების ცხოვრებას, ისევე ქართველთ ებრაელთა გარემოებასაც.

„შრომაშიაც“ ყოველთვის მფარველობით ასწერდნენ ებრაელთ.

„კვალშიაც“ ცნობილის კილოთი ეხებოდნენ ამ ხალხთა წარმომადგენთ და აქებდნენ. მოკლედ უნდა ითქვას, რომ ქართულს ენაზედ თუ სადმე რამე დაწერილა ებრაელთა შესახებ, ყველგან იგინი მაღალის სიბრალულით აუწერიათ, ძმურის პატივისცემით და თავაზით მოუხსენებიათ. საზოგადოთ, ქართული მწერლობა ყოველთვის ფარად და ხმლათა მდგარა ებრაელთა შესახებ, ერთს მაგალითსაც ვერ მაჩვენებთ, რომ ქართველ ებრაელებზედ და ან საზოგადოთ ურიებზედ საღმე ვისმეს რამე დაეწეროს, არა გვგონია, ამის მხრით ქართული მწერლობა ებრაელთა წინაშე ვალმოხდილია და ამაგდარი. ებრაელთა შესახებ ქართულს მწიგნობრობაში კერძოთ სწერეს შემდეგ პირთა:

ბ. ნიკოლოზ ნიკოლაძემ 1869 წ. გაზეთ „დროება“-ში დასტამბა წერილი ქართველ ებრაელთა ცხოვრების შესახებ. იგი ამ წერილით თხოულობდა ქართველ ებრაელთა ცხოვრების გაუმჯობესებას, ამისთვის მათ საქმიაგო ხელის გაწდომას, ხელის გამართვას, მით მათში განათლების სხივების აღძვრას, რომ მერე მომზადებული ურიაც საქართველოს და ქართველ ერს გამოადგესო. ეს წერილი საყურადღებოა თავის დროის კვალად.

ბ. ანტონ ფურცელაძემ, 1897 წ. დასწერა მშვენიერი წერილი და დაბეჭდა იმავ დროის გაზეთ „ივერია“-ში. ამ წერილით ანუსხა ის ამაგი და შეხედულება, თუ ქართველთ მეფენი როგორ უმზერდნენ ებრაელთ, როგორ მფარველობას უწევდნენ და დღეს კი, ჩვენ, მათი შთამომავალნი, როგორ ვტანჯავთ საბრალო ებრაელთაო. წერილის დედაჰაზრები მეტად პატივსაცემია. ერთ ალაგას ამბობს: ნეტა რა უნდა იყოს ის გარემოება, როცა დაცემული ერი დაცემულს ებრძვისო, ნეტა ამაზედ რას გვეტყვიან ჩვენი წინაპარნი, რომელთაც მცნებათ ღაგვიტოვეს ებრაელთა მფარველობამა. ეს წერილი რუსულადაც ითარგმნა და ერთ ებრაულს გაზეთშიაც დაიბეჭდა. ეს წერილი გამოიწვია ქუთაისში მომხდარმა ებრაელთა დევნამ და ჩაგვრამ. ამავე მწერალმა დასწერა ებრაელთა ისტორიიდან 5 მოქ. ტრაღედია — „ისრაელის ასული“ და რამდენიმეც ლექსი.

აკაკის ქართველთ ებრაელებზედ ბევრი რამ უამბნია, ყველა მისი ნაამბობი ადამიანურის მიმართვით არს სავსე. მასვე ეკუთვნის ხელოვნურად ნაწერი ქართველ ებრაელთა ლეგენდა „დავით წინასწარმეტყველზედ“, სცენები და სხვაც მრავალნი ამგვარნი, ნიჭიერად და თავისებურის მამულისშვილურის ნაწერი, სამაგალითონი და კაცთაგან მისაბაძნი.

იაკ. გოგებაშვილსაც ბევრი რამ ცნობები აქვს ამ ერზედ დატოვებული, სიბრალულით სავსენი და საყურადღებონი.

ილ. ჭავჭავაძესაც „ივერიაში“ არაერთი წერილი დაუწერია ამათ შესახებ.

ბ. ნიკოლოზ ხიზანაშვილმა „ივერია“-ში დაბეჭდა ორი წერილი, სახელდობრ, ქართველ ებრაელთა შესახებ. აქ მან ებრაელთა ცხოვრებაზე ბევრს რამეზე ისაუბრა. მოიყვანა ცნობები, რომ ქართველი ებრაელნი „სიონისტების“ წრეში ეწერებიან და ამიტომ საქართველოდამ სახლდებიან იერუსალიმსო. ასევე შეეხო მათს სასულიერო წოდებას და სწავლა-განათლების დაცემულობას. ამ წერილიდამ ერთ პირს უსარგებლიანია, მას წერილი დაეწერა რუსულს ენაზედ ქართველი ურიების შესახებ და ეს წერილი 1903 წ. ბაქოს „კასპიის“ ორს ნომერში იყო მოთავსებული.

ბ. ლუკა ისარლოვმა რუსულს ენაზედ დასწერა ისტორიული წერილი „ებრაელნი საქართველოსა და იმერეთში“. პირველად ეს წერილი გაზეთ „კავკაზში“ დაიბეჭდა და შემდეგ მე იგი მოვათავსე ლ. ისარლოვის ნაწერების წიგნ „პისმა ო გრუზიი“-ში. წერილი ისტორიულად არის ნაწერი, ებრაელთ გადმოსახლებასაც ანუსხავს საქართველოში.

ბ. მ. ჯანაშვილმა დასტამბა პატარა წერილი ქართველ ებრაელთა შესახებ 1904 წ. „საქართველოს კალენდარში“

მე დავბეჭდე ერთი წერილი 1877 წ. „დროება"-ში, რომელიც ამ წიგნში შევიტანე და მეორე წერილი დავბეჭდე „ცნობის ფურცელში" 1902 წ. ეს წერილი ისტორიულის შინაარსის გახლავსთ და მიტომ ამ-ვე წიგნში მოვათავსე. მე ვიცი, რომ სხვადასხვა დროს, ებრაელთა შესახებ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში სხვებსაც უწერიათ, მაგრამ ჩვენ ყველა მათ ვერ მოვიგონებთ, ვიტყვით კი, რომ ყველას კალამი სიტყვაკაზმულის მწერლობით, პუბლიცისტიკით თუ ისტორიულის მიმოხილვით ყოველთვის ებრაელთა პატივისცემით ყოფილა გამსჭვალული. თუმცა ქართველი განათლებული საზოგადოება და მწერლობა ასე ეპყრობა ებრაელთა საქმეს, მაგრამ იგინი არ იქმნა, ვერ გამოვიდნენ ღრმა ძილიდგან. იგინი მაინც თავიანთებურად იქცევიან. არავის რჩევას ყურს არ უგდებენ. არც ქართველთ ამაგს აკვირდებიან, რომ ამათ მათთვის გული დიდათ შესტკივათ.

თუმც ასეა მათი საქმე მოწყობილი, მაგრამ იმედია, მათ რომ წამახალისებელი გაუჩნდეთ, მაშინ არც ესენი დაშთებიან დაძინებულნი, ესენიც გაახელენ თვალებს და გამოვლენ საღათას ძილიდამ. ამათი ერთი წახალისება არის საჭირო, თორემ მერე თვით გაარკვევენ გზა და კვალს. ევროპის ებრაელნი წახალისდნენ წინეთ და მიტომაც მათ ევროპას აჩუქეს შესანიშნავი ფილოსოფოსნი, ეკონომისტნი, მეისტორიენი, პუბლიცისტნი, მუსიკის მცოდნენი, მომღერალნი, მექანდაკენი, ხელოვანი მოთამაშენი და სხვ. სადაც კი ევროპიელი უწარჩინებულესი პირნი აღიწერებიან და დაიხატებიან, იქ მათ არ ჩამორჩებიან სპინოზა, მენდელსონი, მარქსი, ლასალი, ენგელსი. რუბინშტეინი, ოლფენბახი, მეიერბერი, ანტოკოლსი, ბერნე, ჰეინე და, ვინ იცის, რამდენი კიდევ სხვანი. დღეს ქართველთ ებრაელნი მოვალენი არიან, რომ თავიანთ თანამერჯულე ებრაელთ მიჰბაძონ და თავითაც შეუდგნენ განვითარების გზას, ხომ ხედვენ, თუ ევროპის ებრაელნი როგორ მაღლა სდგანან მათზედ. ევროპიელთ ებრაელთა მიმბაძაობა მათს ვაჭრობასაც გამოსცვლის და წვრილმან რაღაცაებით მოვაჭრეთაც გზა გაუფართოვდებათ კარგის, ანუ დიდი აღებ-მიცემისაკენ. იგინი მით ბევრ რამეს მიხვდებიან.

ჩვენდა სამწუხაროდ, დღემდე ქართველ ებრაელთა შორის ერთი ნასწავლი კაციც კი არავინ გამოსულა, ერთი მცოდნე და მომზადებული. სამწუხაროდ, ასეთ ნაკლს არც თვითომ გრძნობენ, არ ცდილობენ, რომ დღეს თუ არა, შემდეგი თაობა მაინც დაიხსნან უმეცრებისა და უბედურებისაგან. როგორც ერთი თავობა ისპობა უმეცრებით, ისევე მეორე თაობა შთება და მესამე. უწყის ღმერთმან, თუ ვინ გახდება ამათი წამქეზებელი. იგინი არ სცდილობენ, რომ ურიის შვილი ცოდნით მამას დაემჯობინოს, თითქოს მამებს შვილების ესეთი წარმატე-

ბა შურსთ. სამწუხაროა ამათი მდგომარეობა და ნამეტურ ქალთა და ბავშვთა.

ბავშვები ქართველთ ებრაელებში იზრდებიან ღვთის ანაბარად, მოუვლელნი, უპატრონონი და უმფარველონი. ებრაელთა ბავშვის ნახვა თქვენ სიბრალულს მოგგვრისთ. ცხადათ შენიშნავ მას ტანზედ ძველს ტანსაცმელს, ათას ალაგას დაკერებულს, მასთან ჭუკჭიანს და სხვანი. სახეზედ და თვალებში ამოუკითხავ შიმშილს, დაჩაგვრას და ათას სხვა ამგვარებს. უბედურია და მასთან უპატრონო ქართველთ ებრაელთა უმეტეს შვილები, ნამეტურ შეუძლოთ. ამათში უსწავლელად შთებიან თვით შეძლებულნიც.

ქალების მდგომარეობა ხომ უფრო უბედურია და თან სატირალიც. მთელს ქართველ ებრაელებში ვერ ნახავთ ერთს ნასწავლ ქალს. ერთს განათლებულს დედას, განათლება კი არა და, სამწუხაროდ, მათში ერთი ისეთი ქალიც არ მოიპოვება, რომ თუნდ მას ქართულს ენაზედ რიგიანად წიგნის კითხვა შეეძლოს. ესეთი გარემოება ებრაელთა ჩვენ დიდათ გვწყინს და ამ წიგნით მათ ჩვენ სრულს პროტესტსაც ვუცხადებთ. დროა უკვე, რომ მათაც თვალი გაახილონ და განვითარების ასპარეზზე გამოვიდნენ. დროა უკვე, რომ შეხედონ სხვებს და სხვების მაგალითით ძველი უმეცრება გაიბერტყონ და ახალი ცხოვრების გზას დაადგნენ, თორემ ვარწმუნებთ ჩვენს მოძმეებს, რომ იგინი მომავალში ებრაელთა მოზარდი თაობის წინაშე დიდათ გასაკიცხნი გახდებიან.

დღემდე ქართველთ ებრაელთაგან ქართულს მწერლობაში ერთი მწიგნობარიც კი არ აღმოჩენილა, ერთი მწერალი, ერთი საზოგადო მოღვაწე. ნუთუ დრო არ არის ამისა, ნუთუ მათ კი აწყენთ საზოგადო მოღვაწეთა და მწერალთა ყოლა? ჭეშმარიტად რომ არა, მაგრამ ვინ არის ამის გამგონი. ასეთ კაცთა საჭიროება კარგად უნდა იგრძნონ ებრაელთა, რათა მათ ყველგან ჰყვანდეთ თვის თანამერჯულეთაგან ნასწავლ-მფარველნი, რომელთაც შეეძლებათ მოკამათეთა წინაშე პასუხის ძლევა, კამათი და სხვანი, რაც ებრაელთა წინააღმდეგ ხშირად ხდება ხოლმე ჟურნალ-გაზეთებში. ქართველ ებრაელთა კი ასეთის საქმისათვის ერთი კაციც არა ჰყავთ მომზადებული, ერთი კაცი არ აბ-ადიათ! ამაზედ მეტი ბავშვობა შეიძლება? აუკინიათ ქართველთ ებრაელთ, რომ ჩვენზე კარგი, ნასწავლი არავინ არისო. ჩვენა ვართ რაცა ვართ, მოსეს ძველი ურიებიო. იმას კი აღარ ფიქრობენ ეს დალოცვილები, რომ მათ ერთი ნასწავლი კაციც არა ჰყავსთ. ვექილი მოუნდებათ მათ და სხვას უნდა მიმართონ, ექიმი და სხვას, სხვა რამ ნასწავლი კაცნი მოუნდებათ და კიდევ სხვას. სულ სხვების ხელთ შემყურებულნი არიან და მასთანვე მაინც არა ტყდებიან, რომ იგინი

დღეს არამცთუ წინ არიან სხვებზე წასულნი, არამედ დაცემულნი არიან და მასთან ერთობ სასტიკათაც. ამის შეგნება რომ ექმნესთ ქართველთ ურიებს, მაშინ, ვგონებთ, გული ბოღმით აევსოთ. ქართველი საზოგადოება ამათ რომ კარგად, ძმურად ექცეოდეს ამათ რაღაც სარჯულავ მანქანებად მიაჩნიათ, ის კი არ იციან, რომ ჩვენ თუ მათ პატივს ვსცემთ და სიბრალული გვაქვს, ეს არის ჩვენი ისტორიული ცოდნის პატივისცემა და დარგი და არა სხვა რამ სჯულის პოლიტიკანობა.

აი, ამ ბოლოს დროს, ქართულს ენაზე დაიბეჭდა ვრცელი შრომა პატრის, მიხეილ თამარაშვილისა. შესანიშნავი წიგნია. ერთ ალაგას დამწერს მოჰყავს ასეთი ცნობა, რომ როდესაც საქართველო დაეცა, მის შემდეგ ქართველთ შვილებს არამც თუ ათათრებდნენ, ასომხებდნენ და აფრანგებდნენო, არამედ საქართველოში მცხოვრები მდიდარი ურიებიც კი ყიდულობდნენ და ქართველთ ქრისტიანებს აურიავებდნენო. ამ ცნობების ლათინურიდამ თარგმნით პატრი მ. თამარაშვილი ამყარებს ერთ ძველს ცნობაზედ, რომელიც 1640 წელს გორის პატრს ამბროზის რომის კონგრეგაციისათვის გაუგზავნია და ბეჯითად მოუხსენებია. მოხსენებაში ქართველთ გათათრება, გაფრანგება და გასომხება კი არ ყოფილა საქმე და საგანი, არამედ ქართველთ გაურიავება ყოფილა საკვალალო და სულის წასაწყმედი. ასეთ გამოწვეულ ცნობას პასუხი უნდა და ახსნა. ამის მოვალენი არიან თვით ქართველთ ებრაელნი, რომ პასუხი გასცენ, მაგრამ იგინი ამის პასუხს საიდამ გასცემენ, როცა მათ უბრალო „ჩითების, მიტკლების“ და ასეთების ძახილით დრო არა აქვსთ, რომ თავიანთ სამშობლოს, საქართველოს ისტორია დაისწავლონ. ამათ კაცი როცა საქართველოს ისტორიიდამ რამეს ჰკითხავს, იგინი რაკი უვიცობით პასუხს ვერ მისცემენ, მერე მედიდურობენ მით, რომ ჩვენ ურიები ვართ და რა საჭიროა ამის ცოდნაო. როცა სიტყვა ურიასტანის ისტორიის ცოდნაზე გადავა და რომ ვერც მაშინ იტყვიან ხოლმე რასმე, მაშინ კი ხახამშრალნი ჩუმად რჩებიან. აღარც ერთნი არიან და არც მეორენი, არც თავიანთი იციან და არც სხვისა. რადგანაც ქართველთ ებრაელთა საქმე ასეა დაყენებული, ამიტომ ისევ ჩვენ ვიტყვით რამეს, ესე იგი, პასუხს დავსწერთ პატრი ამბროზის ცნობის შესახებ.

უნდა მოვიხსენოთ, რომ პატრი ამბროზის ცნობა ჩვენ გაზვიადებულად მიგვაჩნია. პატრს ამბროზის ესეთი ცნობა და მოხსენება კონგრეგაციის წინაშე განგებ უნდა წარედგინა, რათა მით უფრო მეტი ყურადღება მიეპყრო, მეტის სიბრალულით დაეხატნა საქართველოს გაჭირვებული მდგომარეობა. ჩვენ პირნათლად და გადაწყვეტით ვიტყვით, რომ ამის მაგალითი ერთიც არ იქმნებოდა, რომ ქართველთ

ურიას ვინმე ყმა ან ბავშვი ეყიდნა ქრისტიანთაგან და მერე იგინი თვის სჯულზე გადაეყვანათ. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს სულ ჭორეგია და ცილი. ქართველთ გაურიავება კი არა და ურიების გაქრისტიანება კი ისე ხშირად და მრავლად ყოფილა, რომ დღესაც გურიას, სამცხეს, იმერეთს და ქართლს ასობით მოვთვლით ისეთ გვარებს, რომელთა წინაპარნიც ებრაელნი ყოფილან და შემდეგ კი ჟამთა ვითარების მეოხებით, თავიანთ ნებით თუ ძალოვნებით, ქრისტიანობას დაკავშირებიან. ასეთი ცნობანი ჩვენ მით უფრო მიგვაჩნია ჭორათ, რადგანაც წარსულში ქართველთ ებრაელნი მეტად ღატაკს მდგომარეობაში იყვნენ. მათ თავიანთი საზრდოს მოპოვებაც კი უჭირდებოდათ და აბა სხვათაგან ყმებს რითი იყიდდნენ და მათ იგინი როგორ ასაზრდოებდნენ.

მეორე, ურიას არც თვით ქრისტიანი მიეყიდებოდა, არ გაჰყვებოდა. მესამე, საქართველოს ურიები მთლად საბატონო და საეკლესიო ყმები იყვნენ და, აბა თქვენა ბრძანეთ, რომ იგინი როგორ შესძლებდნენ ქართველთ ყმათა სყიდვას და ისიც მერე გაურიავებას. ეს ჩვენ მოგონებულ ცილათ მიგვაჩნია მით უფრო, რადგანაც საქართველოში ქართველთ ურია საქართველოს და ქართველ ერსა და სასულიერო წოდებას ისე აფასებდა და პატივს სცემდა, როგორც თვით ებრაელისას. არის ასეთი სამაგალითო ცნობა ამავ მ. თამარაშვილის წიგნში, რომელიც აქ უნდა მოვიყვანოთ. ოსმალეთის საქართველოში რამდენიმე კათოლიკის მღვდლებისთვის მთავრობას სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტია. ეს საბრალოები ვერავის დაუხსნია, ბოლოს ერთს მდიდარს ურიას უკისრნია მათი დახსნა, მას თავს უდვია ეს საქმე და კათოლიკის პატრებიც მალე დაუხსნია სიკვდილით დასჯისაგან. (ისტ. კათ. საქართ., გვ. 99) და სხვანიც მრავალნი ამგვარნი. ყველა ეს ცნობები ჩვენ აქ მიტომ მოვიყვანეთ, რომ მით ქართველთ ებრაელთათვის თვალთწინ დაგვეხატა მათი ავ-კარგიანობის ვითარება და მისი მიხვედრა.

ქართველი ურიების შესახებ განა ეს ერთი ცნობა იქმნება, არა, არამედ მრავალი, ბევრი ცნობა, მათ რომ შესმენა ჰქონდესთ, გული და სული უნდა აემღვრიოთ, დიდათ უნდა შესწუხდნენ, რომ მათ პიროვნებას ასე ჰფარგლავენ, ასე ამცირებენ, ეს უნდა იგრძნონ ქართველთ ურიებმა, უნდა შეიგნონ მისი ვითარება და მიტომ მაინც უნდა გაახილონ თვალები, რომ მათ პიროვნებას მფარველი გამოუჩნდეს კანონიერად, მათი ცხოვრების წესებიც მათმავე მერჯულეებმა ასწერონ და საზოგადოებას დაუხატონ სიმართლით და სრულის აღსავსეობით.

გულის სიმართლით ვიტყვით, რომ ქართველთ ებრაელის ცხოვრება საქართველოში მეტად უბედურია. მათ არა აქვსთ საკუთარი კა-

რგი სასწავლებლები და მის მაგიერ არც სხვებისას ეტანებიან.

არა ჰყავსთ ნასწავლი კაცები, რომ მათმა ნასწავლმა კაცებმა ილაპარაკონ ხშირად მათს საჭიროებაზედ.

არა ჰყავსთ შესაფერად მომზადებული სასულიერო პირნი, რომ მათ ხალხს მძლავრად უქადაგონ, ისე, ეს როგორც ევროპიელთ ურიათა სასულიერო პირებმა იციან. ქართველთ ებრაელთა სასულიერო წოდების მრევლის ფეხზედ დადგენა ადვილად შეეძლებათ, მაგრამ ამის ოსტატობის ძალა მათ არ შესწევსთ.

არა აქვსთ ქალებისათვის გახსნილი სასწავლებელი და საბრალო ებრაელთა ქალები სახლში არიან გამომწყვდეულნი, ტუსაღებივით. ამათთვის არც საზოგადო პაზრით ქალთა კრებები ხდება, თეატრის ხომ არაფერი გაეგებათ, ძნელად რომ მათში ქართული წიგნების მკითხველი გამოსჩნდეს ვინმე, იშვიათია.

არა აქვსთ ვაჟების სასწავლებლები, არსად ერთი სკოლა მოეძევებათ, მართალია, სალოცავთ გვერდით აქვსთ სასწავლებელი, მაგრამ ჩვენ ამას არა ვსთვლით სასწავლებლად, რადგანაც იქ ებრაულ ლოცვების მეტს არას ასწავლიან. ქართველთ ებრაელთა ბავშვები მთელი დღე ქუჩაში ჰყრიან და უბრალო საწვრილმანოს სყიდვით დღეს აღამებენ.

არა აქვსთ საერთო მაღაზიები და პურის შესანახავი.

არა აქვსთ საერთო ჭირისთვის სადმე თანხა შეგროვილი.

არა აქვსთ სნეულთა, დავრდომილთა და შეუძლო მოხუცებულთათვის თავშესაფარი სახლი, თუმცა კაცი ამათში შეუძლო მოხუცს ხშირად შეხვდება. ყველა მათ ცხადად ეტყობათ დიდი სიღატაკე, ტანზედ მეტად ძველი ტანთსაცმელი აცვიათ და მუდმივაც მშივრები არიან. ერთი მოხუც დავრდომილთაგანი შიმშილს ისე შეეწუხებინა, რომ თფილისში, ალექსანდრეს ბაღის მახლობლივ ღამე თხოულობდა მოწყალებას დიდის მორიდებით.

არა აქვსთ შეუძლო მშობიარე და სნეულ ქალთათვის საწოლი და თავშესაფარი. არც სხვისას ეკარებიან და მით ქართველი ურიის ქალი უბედური და საბრალოა ყველაფერში. თუმცა არც ჩვენ გახლავართ ამაებით ბედნიერნი, მაგრამ რა ვუყოთ, ჩვენ სხვებს მაინც არ ვერიდებით ურიებივით, ჩვენ მაგალითს მოგახსენებთ.

არა აქვსთ დროის შესაფერად გაკეთებული სალოცავები. ეს ემჩნევა ნამეტურ თფილისს.

მაინც და მაინც არც რა დიდი ეაჭრობა უჭირავსთ ხელში. ერთის სიტყვვით, ყელგან დიდი დავრდომილება ეტყობათ. თფილისში ქართველთ ებრაელთა ერთი ყასპის დუქანი აქვსთ. წინეთ ამ დუქანს გარედამ ეწერა ასე; „საყასპო ქართველთ ებრაელთა", დღეს აწერია: „კავკასიის ებრაელთა საყასპოო".

ყოველს გასაჭირს, ყოველს შემთხვევაში ქართველთ ებრაელმა თვისი დახმარება სხვა მერჯულესაგან უნდა ითხოვოს, სხვა სარწმუნოების კაცი უნდა გაუხდეს მათ მფარველად და თვითონ კი ამბობენ, რომ ჩვენზედ კარგი არავინ არისო.

ვინ არის ახლა კარგი? ამის გარჩევა მათთვის მიგვინდია. ჩვენგან იგინი ამის რჩევას ვერ მიიღებენ, ჩვენ ვერც მათ ვაქებთ და ვერც სხვებს. თუ მიხვდენა და დაკვირვება ექნებათ, მე დარწმუნებული ვარ, რომ თავიანთ ნაკლს თვითაც კარგად მიხვდებიან, რადგანაც მათი ნაკლი მათ თვალთწინ აშკარადა სჩანს, ცხადათ არს გადაშლილი და გარეთსმული. სხვა რამ რჩევა და დარიგება ამის შეგნებისათვის მათ არ დასჭირდებათ. თვით შეიძლება, რომ გახდნენ თავიანთი თავის მკურნალნი. რომ ჩვენი გულისწყრომა მართალია და ჭეშმარიტი, ეს იქიდამაც კარგად სჩანს, რომ დღემდე ქართველთ ებრაელთ შორის ერთი კაციც კი არ სჩანს ისეთი, რომ მას თვის თანამერჯულეთა დაქვეითებულის ცხოვრებისთვის გული შესტკიოდეს. ეს ხომ ცხადია და ვერც ერთი ქართველი ურია ვერ მიჩვენებს და დამისახელებს, რომ მათ სადმე თუნდ ერთი ნასწავლი კაცი მოეპოვებოდეს.

მათის ცხოვრებისათვის დღეს მარტოდ დაზოგვა, მომჭირნეობა, ცოტას ჭამა, ცოტას ხარჯვა და კაპეიკების შენახვა და გროშებით ვაჭრობა არ კმარა. ყველა ამაზედ უაღრეს ძალას მათთვის სწავლა შეადგენს. ამით შეეძლებათ მათ წინსვლა ყველა დარგში და წარმატება. უამისოდ კი, რამდენიც არ უნდა ეცადონ, იშრომონ და კაპეიკები აგროვონ, იცოდნენ, რომ მით დროის შესაფერად წინ ვერ წავლენ და ყოველთვის ცხოვრებაში სიბნელით იქნებიან მოცულნი.

უნდა მოვიხსენოთ, რომ ქართველთ ურიების უკან ვრდომის მიზეზები მათს სასულიერო წოდებასაც ედებათ კისერზედ. სამწუხაროდ, ქართველთ ებრაელთა სასულიერო წოდება აქამდე მათ ყველაფერ განათლების შეძენას და მასთან დაახლოვებას ცოდვათ უთვლიდა. მაგალითებრ, ურიებმა თეატრში არ იარონ, თორემ ჩვენი სჯულის ცოდვა არისო, არ ისწავლონ ქრისტიანებთან, თორემ ასევე იქმნებაო, არ ილხინონ მათთან, არ ჭამონ და არ სვან მათთან, თორემ ასევე მოუხდებათო.

დღეს, ცხადია, რომ ქართველთ ებრაელთ სასულიერო წოდებას მეტი მოეთხოვება, ხომ ხედვენ იგინი, რომ ასეთის ქადაგებით საქმე ვერ მისდისთ წინა, ამიტომ მათ ცნობილ კილოს თავი უნდა გაანებონ და ქართველთ ურიები უნდა წაახალისონ, რომ ესენიც გამოვიდნენ

ზნელის მდგომარეობიდამ და განვითარების გზას დაადგნენ. როცა ამ-
ის ლტოლვა ურიებში მოიფინება, აი, მათ მაშინ შეეძლებათ სთქვან,
რომ ვიყავით ამ სოფელში და ჩვენის ცდით ჩვენს მრევლსაც შეეგ-
ნებინეთ რამე და ვასწავლეთო. წინააღმდეგ შემთხვევაში ვიტყვით
ჩვენ, რომ მათგან მარტო ლოცვები არ კმარა. მოიმედენი ვართ, რომ
ჩვენს შენიშვნებს ეს წოდება ყურადღებას მიაპყრობს და ძმურს რჩე-
ვად მიიღებენ. ამის მოველენი არიან ზნეობრივ. თვით მათ აწევსთ
დიდი ვალი, რათა დაცემულ მრევლს უშველონ რამით და თუნდ სი-
ტყვის საშუალებით მაინც აღადგინონ სწავლა-განათლების სიყვარუ-
ლი და ნათელს ცხოვრებასა და აზროვნებასთან დაახლოვება.

ბიოლოგიტყვაობა

ქართველი მწიგნობარი

„ჩემი თვალების გახელის დროს, მე ვიყავი ძლიერ დაღონებული და გულიც დარდით მქონდა სავსე, რომ ქართველებს ქართული წიგნი სულ არა გვქონდა. ვიყავით დატუქსული, ქართული ენა იდევნებოდა. წიგნების გამრავლება და გამოცემა მიმაჩნდა ჩვენი ეროვნების აღდგენის მალამოდ და ამიტომ დღედაღამ ამ იმედით ვსულდგმულობდი“.

ზაქარია ჭიჭინაძე

ქართული წიგნის დიდი გულშემატკივრის ზაქარია ჭიჭინაძის ბედზე გადამწყვეტი გავლენა იქონია ერთმა შემთხვევამ, რომელიც თბილისში გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში მოხდა. დღევანდელი რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში, ყოფილი შტაბის ქუჩაზე, ერთად მოსეირნობდნენ ქართველი მწერლები — აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე. მათი ყურადღება თხუთმეტიოდე წლის ყმაწვილმა მიიპყრო, რომელიც გულდასმით კითხულობდა გაზეთ „დროებას“. ამ ამბავმა ყველაზე უფრო „დროების“ რედაქტორი სერგეი მესხი გაახალისა. სასტუმროში ხელზე მოსამსახურედ მომუშავე ბიჭს კარგახანს ესაუბრა და გაკვირვებით აღმოაჩინა, რომ ეს ახალგაზრდა დღე-ღამეს ქართული წიგნებისა და ხელნაწერების კითხვაში ატარებდა, თან მისი გაზეთის ერთ-ერთი ხელისმომწერიც იყო[1]. ამ შემთხვევამ ძალიან დააახ-

---

[1] გ. ტ ა ბ ი ძ ე, თხზ., ტ. XII, თბ., 1975 წ., გვ. 31; ლ. ა ს ა თ ი ა ნ ი, ქართული მწერლობა, თბ., 1949. გვ. 279.

ლოვა სერგეი მესხი ყმაწვილ ზაქარიასთან, რომელიც შემდგომში „დროების“ რედაქტორის უახლოესი თანამშრომელი და ქართული კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე გახდა.

ზაქარია ეგნატეს ძე ჭიჭინაძე დაიბადა 1854 წლის 8 თებერვალს, თბილისში, ხოტევიდან გადმოსახლებული რაჭველი ხელოსნის ოჯახში. მამამისმა, გამრჯე და ყაირათიანმა კაცმა, დროთა ვითარებაში იმდროინდელი თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში, მთაწმინდაზე სახლები შეიძინა და მუსიკაშვილის ქალთან ერთად ერთი სულ-სალამათი, მრავალშვილიანი ქართული ოჯახი შექმნა. თხუთმეტ და-ძმაში ნაბოლარა, ზაქარია ცამეტი წლის ჩამოშორდა სკოლას, მაგრამ ქართული წიგნის საარაკო სიყვარულმა, დაუცხრომელმა ტემპერამენტმა და სერგეი მესხის, პეტრე უმიკაშვილისა და სხვათა მზრუნველობამ საშუალება მისცა საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსულიყო. მან ბევრი საშური საქმე წამოიწყო და წარმატებით დააგვირგვინა. „მეტად მრავალმხრივია ზაქარია ჭიჭინაძის მოღვაწეობა. ჩვენ ვიტყვით: საქართველოში, შეიძლება არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ გაუკეთებია იმდენი, რამდენიც ზაქარიამ შესძლო. რიცხვი არა აქვს ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოცემულ წიგნებს. თვით გამომცემელიც კი ვერ ახერხებს მათ ჩამოთვლას... იგი თვითონ წერდა, თვითონ აწყობდა, თვითონ ბეჭდავდა, თვითონ ავრცელებდა. ზაქარია ჭიჭინაძის პორტრეტი საკმაოდ ნათელია. იგი არის წიგნის რაინდი“[2] — აღფრთოვანებით წერდა ჩვენი საუკუნის ოციან წლებში გალაქტიონ ტაბიძე.

გალაკტიონი სახელგანთქმულ მწიგნობარს ჩვენი „ეროვნული სულის ძელქვას“ უწოდებს. ეს ჭეშმარიტად პოეტური მეტაფორა საოცრად ზუსტად ასახავს ზაქარია ჭიჭინაძის მოღვაწეობის უმთავრეს არსს. მართლაც, უთვალავი საქმის თავკაცსა და უშუალო აღმსრულებელს. ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე არაფერი გაუკეთებია ისეთი, რაც მხოლოდ მისი პირადული ინტერესებით იქნებოდა ნაკარნახევი და საზოგადოებისათვის ნაკლებ სასარგებლო.

ზაქარია ჭიჭინაძემ განსაკუთრებით დიდი ამაგი სახალხო წიგნების შედგენა-გამოცემის საქმეს დასდო. ამ თვალსაზრისით XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობა ნამდვილად სავალალო მდგომარეობაში იყო. აი, როგორ ახასიათებს იმ დროს არსებულ ვითარებას თავად ზ. ჭიჭინაძე: „...ქართველნი სრულებით არ ბეჭდავდნენ სახალხო წიგნებს, თუმცა, ეს მათთვის მეტად დიდ საჭიროებას შეადგენდა. მთელი წლები ისე გადიოდა, რომ ქართველ

---

[2] გ. ტ ა ბ ი ძ ე, თხზ., ტ. XII, გვ. 50.

მდაბიოთა სასარგებლოდ ერთი ანბანის წიგნიც არ დაბეჭდილა. მარ-
ალია, ხანდისხან რუსულ-ქართულ „რაზღავორის“ წიგნებსაც ბეჭ-
ავდნენ, მაგრამ ყველა იგინი ისე ძვირად ფასობდნენ, რომ მათს ყი-
ვას საწყალი კაცი სულ ვერ შეძლებდა“[3]. „...მდაბიო ერი დროის
ოხებით თვალს ახელდა, მათში მიმბაძაობის საშუალებით თვალის
ხილება და ცხოვრებით წინსვლის ნატვრა მაღლა იწევდა, მათთვის
წიგნები იყო საჭირო, მაგრამ მისი მკეთებელნი და დამბეჭდავნი კი
რსად იყვნენ“[4]. ამ მეტად საშური საქმის აღსრულება შემდგომში
ერგდალეულთა ნაამრევზე აღზრდილმა მოღვაწეების მთელმა კოგ-
ორტამ ითავა — პ. უმიკაშვილმა, ზ. ჭიჭინაძემ, კ. გვარამაძემ, ვ. აღნი-
აშვილმა, ს. მერკვილაძემ, ი. როსტომაშვილმა, ი. იმედაშვილმა და
სხვებმა.

სახალხო წიგნების გამოცემა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირე-
ბული. ამ საქმეს ოცდაერთი წლის ზაქარიამ ჯიქურ მოკიდა ხელი
და ცხოვრების ბოლომდე უანგაროდ ემსახურა[5]. საკვირველია მისი
მოღვაწეობის მასშტაბები: ზ. ჭიჭინაძე სამასამდე წიგნის ავტორი,
შემდგენელი და გამომცემელია. არანაკლებ საოცარია ის ფაქტი, რომ
ესოდენ დიდი შემოქმედებითი პოტენციის ადამიანი, ათი-
ათასობით წიგნის გამომცემელი და გამავრცელებელი, რომელსაც
თბილისში სპეციალური წიგნის სავაჭროც ჰქონდა, თანამედროვეთა
მოწმობით, მთელი ცხოვრება მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა
ხელმოკლეობის მიზეზი ის გახლდათ, რომ ზ. ჭიჭინაძის საქმიანობის
ძირითადი მიზანი ქართული წიგნების გავრცელება და არა ამ წიგნე-
ბით ვაჭრობა იყო: „თუ შეატყობდა მყიდველი ღარიბი იყო და ფუ-
ლის გადახდაზე ყოყმანობდა, წიგნს უფასოდ აძლევდა. იგი ცნობი-
ლი იყო იმითაც, რომ უსახლკარო მწერლებს, დევნილ პოლიტიკურ
მოღვაწეებს და საერთოდ ღარიბ ინტელიგენციას თავის ბინაზე შე-
იფარებდა ხოლმე“[6].

---

[3] ია მარუშაძე (ზ. ჭიჭინაძე), ქართული სახალხო სამეცნიერო წიგნები, თბ. 1903, გვ. 4.

[4] იქვე, გვ. 7.

[5] ვ. მაცაბერიძე, ქართული სახალხო წიგნების შემდგენელ-გამომცემლები. თბ. 1977, გვ. 59-86.

[6] გ. იმედაშვილი, იოსებ იმედაშვილი—გამომცემელი და ბუკინისტი. კრ. „მწიგ-ნობარი“. თბ., 1983, გვ. 213. ზ. ჭიჭინაძის მიერ წიგნების უსასყიდლოდ გავრცელების შესახებ ხშირად ეხვდებით ინფორმაციას ქართული პრესის ფურცლებზე: გაზ. „ივერია“, 1887, № 186; 1892, № 240; 1893, № 195; 1899, № 251, 1900, № 116; 1902, № 100; „დროება“, 1880, № 214; 1882, № 25; „ცნობის ფურცელი“, 1898, № 613; 1803, № 2320 და სხვ.

მეტად საინტერესოა ზ. ჭიჭინაძის, როგორც უანგარო ეროვნული მოღვაწის გალაკტიონ ტაბიძისეული დახასიათება, რომლის ერცელ ნაწყვეტს ქვემოთ მოვიყვანთ: „...ზაქარია ჭიჭინაძეს თვალწინ ედგა ჩვენი ქვეყნის მწუხარე მდგომარეობა. ნახევარი საქართველო ეპირა ოსმალეთს. მცხოვრებლები გამაჰმადიანდენ და მშობლიური ენა დავიწყებას მიეცა. კონსტანტინოპოლიდან გამოგზავნილი მოლები ავრცელებდენ ისლამის სარწმუნოებას ბათუმის ქართველთა შორის, აჭარაში და ქობულეთში. 1857 წლიდან ახალციხე, სატახტო ქალაქი სამცხე-საათაბაგოსი, დამორჩილდა ოსმალეთს. ოსმალნი გამუდმებით ესხმოდნენ საქართველოს განაპირა კუთხეებს, სამცხე-საათაბაგოს, შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირს, გურიას, სამეგრელოს და აფხაზეთს. შინაც, საქართველოში, მოხდა დიდი უბედურება. მეფე ალექსანდრემ დაანაწილა საქართველო. დაიწყო განუწყვეტელი ქიშპობა და ჯიბრი, როგორც მეფეებს, ისე ერისთავებს შორის. სამცხე-საათაბაგო კი ამ დროს მუდმივი ბრძოლის ასპარეზად იყო გადაქცეული. აქ სპარსელებს სურდათ ოსმალეთის გავლენის მოსპობა. მთელი ეს ხანა დაუსრულებელი ტრაგედია არის საქართველოს ცხოვრებისა. ოსმალეთს დაპყრობილი ჰყავდა ნახევარი საქართველო 1878 წლამდე. ამ წელს კი, ბერლინის შეთანხმების ძალით, ოსმალეთს ჩამოერთვა და გადაეცა რუსეთს ორი მესამედი სამაჰმადიანო საქართველოსი: ფოცხოი, არდაგანი, კოლა, არტანუჯი, ჩილდირი, ოლთისი, ართვინი, პანაჩა, ნარიმანი, მაჭახელი, იმერხევი, ზედა აჭარა, ქვემო აჭარა, ბათუმი, ჩაქვა, ქობულეთი და სხვ. მაგრამ მეორე ნაწილი სამაჰმადიანო საქართველოსი და ლაზისტანი ისევ ოსმალეთს დარჩა: ბასსიანი, სპერა, კისკიცი და სხვ. როგორც წინედ, ისე იმ ხანებშიაც მთელი მოწინავე ქართველი საზოგადოების ყურადღება მიქცეული იყო სამაჰმადიანო საქართველოსაკენ. ერთის მხრით, თვითონ ოსმალეთისათვის სამაჰმადიანო საქართველო იყო უცნობი მხარე — ტერრა ინკოგნიტა — მეორე მხრით, არც ცენტრალურ საქართველოს ჰქონდა საშუალება მიშველებოდა მას. მაგრამ როგორც კი ნაწილი სამაჰმადიანო საქართველოსი ოსმალეთს ჩამოშორდა, მთელი ყურადღება მოწინავე ქართველებისა მას მიექცა. განახლდა მისვლა-მოსვლა, როგორც ტფილისიდან სამაჰმადიანო საქართველოში, ისე სამაჰმადიანო საქართველოდან ტფილისში. ხშირად მიდიოდნენ დიდი ხნის ერთმანეთის უნახავი ძმები. აი მაგალითად: 1887 წელს ტფილისში ჩამოვიდა ორი ახალგაზრდა მაჰმადიანი: რეჯებ ნიკარაძე და ისმაილ აღა-კაიკაციშვილი. ესენი ჯერ კიდევ მოწაფეები იყვნენ. მათ გაიცნეს ზაქარია ჭიჭინაძე. ახალგაზრდები აელვარებული თვალებით უსმენდნენ ზაქარია ჭიჭინაძის საუბარს სამაჰმადიანო საქართველოს შესახებ. მათ პირველად

ესმოდათ, რომ სამაჰმადიანო საქართველო უძველესი ნაწილია საქართველოსი. რომ აქ ისევ დარჩენილია ქართული ენა და ადგილის სახელები: თიონეთი, ორგუბე, დედამთა, ჭილობისმთა. როდესაც ზაქარია ჭიჭინაძემ განიზრახა სამაჰმადიანო საქართველოში წასვლა, ესენი სულითა და გულით თანუგრძნობდნენ ამ განზრახვას. ზაქარია ჭიჭინაძე მათი დახმარებით გაემგზავრა ქობულეთში 1889 წელს. მან წაიღო დიდძალი წიგნები, რომელთაც უფასოდ არიგებდა ქართველი მაჰმადიანებში და თავდადებით შეუდგა ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრების შესწავლას ადგილობრივად.

1890 წელს ზაქარია მიემგზავრება აჭარაში დატვირთული ქართული წიგნებით. მეორედ ეწვია აჭარას 1891 წელს. ისევ დიდძალი წიგნებით. ამისშემდეგ იგი მუდმივად მოგზაურობდა სამაჰმადიანო საქართველოში ათი წლის განმავლობაში, წიგნებით — ქართული წიგნებით. თავიდანვე, სამაჰმადიანო საქართველოს ოსმალეთთან ჩამოშორებისთანავე, შეიძლება კიდევ უფრო ადრე, ზაქარია ჭიჭნაძემ იცოდნო, თუ რისთვის უნდა მიექცია ყურადღება ოსმალური გავლენის საწინააღმდეგოდ იგი ბეჭდავდა წიგნებს ქართულ ენაზე: საღელიგიო შინაარსისას, ისტორიულ წერილებს, სახალხო ლექსებს, „ვეფხისტყაოსანს“ — განსაკუთრებით სამაჰმადიანო საქართველოსთვის რუსთველის უკვადავი პოემა აქ ისევ ცოცხლობდა ზეპირ გადმოცემებით, ანდაზებით. მთელს ზაფხულს ატარებდა ზაქარია იქაურ სოფლებში, მოგზაურობდა ჰკრეფდა მათ ზეპირ გადმოცემებს, შეისწავლა ზეპირად მათი ლოცვები და მათ ჯამეშიაც დადიოდა და ლოცულობდა ისე კარგად, რომ შემდეგში კიდეც დაბეჭდა მათი ლოცვის წიგნი ქაართული ასოებით და არაბული სიტყვებით. მან ძლიერ კარგად იცოდა, თუ რა ნიადაგზე ხდებოდა წინათ სამაჰმადიანო საქართველოს მკვიდრთა მასიური გადასახლება ოსმალეთში. ისინი სტოვებდენ სამშობლოს, სახლ-კარს, წინაპრების საფლავებს და მიემგზავრებოდნენ ოსმალეთისაკენ სარწმუნოებრივი ფანატიზმის გავლენით. მათდამი ყოველთვის ფრთხილად მოპყრობა იყო საჭირო და ზაქარია სწორედ ასე იქცეოდა. სამაჰმადიანო საქართველოში თავინათ კაცად მიაჩნდათ ეს მოხეტიალე ენტუზიასტი. იგი შეუყვარდათ, მასთან ასობით გზავნიდნენ ბავშვებს და მრავალმა ბავშვმა შეისწავლა მისგან წერა-კითხვა. ზაქარია ჭიჭინაძემ დაბეჭდა შემდეგი წიგნები: 1. ისტორია ყოფილი ოსმალეთის საქართველოსი. 2. ქართველების გამაჰმადიანება ანუ გათათრება. 3. ქართველი მაჰმადიანების დიდი გადასახლება ანუ მუჰაჯირობა — ემიგრაცია, 4. ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება (ერთად აკინძული 15 წერილი), 5. ქართველ მაჰმადიანთა სოფლები და ხალხი, 6. ალიფაშა თავდგირიძე და მისი გვარის ამბავი,

7. ქართველ მაჰმადიანთა სახალხო ლექსები (მის მიერ შეკრებილი),
8. ჰუსეინ ჰამაზის ლექსები (მის მიერ შეკრებილი) და სხვ. ქართველ მაჰმადიანთა შესახებ ზაქარია ჭიჭინაძე მრავალ წერილებს ბეჭდავდა გაზ. „დროებაში“. „ივერიაში“ და სხვ. მარტო ბათუმის ქართულ გაზეთში დაბეჭდა მისი ასი ფელეტონი ორი წლის განმავლობაში — ქართველ მაჰმადიანების შესახებ და მეორე ასი ფელეტონი სხვადასხვა ისტორიული წერილებისა. ასეთმა განუწყვეტელმა მუშაობამ ნაყოფი გამოიღო და ზაქარია ჭიჭინაძეს აუსრულდა ნატვრა; იქ მკვიდრი საფუძველი ჩაიყარა ქართულმა წიგნმა, გაჩნდა წიგნის კითხვის დაუშრეტელი წყურვილი. ზაქარია ჭიჭინაძე მოესწრო იმასაც, რომ ქართველ მაჰმადიანებში გაჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც თავის თავს ქართველ მაჰმადიანებს უწოდებენ და არა თათრებს. ასეთ პირთა რიცხვი თანდათან იზრდება და საქართველოს ყოველმხრივ უბრუნდება რამდენიმე საუკუნის განმაელობაში მშობლიურ კერას მოწყვეტილი — სამაჰმადიანო საქართველო.

ზაქარია ჭიჭინაძე ქობულეთში ისმენდა მოხუცთაგან ამბებს, ამის მსგავსს: — მე მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, როცა სოლომონ მეფე სტამბოლს გეახლათ ხონთქართან, ტრაპიზუნდამდის ჩვენ გავაცილეთ; იმერეთში რუსების მოსვლაც კარგად მახსოვს. ჩვენი გათათრების შემდეგ ასი წელი იქნება გასული. მე პატარა ვიყავი, როცა ქობულეთში თათრობა შემოვიდა, პირველად ბევრი ვიმაგრეთ, მე ჩემმა ბებიამ გურიაში გამაქცია და გურიელის სახლში დამტოვა, რომ არ გავეთათრებინეთ, მაგრამ ბოლოს მაინც არ ამცდა, შემდეგ ოსმალებმა მოლები გამოგვიგზავნეს და გაგვათათრეს ძალით. მე კარგად მახსოვს, რომ როდესაც მოლებმა აქ პირველად დაიწყეს მინარეთებიდან ლოცვების თქმა, ჩვენ, ქრისტიანებს, ძლიერ გვეჯავრებოდა და აძიტომ ქვებსა და ტალახს ვესროდითო. ნელ-ნელა ისე მოგვიხერხეს, რომ აქედან ხუცები გარეკეს, ეკლესიები დაკეტეს და ჩვენც გათათრება გამოგვიცხადეს. რამდენიმე წლის განმავლობაში მთლად გათათრდა ოსმალეთის სამფლობელო ქობულეთი. ჩვენ იმერეთიდან ვართ ძველად აქეთ გადმოსული, ჩვენი მოგვარეები ქუთაისის ახლოს უნდა ცხოვრობდნენ. მე მოვესწარ კარგად სელიმ ფაშა ხიმშიაშვილს, მის შამას აბდულბეგს, ასმედ ფაშა ხიმშიაშვილს და მრავალთაც სხვებს. დაინტერესებდა ზაქარიას რომელიმე ისტორიული პიროვნება სამაჰმადიანო საქართველოს წარსულიდან. იგი სწერს: „ჩემი მგზავრობის დროს, ათი წლის განმავლობაში, სადაც კი მოხუცებულ ხოჯას ვნახავდი, ყველას იმას ვეკითხებოდი, იყო თუ არა იმათი მილეთის ვინმე შეიხ-ულ-ისლამი? ბოლოს მეღირსა ზოგი რამ ცნობების შეკრება და სხვ. ანდა ასეთი დიალოგი თურქულად მგზავრთან: რა ტომის კა-

ცი ხარ? — გურჯი. შენი მამა-პაპა რა ტომისა იყვნენ? — გურჯი (ქართველი), მაშ რატომ ქართული თქვენი ენა კი არ იცით? — მოსაუბრე გაჩერებულა და გაშტერებით უთქვამს — არ ვიცი". ასეთ დაკარგულ ქართველთათვის, — სწერდა შემდეგ თავის უბის წიგნაკში ზაქარია ჭიჭინაძე, — „ვგრძნობ თუ როგორ სანატრელია ქართული ენის ცოდნა — ეს იქნება დიდი საქმე. მათ ჯერაც არა აქვთ დავიწყებული ის გადმოცემა, რომ მათი სამშობლო საქართველოა, იგინიც ქართველთა შთამომავალნი არიან და მათი დედაენაც ქართული ენა არის", ან კიდევ ასეთი ადგილი: „შარშან აჭარაში მე გამეცნო ჰასანეფენდი — ციციშვილი, მას ჩემი გაცნობა ესიამოვნა, მით უფრო, რომ გაიგო ქართული წიგნები მქონდა თანა. ბათუმიდან ქედამდის წამომყვა და გზაში ბევრი რამ საინტერესო მიამბო ქართველ მაჰმადიანთა შესახებ. წიგნების გავრცელებაში დიდი დახმარება აღმომიჩინა მან. სულ იმას ნატრობდა — ეგების ჩვენს დაცემულს მხარესაც ეშველოს რამე — სწავლა-განათლება შემოვიდესო. ჩვენთა მოძმეთ ქართველებს იმედი გვაქვს, თორე სხვა ვინმე რას გვიშველის? ჰასანეფენდის ძალიან ეწყინებოდა, რომ ეთქვათ: „შენ თათარი ხარ". „მე თათარი რაში ვიქნები, სჯულით მაჰმადიანი ვარ და ტომით ქართველი". აჭარიდან ტფილისში გამუღმებით იწერებოდა წერილებს ეს ციციშვილი, მოითხოვდა წიგნებს, ივედრებოდა: წელსაც ამოდით და ამოიტანეთ წიგნებიო, ბევრმა ისწავლა წერა-კითხვა, უფრო ბევრი ისწავლის, თუ ხელს შეგვიწყობთო. ერთხელ ტფილისში ჩამოვიდა ანტონ ფურცელაძემ სადილად მიიწვია. ჰასან ციციშვილი ლაპარაკობდა დარბაისლურად: რაკი აქამდე მოვალწიეთ და დედაენა არ დავკარგეთ, ეხლა ნურაფრის შიში ნუ გაქვთ, ეხლა ადვილად შეეერთდებით სულით და გულითო. ჰასანს ძალიან ენატრებოდა აქაური ციციშვილების გაცნობა". ამნაირად ეყრებოდა მტკიცე საფუძველი სამაჰმადიანო საქართველოსთან დაახლოებას და ამ დაახლოების უპირველესი მქადაგებელი იყო ზაქარია ჭიჭინაძე. მისი მაგალითი ამხნევებდა ყველას, ვისაც კი გული შესტკიოდა საქართველოსათვის და ზაქარია ჭიჭინაძე ნახულობდა ერთგულ თანამოაზრეებს; ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ ორჯერ იმოგზაურა ქართველ მაჰმადიანებში. პეტროგრადის სამეცნიერო აკადემიამ დაბეჭდა მისი წიგნი „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში", მეტად საინტერესოა ცნობები მათ შესახებ, რომელნიც ზაქარია ჭიჭინაძესთან ერთად თავდადებით მუშაობდენ ამ სფეროში. გიორგი ნიკოლოზის-ძე ყაზბეგიც მთავრობის მინდობილობით მოგზაურობდა სამაჰმადიანო საქართველოში მაშინ, როცა იგი ოსმალებს ეპირათ. მან დასწერა წიგნი „სამი თვე ოსმალეთის საქართველოში" და ვრცელი მიმოხილვა „ლაზისტა-

ნის სახჯაკი". ნიკო ნიკოლაძე 1883 წელს „კრებულში" ეხება სამაჰმადიანო საქართველოს ლაზისტანითურთ. სერგეი მესხი ომიანობის დროს მოგზაურობდა იქ, იონა მეუნარგია სამეცნიერო საზოგადოების დავალებით და თედო სახოკია თავისი სურვილით მოგზაურობდენ სამაჰმადიანო საქართველოში. ილია ჭავჭავაძე ენერგიულ წერილებს ათავსებდა „ივერიაში", გიორგი წერეთელი „დროებაში", აკაკი წერეთელი თავის „კრებულში". ნიკო ცხვედაძე გულმხურვალედ ადევნებს თვალყურს ქართველ მაჰმადიანთა სწავლა-განათლების საქმეებს. იაკობ გოგებაშვილი, აკადემიკოსი ნიკოლოზ მარი, ალექსანდრე ყიფშიძე — გაზეთებში დაუღალავად სწერენ სამაჰმადიანო საქართველოს შესახებ. ილია ფერაძე, სამსონ ფირცხალავა, ვალერიან ბუნია ხელს უწყობენ ასეთ დაახლოებას. მეორე მხრითაც გაჩაღებულია მუშაობა. აბდულ-ეფენდი მიქელაძე, გულო-აღა კაიკაციშვილი, შემედ-ბეგ აბაშიძე, ჰაიდარ-ბეგ და ზია-ბეგ აბაშიძე და სხვ. ხოლო ყველაზე მეტი წიგნები ისევ ჭიჭინაძის კალამს ეკუთვნის: — ქობულეთის ხეობის ქართველ მაჰმადიანების შესახებ, ქობულეთისა და ჩაქვის ხეობის ხოჯებისა და მოლების შესახებ, ქობულეთისა და ბათუმის ქართული შკოლების შესახებ, ბათუმის ქართული მწიგნობრობის შესახებ, ქართველ მაჰმადიანთა მელექსეების შესახებ, აჭარის სოფლების შესახებ, სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის ზეპირი ამბები, აჭარის ამბები 1892 წ. აჭარის განახლება; ლივანის ქართველ მაჰმადიანთა სოფლები, ლივანა-მარადიდის შკოლების ამბები, ქართველ მაჰმადიანთა უმაღლეს სასულიერო შკოლის გახსნის საჭიროების შესახებ, ლივანის ხევის მოლებისა და ხოჯების შესახებ, მაჭახელის სოფლები, მურღულის ხეობა; მესხეთის ქართველი მაჰმადიანები, ჯავახეთის ქართველი მაჰმადიანები, ქართული ენის დაკარგვა კობლიანში, ქართული ენის დაკარგვა ჩილდირში, ქართული ენის დაკარგვა ფოცხოვში, ქართული მაჰმადიანების გადაგვარება, ოლთისი ანუ ზემო ქართლი, ლაზისთან-ჭანეთი, შავშეთის ქართველი მაჰმადიანები, იმერხევის ქართველ მაჰმადიანთა სოფლები, კლარჯეთის ქართველი მაჰმადიანები, ქართული ენისა და საქართველოს მოყვარე ხოჯები, ლოცვები არაბულ ენაზე და მრავალი სხვა".[7]

ამავე პერიოდის შესახებ ზ. ჭიჭინაძე ერთ-ერთ ბოლო ნაშრომში სწერს: „...1879 წ. დამდეგს ამ ომში დიდძალი კახელები დაიხოცენ. ქართველ მაჰმადიანებს დერვიშ-ფაშა ურჩევდა, თქვენ ჩაბარდით რუსებს და შემდეგ ამისა გადმოსახლდით ოსმალეთშიო, ჩვენ იქ კაი ად-

---

[7] გ. ტ ა ბ ი ძ ე, თხზ., ტ. XII, გვ. 36-42.

გილებს მოგცემთო. დაიდო ხელშეკრულება რუსეთსა და ოსმალოს შორის და გადასახლების ვადათ დანიშნეს ერთი წელიწადი. მართლაც, ქართველ მაჰმადიანებმა იწყეს გადასახლება და სამი წლის განმავლობაში რამდენიმე ასი ათასი კომლი გადასახლდა ოსმალეთში. აქვე დროს გრიგოლ გურიელმა ათი ათასი მანეთი დაურიგა ქართველ მაჰმადიანებს.

1880 წ. მრავალნი ურჩევდნენ ქართველ მაჰმადიანებს, რომ ისინი არ წასულიყვნენ ოსმალეთში. ამის მსურველნი თვით ქართველ მაჰმადიანებშიც იყვნენ, როგორც, მაგალითად, გულო კაიკაციშვილი, დედი ნიკარაძე, მაგრამ მაინც არ იშლიდნენ და მიდიოდნენ.

1887 წ. ბათუმში გაიხსნა ქართველ მაჰმადიანთა სკოლა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თაოსნობით, რომელშიაც ბევრმა ქართველმა მაჰმადიანმა მიიღო სწავლა-განათლება.

1890 წ. მე დავიწყე მოგზაურობა და პირველად მივედი ქობულეთში. იქ პირველად მე მივიტანე ქართული წიგნები. ეს ამბავი ქობულეთში გაუხარდათ, წიგნები სიამოვნებით მიიღეს. მე ვცხოვრობდი რეჯებ ნიკარაძესთან, რომელიც დიდ დახმარებას მიწევდა წიგნების გავრცელებაში, ასევე გ. კაიკაციშვილი. იმავე წელს ქობულეთიდან მე გადავედი ქვედა აჭარას და მაჰახელშიც შევედი, აქედან ლიბანის ხევში და სხვაგანაც.

1891 წ. მეორეთ წავედი. აჭარის წყალზე რომ მივედი, იქ იყო იმ დროს ლუკა ანდღულაძე, ეახტმეისტრად. იგი დიდად ეხმარებოდა აჭარლებს და ბევრს ქართულ წიგნსაც ასწავლიდა, რითაც დიდი სამსახური მიუძღვის ჩვენი ერის ისტორიის წინაშე. იმავე დროს მე ავედი ბორჩხაში და იქაც ვნახე იქაური ვახტმეისტერი ივანე ჯაიანი. ამ პირს დიდად გაუხარდა ჩემი იქ მისვლა. მას ჰქონდა სკოლა და ქართველ მაჰმადიანთა ბალღებს წერა-კითხვას ასწავლიდა. ამის შემდეგ იქიდან ვიმოგზაურე ართვინამდის, რის შემდეგ დავბრუნდი ქედაში და იქაც დავრჩი ერთ თვეს და დიდძალი წიგნები დავარიგე.

აქ მსახურობდა უფროსად ტუპამ-ბეგ შარვაშიძე. მისი ხელქვეითი იყო სიმონ იოსელიანი და საქმის მწარმოებელი კოლია ლორთქიფანიძე. ყველა ესენი დიდ სიკეთეს სთესდენ, ქართველ მაჰმადიანების დამხმარებლები იყვნენ და არა მოხელენი. მეც დიდად მიწყობდენ ხელს. მეხმარებოდა აბდულ-ეფენდი მიქელაძეც, რომელიც იმ დროს ქართულ გაზეთებში წერილებს წერდა აჭარიდან. აქ დავარიგე მე რამდენიმე ათასი ქართული წიგნი, ბევრ სოფლებში ბავშვებს ქართული ანბანის კითხვაც ვასწავლე. აქედან წავედი ზეგან ანუ ზედა აჭარაში. იქ დამხვდა ვასო დეკანოზოვი და მისი უფროსი ბერიძე და

ხოჯა — ნური ეფენდი ბერიძე. ყველა ამათ მე დიდად შემიწყვეს ხელი ქართული წიგნების გავრცელებაში. ზეგანში ქართულმა წიგნებმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

ამის შემდეგ მე იქ მუდამ წელიწადს ვეზავრობდი, სადაც მიმქონდა ქართული სხვადასხვა წიგნები გასავრცელებლად, თან ბავშვებს ვასწავლიდი ქართული წიგნების კითხვას. წიგნები იყო არსენას ლექსი, ქალ-ვაჟიანი, ქართველ მაჰმადიანთა ლექსები და მრავალი სხვები. ამასთანავე ერთად ხალხში ვკრეფდი და იქვე ვწერდი ისტორიისთვის საყურადღებო ძველ ამბებს, რომლებიც ჯერ ჟურნალ-გაზეთებში დავბეჭდე და შემდეგ ექვს წიგნად გამოვეცი. მთელი ათ წელიწადზე მეტი ვწერე აჭარლების შესახებ.

1894 წ. ქართველ მაჰმადიანებში გამოჩნდენ ისეთი კაცები, რომლებიც ჩემს იქ მისვლას ყოველთვის დიდი სიხარულით ხვდებოდნენ. ბევრმა მათგანმა ისე შეისწავლა კითხვა, რომ ქართულ გაზეთებშიაც კი დაიწყო წერა. ასეთი იყო ჰასან ციციანი, აჭარის სოფ. ზენდიდში მცხოვრებელი.

1906 წ. ქართველი მაჰმადიანები ისე დაწინაურდნენ, რომ მათ ფეხი გამოდგეს ყველა საკულტურო საქმეებში სამუშაოდ, როგორც მაგალითად ქართულ მწერლობაში, სათეატრო საქმეებში და ეროვნულ-კულტურულ აღმშენებლობაში. მათ შეიგნეს ის ჭეშმარიტება, რომ ისინი იყვნენ ქართველი მაჰმადიანები, ენით ქართველნი და არა თათრები. იმედი გვაქვს, რომ ისინი მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ და ჩაებმებიან თავიანთი ერის განთავისუფლების უღელში"[8].

ესოდენ დიდ მამულიშვილურ საქმეს შეჭიდებული ცნობილი მოღვაწე იმდენად ხელმოკლედ ცხოვრობდა, რომ გამუდმებულმა უსახსრობამ მის იერ-სახესაც კი კვალი დაჩნია: „შემოვიდა ერთ დღეს ჩვენთან სტამბაში, ერთი კაცი, ჩაგლეჯილი, წვერ-ულვაშ გაბურძგნული, წიგნებით და გაზეთებით ჯიბეში, ხელში დახეული ქოლგით. პლატონი მდაბლად მიესალმა. რაღაც წიგნის ბეჭდვაზე ილაპარაკა. წასვლისას დაიბარა: „ცისკრის" რედაქტორი ივანე კერესელიძე გარდაიცვალა, კვირას ყველამ დასაფლავებაზე წამოდითო". ვინაა პლატონ ეს ჩაჩინთული კაცი? ვკითხე. — ზაქარია ჭიჭინაძეაო".* — იგონებს გასული საუკუნის 90-იან წლებში „ივერიის" სტამბის ასოთააწყობად მომუშავე ვლასა მგელაძე.

ორმოცი წლის შემდეგ ლევან ასათიანი თითქმის სიტყვა-სიტყვით

---

[8] ზ. ჭიჭინაძე, ოსმალეთის ყოფილი საქართველო და ქართველ მაჰმადიანთა ისტორიის კონსპექტი, 1452-1926 წ. თბ., 1927 წ., გვ. 26-28.

* ვ ლ ა ს ა მ გ ე ლ ა ძ ე. მოგონებანი. წიგნი მეორე. პარიზი, 1972, გვ. 28.

იმეორებს აღნიშნულ დახასიათებას: „პატარა, ჩია თხელი კაცი. ტანთ ძველი, გახუნებული სურთუკი ან ასეთივე პალტო აცვია, თავზე ევროპული „ქვაბუნა", უფრო ხშირად კი შავი რბილი ქუდი ახურავს. ხშირი, სქელი წვერ-ულვაში, გაჭაღარავებული სახე, დანაოჭებული, დაღარული, დროისაგან დაჭმუჭნული სქელი წარბები დასწოლიან შავს, ჩაბინდულ თვალებს. მოკლე და ნელი ნაბიჯით მოდის ქუჩაში. ხელთ გაზეთები ან ძველი წიგნები უპყრია. მოდის, თითქოს ვეღარავის ხედავს, ვეღარავის სცნობს"...[9].

ზ. ჭიჭინაძეს უანგარო ღვაწლი სათანადოდ იქნა დაფასებული. 1922 წელს მცხოვანი მწიგნობრისა და ლიტერატორის მოღვაწეობის 50 წლისთავის იუბილე მთელ საქართველოში აღინიშნა[10]. მწერალთა კავშირის საბჭომ იუბილის წინ მოწოდებით მიმართა ქართველ ერს: „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ დაადგინა: გადახდილ იქნას ჭაღარით შემოსილი მწიგნობრის ზაქარია ჭიჭინაძის 50 წლის მოღვაწეობის იუბილეი და დაუკავშიროს მას ქართული წიგნის დღესასწაული. ქართული წიგნი სულია საქართველოს შემოქმედებისა, როდესაც მისი ისტორია დაიწერება, იგი იქნება არა მარტო წიგნის, არამედ საქართველოს კულტურის ისტორიაც. იყვენ და არიან საქართველოში მწიგნობრობის რაინდები. ისინი უანგაროდ ემსახურებიან მისი აყვავებისა და აღორძინების საქმეს. მათ შორის ყველაზე უფრო თავდადებული არის ზაქარია ჭიჭინაძე. 50 წლის განმავლობაში მოღვაწეობს ეს რაინდი ქართული წიგნისა, როდესაც იგი ამ ასპარეზზე გამოვიდა, თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ საქართველოში საზოგადოებრივი იდეებით გატაცებული პიროვნებანი. ზაქარია ჭიჭინაძე თავდადებით შეუდგა უკეთილშობილეს საქმეს: მთელი საქართველო მოფენილია მის მიერ გამოცემული წიგნებით. მან მრავალი ხელნაწერი პირველად გააცნო საზოგადოებას. მთაწმინდის უბნები კიდევ ინახავენ ლეგენდებს იმის შესახებ, თუ ვის ჭერქვეშ იფარებდა თავს ჩვენი დეენილი ახალგაზრდობა, რომელმაც შემდეგ სახელი გაითქვა ლიტერატურაში, პოლიტიკაში და სხვ. ჩვენ არ მოგვწყინდება ამ სახელების ჩამოთვლა. ესენი არიან ყველა საქართველოში მომქმედი პოლიტიკური პარტიების ლიდერები, პოეტები, ბელეტრისტები, მეცნიერების ასპარეზზე მომუშავე აკადემიკოსები, პროფესორები. ამათი რიცხვი ასობით ჩამოითვლება. უფრო მეტია მათი რიცხვი, რომელთაც მიწერ-მოწერა ჰქონდათ ზაქარია ჭიჭინაძესთან.

სამაჰმადიანო საქართველოში პირველად შეიჭრა ქართული წიგნი

---

[9] ლ. ასათიანი. ქართული მწერლობა. თბ., 1949, გვ. 277.

[10] გაზ. „ბახტრიონი", 1922, № 1.

ზაქარია ჭიჭინაძის წყალობით. იქ მშობლიური ენის აღდგენის საქმეს მტკიცე საფუძველი ჩაუყარა მან. მას პირველს ეკუთვნის აგრეთვე წერილები ქართველ კათოლიკეების შესახებ და დაკანონება სიტყვისა: ქართველი კათოლიკე. მან პირველმა დასწერა ქართველი ისრაელების ისტორია, მეტად მნიშვნელოვანი წიგნები ოსებისა და ლაზების შესახებ. მას ეკუთვნის საქართველოში პირველი წერილი კარლ მარქსზე, მისი წიგნის „კაპიტალის" მეორე ტომის გამოსვლის გამო. პირველმა ახსენა ახალი სახელები საქართველოში: პრუდონი, ლუი ბლანი, რობრტ ოუენი, სენ-სიმონი, ფურიე. ის თანამშრომლობდა საქართველოს ყველა გაზეთებში და მათში დაბეჭდილი მასალები იქნება რამოდენიმე ტომი. რიცხვი ამ გაზეთებისა უდრის რამდენიმე ათას ნომერს. ზაქარია ჭიჭინაძის კალამს ეკუთვნის ორას ორმოცდაათამდე წიგნი. ამ რიცხვში დაბეჭდილია მხოლოდ ასთოთხმეტი, დანარჩენი კი, მეტად ძვირფასი მასალა ჯერ კიდევ დაუბეჭდავია.

ძნელია დათვლა იმ ავტორებისა, რომლებიც ცალკე წიგნად გამოიცენ ზაქარია ჭიჭინაძის მიერ. მან მოიარა მთელი საქართველო, მის სხვადასხვა კუთხეში კრეფდა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, ლეგენდებს, ზღაპრებს, ლექსებს. ქართული ჟურნალ-გაზეთები სავსეა ზაქარია ჭიჭინაძის ისტორიული წერილებით. ქართული ლიტერატურის კორიფეები დიდ დაფასებას პოულობენ ზაქარია ჭიჭინაძისაგან. წინად უცნობი და შემდეგში განთქმული სახელები პირველად იბეჭდებოდენ ზაქარია ჭიჭინაძის მიერ. იგი ერთადერთი ადამიანია, რომლიც პირადად იცნობდა ყველას უძველესი ქართული ჟურნალის „ცისკრის" თანამშრომლებიდან დაწყებული. იგი ერთადერთი ინახავს ძვირფას მოგონებებს ქართული წიგნის აღორძინებისას. იგი გაპიროვნებული ტრადიციაა ჩვენი XIX საუკუნის კულტურისა, იგი მუდამ სუნთქავდა ქართული წიგნის მაღაზიების ჰაერით. მისი ტიპიური ბიბლიოფილის სახე მარად ანთებულია ქართული წიგნებისადმი სიყვარულით და თვითონაც წიგნია ცოცხალი. დადგა დრო, როდესაც დაფასებული უნდა იქნას ეს უბრალო, მაგრამ დიდი პიროვნება.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო მოუწოდებს მთელს საქართველოს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ზაქარია ჭიჭინაძის საიუბილეო დღესასწაულში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს საზოგადოებრივი აზრი ლიხს იქით და აქეთ ენერგიულად გამოეხმაურება ჩვენს მოწოდებას და ეს იქნება უკეთესი თავდები ამ დღის ბრწყინვალედ ჩატარებისა.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო.

ტფილისი, 1922, 3 თებერვალი. ხელოვნებათა სასახლე[11].

---

11 ნ. ნ. (გ. ტაბიძე) ზაქარია ჭიჭინაძე, ტფ., 1922, გვ. 3-4.

იუბილისათვის მზადებამ მასშტაბური ხასიათი მიიღო; ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მრავალი წერილი გამოქვეყნდა, დაიბეჭდა მოგონებები და მისალმებები. ცალკე წიგნად გამოიცა გალაკტიონ ტაბიძის ნარკვევი „ზაქარია ჭიჭინაძე"[12], ხოლო საიუბილეო საღამო ვაღ-მოხდილ მწიგნობარს თბილისის საოპერო თეატრის ხალხმრავალ ღარბაზში მოუწყვეს. სამწუხაროდ, იუბილის შემდეგ მცხოვან მწიგნობარს დიდხანს აღარ უცოცხლია. ზაქარია ჭიჭინაძე 1931 წლის 27 დეკემბერს გარდაიცვალა. მადლიერმა ქართველობამ მისი ნეშთი მთაწმინდის მიწას მიაბარა[13].

ზ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემული სახალხო წიგნები მკითხველებში პოპულარობით სარგებლობდა. ყოველი მათგანი გამოსვლისთანავე ოავისებურ ქართულ ბესტსელერად იქცეოდა ხოლმე. ასეთი წარმატების საფუძველი მათი შინაარსის აქტუალობა და მარტივი სასაუბრო ენა გახლდათ. „ზაქარიას თავის სიცოცხლეში დაუწერია უამრავი ისტორიული, ბიოგრაფიული, ბიბლიოგრაფიული, ეთნოგრაფიული, სამეცნიერო-პოპულარული, სალიტერატურო და სხვა სახის შრომა, — წერს სპეციალურ ნარკვევში ლევან ასათიანი, ზაქარია ჭიჭინაძის კალამს ეკუთვნის ურიცხვი წერილი და წიგნი ქართველ მაჰმადიანთა შესახებ, სამაჰმადიანო საქართველოში პირველად ზაქარიას წყალობით შეიჭრა ქართული წიგნი, მასვე ეკუთვნის წერილები ქართველ კათოლიკეთა შესახებ, პირველი ისტორია ქართველ ისრაელებისა, ისტორია ქართველ გრიგორიანებისა, ისტორიული ნარკვევები აფხაზების, ოსების და ლაზების შესახებ, ქართველ ქალთა შესახებ. ზაქარიას უწერია ისტორია ქართული სტამბისა, ქართული გაზეთის; მის კალამს უკუთვნის დიდი შრომა — ქართული მკურნალობის ისტორია; ნარკვევები — საქართველოში ვაჭრობა-მრეწველობის ისტორია და სხვა... ძნელია ყოველივეს ჩამოთვლა. მასვე უწერია მიმოხილვები ძველი ქართული ლიტერატურის, პოეზიის, თეატრის და სხვ. შესახებ. ზაქარია ჭიჭინაძის ნაწერების თემატურ ნაირფეროვნებას თითქმის საზღვარი არ უჩანს. მის დაუღალავ კალამს უწერია პოპულარული ბროშურები პრუდონზე, ლუი ბლანზე, სენ-სიმონზე, მთელი ტომი საქართველოს მუშა-ხელოსნების ცხოვრებაზე. და ბოლოს აღსანიშნავია მისი მონაწილეობა საქართველოს ბატონყმობის ფაქტიურ მასალათა გამოქვეყნებაში. ზაქარიას ნაწერების ჩამოთვლა აქ შეუძლებე-

---

12 ნ.ნ. (გ. ტაბიძე), ზაქარია ჭიჭინაძე, ტფ., 1922.

13 ვ. მ ა ც ა ბ ე რ ი ძ ე. ქართული სახალხო წიგნების შემდგენელ-გამომცემლები. თბ., 1977, გვ 66.

ლია, მარტო მათი სათაურები შეადგენენ, ალბათ, რამდენიმე გვერდს"[14].

გასაოცარ პროდუქტიულობას, ეჭვგარეშეა, ჩრდილოვანი მხარეც ახლდა თან. ამ ღირსებაში იფარებოდა დიდი ნაკლიც — სამართლიანად აღნიშნავდა 1932 წელს ზ. ჭიჭინაძის ნაღვაწარ-ნამოქმედარის შეფასების დროს ლ. ასათიანი: „იმ უამრავ საკითხთა შორის, რომელზედაც უშრომია და უწერია ზაქარია ჭიჭინაძეს, არც ერთი არ არის დამუშავებული და შესწავლილი მკაცრ მეცნიერულ საფუძველზე. მას რომ ერთი რომელიმე სფეროთი შემოეფარგლა თავისი სამწერლო-სამეცნიერო მუშაობა, ჩვენის აზრით, განგრძობს ლევან ასათიანი, იგი კვალს დაამჩნევდა იმ სფეროში და დასტოვებდა მეტად მნიშვნელოვან ნაშრომს არჩეულ დარგში. მაგრამ სამწუხაროდ, ეს არ მოხდა, ყურადღების დაფანტვა, საკვლევი ობიექტების იშვიათმა სიმრავლემ მის ნაშრომებს დაასვა დაღი სიჩქარის, ზერელობის, დაუმუშავებლობის.

მას არ გააჩნდა გარკვეული ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, აქედან — ყოველგვარი მეთოდის უქონლობა და ეკლექტიზმი ლიტერატურულ, ისტორიულ და სხვა ხასიათის შრომებში...

სიჩქარით გამოწვეულ ზერელობას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ ჩამოთვილილ ნაშრომებში ხშირია ზღაპრული, შეუმოწმებელი ცნობები, მოცემულია ნუსხები ისეთი მწერლებისა და თხზულებებისა, რომელთა შესახებ დღეს არავინ არ იცის რამე. ავტორს კი აღნიშნული არა აქვს საიდან ამოიღო ესა თუ ის ცნობა, ასეთივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე მის სხვა ნაშრომშიც.

ყოველივე ნათქვამი, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ზაქარიას თხზულებები მოკლებულნი არიან თავისებურ ღირსებას. ეს თხზულებები ბევრ შემთხვევაში შეიცავენ საინტერესო, მდიდარსა და ხშირად ძვირფას ფაქტიურ მასალას შესაფერი დარგის მკვლევარებისათვის"[15].

ზ. ჭიჭინაძის მემკვიდრეობის ღირსებისა და ნაკლის ასათიანისეული დახასიათება, სუპერკრიტიკული პათოსის მიუხედავად, უდაოდ ობიექტურია. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჭიჭინაძისათვის სრულიად უცხო იყო მსოფლმხედველობრივი განურჩეველობა. თავისი ბრწამსითა და პრაქტიკული საქმიანობით ჭიჭინაძე ქართული პოპუ-

---

[14] ლ. ასათიანი, ქართული მწერლობა, გვ. 283.

[15] იქვე, გვ. 283-284. ზ. ჭიჭინაძის ნაშრომების ავ-კარგის განხილვას არა ერთ გამოკვლევა მიეძღვნა. იხ. ე. ბუბულაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე და საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1987 გვ. 8-12, 77-83. (დისერტაცია ინახება ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქივში).

ლიზმის იმ ფრთის ტიპიური წარმომადგენელი იყო, რომლისათვისაც გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულიდან ეროვნული და სოციალური სამუდამოდ გადაეჯაჭვა ერთმანეთს. ალბათ, ხსენებული პოზიციის ერთგულების გამო არის, რომ „დინჯად ნაწერი" გამოკვლევების სიმრავლით განებივრებული თანამედროვე მკითხველი დღესაც ცხოველი ინტერესით ეცნობა „ქართველი შოველის" ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ გამოცემებს და სწორედ ამ ნაუცბათევად შექმნილ სახალხო წიგნებში ეძებს გულმართალ სიტყვას მთელი რიგი საკითხების შესახებ: „მესხეთ-ჯავახეთის გათათრება", ტფ., 1906; „ქართველების გათათრება ანუ ისლამის გავრცელება დასავლეთ საქართველოში (XVII—XVIII ს.)," თფ., 1901; „ასპინძის ომის ისტორიის სიყალბე და რუსი გენერლის ტოტლებენის ღალატის სინამდვილე", ტფ., 1920: „აღამაჰმადხანის მეორედ შემოსევა და მათი წამქეზებლები, 1797 წ.", ტფ. 1920; „კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში", ტფ., 1903, „ქართველი კათოლიკე აქიმანდრიტი პავლე შაჰყულიანი (ჭილიმუზაშვილი), 1769—1855 წ.," თბ., 1904; „ქართველი კათოლიკე პატრი მიხეილ თამარაშვილი და მისი შრომანი", თფ. 1904; „ქართველი კათოლიკენი ყველა ასპარეზზე", თფ., 1905; „ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობა", ტფ., 1905; „საქართველოს ვაჭრობა და მრეწველობა ძველად — გრიგოლ ხურციძე და სტეფანე ივანესძე ზუბალაშვილი ინდოეთში", თბ., 1905; „ქველმოქმედნი — ლევან, პეტრე და იაკობ კონსტანტინეს-ძე ზუბალაშვილები", თბ., 1905; „ლუთერის სჯულის ქართველები საქართველოში", თბ., 1904; „ქართველი გრიგორიანები", თბ., 1906; „ქართველი ებრაელები საქართველოში", თბ., 1904 და სხვა.

ჩამოთვლილი ნაშრომების სათაურებიდანაც კარგად ჩანს, რომ ზ. ჭიჭინაძე საგანგებოდ ცდილობდა შეძლებისდაგვარად ფართოდ განეხილა ქართული საზოგადოებრიობის წინაშე მდგარი მწვავე პრობლემები. ეს სწრაფვა ჭიჭინაძისეულ გამოცემებს განსაკუთრებით პოპულარულს ხდიდა. ასეთი ბედი ხვდა წილად მის მიერ მომზადებულ თითქმის ყველა წიგნსა თუ ბროშურას, მათ შორის ქართველი ებრაელების ისტორიის წინამდებარე ნარკვევსაც, რომელიც 1904 წელს გამოაქვეყნა ავტორმა.

როგორც ცნობილია, მეფის რუსეთის მთავრობა მეტისმეტი მონდომებით ცდილობდა ჩაეხშო იმპერიის არარუსი ხალხების ეროვნული თვითშეგნების ყოველგვარი გამოვლინება და მათი ძალდატანებითი ასიმილაციის პოლიტიკას ახორციელებდა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად მიმართული მრავალრიცხოვანი ღონისძიებების ორგანიზატორები „დაყავი და იბატონეს" პრინციპით ხელმძღვანელობდენ.

ეკატერინე მეორის შემდეგ ანტისემიტიზმმა ოფიციალურად აღიარებული სახელმწიფოებრივი დოქტრინის სტატუსი მოიპოვა და ამ პერიოდიდან მოყოლებული ებრაელების უფლებების შეზღუდვას რუსეთში სისტემატური ხასიათი მიეცა: მათ მკაცრად განესაზღვრათ განსახლების ადგილები, აეკრძალათ სოფლად ცხოვრება. მიწის შეძენა და დამუშავება, სახელმწიფოს სამსახური და სხვა.

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში ანტისემიტურმა მოძრაობამ რუსეთში განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი მიიღო. მეფის მთავრობის მოხელეებმა ანტიებრაული განწყობილებების გასაღრმავებლად ათასგვარი ძველი და ახალი მონაჩმახის გავრცელებას მიჰყვეს ხელი. ისინი იმპერიის ხალხების უმძიმეს მდგომარეობაში ყოფნას ებრაელებს აბრალებდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ მოსახლეობის დაბალი ფენები დაეპირისპირებიათ თავად უბადრუკ მდგომარეობაში მყოფ ისრაელის შვილებთან. აღვირახსნილი კამპანიების ინსპირატორები პრესაში, „მხატვრული" ნაწარმოებების ფურცლებზე, სხვადასხვა საკრებულოებსა თუ სასამართლოებში ებრაელებს ბრალს სდებდნენ ქრისტეს და მისი მიმდევრების რიტუალურ მკვლელობაში, პასექის პურისათვის ქრისტიან ყრმათა სისხლის გამოყენებაში, მართლმადიდებელთა სალოცავების შებილწვასა და უთვალავ სხვა გამოგონილ უმსგავსობაში. სამწუხაროდ, მსგავს „მოღვაწეთა" რიგებში აღმოჩნდნენ რუსული ინტელიგენციის წარმომადგენლებიც — მწერლები. ჟურნალისტები, მეცნიერები, ღვთისმეტყველები. თვითმპყრობელობის მზაკვრულ პოლიტიკას შემზარავი შედეგი მოჰყვა: გასული საუკუნის დასასრულსა და ჩვენი საუკუნის დასაწყისში რუსეთის სამხრეთი და დასავლეთი გუბერნიები ებრაელთა სისხლიანი რბევის ასპარეზად გადაიქცა.

საქართველოში მსგავსი რამ არასოდეს არ მომხდარა, მაგრამ იმპერიაში აზვირთებულმა მღვრიე ტალღამ თავისებური გამოძახილი სამწუხაროდ ჩვენშიც ჰპოვა. ეს ვითარება მხედველობიდან არ გამორჩენიათ ქართველ დემოკრატებს. ისინი ქართველებისა და ქართველ ისრაელთა მშვიდობიან თანაცხოვრების წესის სადარაჯოზე დადგნენ, ქართული პროგრესული პრესის ფურცლებზე სათანადო შინაარსის მასალების გამოქვეყნებას სისტემატური ხასიათი მიეცა[16]. ებრა-

[16] სამაგალითოდ რამდენიმე მათგანს დავასახელებთ: „ებრაელთა დღესასწაული „რომ მაშონი, ე. ი. ახალი წელი", გაზ. „ივერია", 1889, № 186: ზ. მთაწმინდელი, „ურიების დაბადება და ამაღლება. თორა იულონ ბატონიშვილისეულ დარბაზში. ქართულ ენაზე ლოცვის საკითხი", გაზ. „დროება", 1877, № 208; ზ. ჭიჭინაძე, „ურიების თორა და მათი დღესასწაული", „დროება", 1876, № 103; „ებრაელების ახალი სალოცავი თბილისში", გაზ. „ცნობს ფურცელი", 1897, № 339; „იაკობ ნავთოლიშვილის რაბინად არჩევა", „ცნობის ფურცელი", 1900, № 1256; „ახლად დაარსებულ ებრაელთა სკოლის შესახებ", „ცნობის ფურცელი", 1902, № 1958; მიხ. ხახანაშვილის წერილების სერია „სახალხო გაზეთში" და სხვა.

ელთა ისტორიისა და კულტურის, ქართველებისა და ებრაელებ... უკუნოვანი მშვიდობიანი ურთიერთობის სხვადასხვა საკითხების გ ხილვასა და სათანადო ფაქტების პოპულარიზაციას დიდი ამაგი და- დეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებმაც. ა- პრობლემას შესანიშნავი წერილი მიუძღვნა ილია ჭავჭავაძემ. მან სა- ტიკად დაგმო მეფის მოხელეებისა და თავად-აზნაურობის რეაქციული ნაწილის მიერ ანტისემიტური განწყობილებების გასაღვივებლად „ჩატარებული ღონისძიებები". კერძოდ, ე. წ. „ებრაელ მწვალებელთა" საწინააღმდეგოდ მოწყობილი პროვოკაციული პროცესები ქუთაისსა და ხაშურში, რომლებსაც ებრაელთა უფლებრივი მდგომარეობის გაუარესება მოჰყვა[17].

წინამდებარე ნარკვევი ქართველი სამოციანელების მიერ წამოწყებული კეთილშობილური საქმის თავისებური გაგრძელებაა. ამ წიგნის შექმნის მოტივების შესახებ გალაკტიონ ტაბიძე წერდა: „ქართველ ისრაელთა ცხოვრებამაც და მათმა ქართული ენის ხმარებამაც გაიტაცა ზაქარია. მან საქართველოს ისტორიაში მოსძებნა ისრაელთა შესახებ მასალები და დაბეჭდა „ისტორია ქართველ ისრაელთა საქართველოში"... მან დაასაბუთა, რომ საშუალო საუკუნეებში, როდესაც ევროპასა და რუსეთში ასე სასტიკად იდევნებოდნენ ებრაელები, საქართველოში ისინი ცხოვრობდნენ სრულიად უვნებლად და სარგებლობდნენ საქართველოს მეფეთა დიდი მფარველობით. ამ წიგნის ბეჭდვის გამო დიდი მადლობის წერილები მოსდიოდა ზაქარიას ქართველ ისრაელთა რაბინებისაგან. დღეს ეს ისტორია ერთობ იშვიათი საშოვნელია"[18].

იმედია ქართველი ებრაელების ყოფისა და კულტურისადმი მიძღვნილი ამ პირველი ქართული წიგნის ახალ გამოცემას ინტერესით გაეცნობა თანამედროვე მკითხველი.

საავტორო ტექსტი იბეჭდება უმნიშვნელო შემოკლებით.

ვახტანგ ჩიქოვანი

---

17 ბ. ფ ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში. თბ., 1988 წ., გვ. 103.

18 გ. ტ ა ბ ი ძ ე, თხზ., ტ. XII, გვ. 43—44.